

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - „განათლების მეცნიერებები“

## ქეთევან აფთარაშვილი

კლასგარეშე კითხვა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე  
(ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე)

განათლების მეცნიერებათა დოქტორის (PH.D) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ კარანაძე,

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ-ის პროფესორი, ემერიტუსი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი,

განათლების მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## აბსტრაქტი

დისერტაციაში განხილულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე ქართულ ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში კლასგარეშე კითხვის პრაქტიკა და თავისებურებანი, მისი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. კვლევით დადასტურდა, რომ დღესდღეობით საქართველოში კლასგარეშე კითხვას სათანადო ყურადღება არ ექცევა და მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია სასკოლო სისტემაში სწავლა-სწავლების პროცესისას. დისერტაციაში იდენტიფიცირდა კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით უამრავი საკითხი და გამოწვევა, მათი გადაჭრის გზები და შემდგომი კვლევის საჭიროებანი. *რაც უტყუარს ხდის ნაშრომის საჭიროებასა და აქტუალობას.*

წინამდებარე ნაშრომი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოიცავს მნიშვნელოვან **სიახლეს**. კერძოდ, პოპულარული სტატიების გარდა, დღესდღეობით ქართულ რეალობაში კლასგარეშე კითხვის შესახებ არ მოიპოვება სათანადო კვლევები და სისტემური ანალიზი. პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანია კლასგარეშე კითხვის როლის, განვითარების დინამიკის, პროგრესული და რეგრესული ინიციატივებისა და კვლევის შედეგების ერთიან კონტექსტში გააზრება. ნაშრომის ფარგლებში აღწერილი და გაანალიზებულია საარქივო მასალები, საკანონმდებლო ბაზა, გრიფირებული სახელმძღვანელოები თუ სხვა მასალები, რომლებიც უკავშირდება კლასგარეშე კითხვის საქმიანობას. წარმოდგენილი ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც მასწავლებლებს, მშობლებს, განათლების დარგის ექსპერტებსა და დაინტერესებულ პირებს, ასევე, შესაძლებელია მისი გამოყენება სახელმძღვანელო მასალად (ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და კლასგარეშე კითხვაში ჩართული სხვა პირებისთვის, რათა კლასგარეშე კითხვის ორგანიზების პროცესი სწორად წარიმართოს).

**შემუშავდა სამუშაო ჰიპოთეზა**, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებით საფეხურზე კლასგარეშე კითხვა თანამიმდევრული, სისტემატური და მართვადი პროცესი არ არის (ხარისხიანად არ ხორციელდება), ხოლო დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებელი კლასგარეშე კითხვის პროცესის ეფექტიანად ხელმძღვანელობისთვის საჭიროებს სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის პროცესების აღწერა-ანალიზი (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე); მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და კლასგარეშე კითხვაში ჩართული სხვა პირებისთვის გარკვეული გზამკვლევის შემუშავება სწავლა-სწავლების პროცესში კლასგარეშე კითხვის პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის; **კვლევის საგანია** - კლასგარეშე კითხვის პრაქტიკა/პროცესი საქართველოში 1910 წლიდან დღემდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე).

კლასგარეშე კითხვის სწავლების ხარვეზების გამოსავლენად გამოიკვეთა რამდენიმე **საკვლევი საკითხები**:

- დიაქრონულ ჭრილში კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმების აღწერა და გაანალიზება;
- დაწყებითი კლასებში (ქართული ენისა და ლიტერატურის კლასგარეშე კითხვის მაგალითზე) კლასგარეშე კითხვის ორგანიზების ხარისხი და მისი შეფასება;

**კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე**, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი **კვლევის მეთოდები**. კერძოდ,

- 1) **სამაგიდე კვლევა** – კლასგარეშე კითხვის სწავლების მიმართულებით აღიწერა და ისტორიულ ჭრილში გაანალიზდა საქართველოში კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხებზე შექმნილი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები. კერძოდ, ა) ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები 1910 წლიდან 1988 წლამდე; ბ) ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016 და 2017–2023; გ) სასკოლო სასწავლო გეგმები 2016–2017; დ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2008, ბოლო ცვლილება: 2014); განხილულია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები და კრებულები. ასევე, გაანალიზებულია 2011 და 2018 წლებში გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები კლასგარეშე კითხვის მიმართულებით. მიმოხილულია კლასგარეშე კითხვის მეთოდოლოგიური სისტემა საქართველოში XX ს–ის 10–იანი წლებიდან დღემდე.

2) **თვისებრივი კვლევა:** ჩატარდა 3 ნახევრადსტრუქტურირებული ჩარმავებული ინტერვიუ იმ პირებთან, ვინც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია კლასგარეშე კითხვის საქმიანობასთან.

3) **რაოდენობრივი კვლევა:** რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა დაწყებითი კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან კლასგარეშე კითხვის პროცესის ორგანიზების ხარისხის შეფასების მიზნით.

**კვლევის შედეგია** კლასგარეშე კითხვის სწავლების მიმართულებით 1910 წლიდან დღემდე ძირითადი ტენდენციებისა და ცვლილებების აღწერა–ანალიზი, მიმდინარე ეტაპისთვის დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ჩატარებული კვლევების შედეგების **პრაქტიკული და თეორიული ღირებულების თვალსაზრისით** გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ნაშრომი წარმოადგენს საკითხავ სამეცნიერო მასალას სტუდენტთა და კლასგარეშე კითხვის სწავლების დაინტერესებული პროფესიული საზოგადოებისათვის.
- ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამომავლოდ კლასგარეშე კითხვის პროცესის ჯეროვნად განხორციელებას;

## ABSTRACT

The dissertation deals with the practice and peculiarities of extracurricular reading and its peculiarities in the process of teaching Georgian language and literature at the elementary level of secondary school, as well as its educational importance. Research has shown that nowadays extracurricular reading is not given proper attention in Georgia and it takes a second place in the teaching and learning process in the school system. The dissertation identified numerous issues and challenges related to extracurricular reading, ways to solve them, and further research needs. *That makes the thesis's need and topicality unmistakable.*

The present article, depending on the topic's relevance, includes important **news**. In particular, in addition to popular articles, there is no proper research and systematic analysis of extracurricular reading in Georgian reality today. Understanding the role of extracurricular reading, developmental dynamics, progressive and regressive initiatives and research outcomes in a single context for the professional community and stakeholders is too important. The work describes and analyzes archival materials, legislative bases, textbooks, or other materials related to extracurricular reading activities. This work will provide assistance to teachers, parents, education experts and stakeholders, and may be used as a guidebook (The work provides specific recommendations for teachers, parents, and other people involved in extracurricular reading to help organize the extracurricular reading process properly).

**A working hypothesis was developed**, according to that extracurricular reading in elementary schools is not a consistent, systematic, and manageable process (not being properly implemented), and Georgian primary school teachers need support and assistance in a variety of ways to effectively lead the extracurricular reading process.

**The purpose of the study** is to describe and analyze extracurricular reading processes in primary school (for example teaching Georgian language and literature); Develop a kind of guide for teachers, parents, and others involved in extracurricular reading to improve extracurricular reading practice; **Research Subject** - Extracurricular Reading Practice / Process in Georgia from 1910 till today at the elementary level of secondary school (on the example of teaching Georgian Language and Literature). To identify errors in teaching of extracurricular reading several **research questions** revealed:

- Describing and analysing of regulatory mechanisms of extracurricular reading in the diachronic setting;
- Quality of organising of extracurricular reading and its evaluation in primary school (on the example of extracurricular reading of Georgian language and literature);

Based on the goals of the study and research questions, qualitative and quantitative **research methods** are used within the research. In particular,

1. **Desk research** – The main normative documents on extracurricular teaching in Georgia have been written and analyzed in historical context. In particular, a) Georgian language and literature programs from 1910 to 1988; b) National Curriculum 2011–2016 and 2017–2023; c) School curriculum 2016–2017; d) Teacher's Professional Standard (2008, last modified: 2014); Recommendation lists and compilations of extracurricular literature are discussed. Also, the school textbooks in 2011 and 2018 for extracurricular reading are analyzed. The overview of the methodological system of extracurricular reading in Georgia from the 10th to the 20th century.
2. **Qualitative research:** 3 semi-structured in-depth interviews were conducted with those directly or indirectly related to extracurricular reading activities.
3. **Quantitative research:** A quantitative study was conducted with primary school Georgian language and literature teachers in order to assess the quality of organizing the extracurricular reading process.

**The result of this study** is to describe and analyze the main trends and changes in the teaching of extracurricular reading from 1910 to the present, identify the challenges and problems associated with the extracurricular reading process in the primary school for the current phase and develop appropriate recommendations.

In terms of the **practical and theoretical value** of the results of the studies, the following should be taken into account:

- The work is a reading research material for the student and professional community interested in teaching extracurricular reading.
- The findings and recommendations presented in this work will help to properly implement the extracurricular reading process in the future;

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	1
თავი I. კლასგარეშე კითხვის რაობა და მნიშვნელობა .....	7
თავი II. კლასგარეშე კითხვის ორგანიზება.....	13
§2.1 კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები .....	13
§2.2 კლასგარეშე კითხვის ორგანიზების ძირითადი ფორმა და სწავლების მეთოდები.....	23
§2.3 კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევა – პრინციპები და მეთოდები.....	35
<b>კვლევითი ნაწილი - პირველი ეტაპი</b>	
თავი III. კლასგარეშე კითხვის განვითარების ეტაპები საქართველოში.....	50
§3.1 კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხები ნორმატიულ დოკუმენტებში.....	50
§3.1.1. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები 1910 წლიდან 1988 წლამდე.....	50
§3.1.2. ეროვნული სასწავლო გეგმა .....	69
§3.1.3. სასკოლო სასწავლო გეგმები 2016-2017.....	73
§3.1.4 მასწავლებლის პროფესიული და დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტი.....	78
§3.2 კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სახელმძღვანელოები და სარეკომენდაციო სიები.....	80
§3.3 დაწყებითი კლასების ქართულის სასკოლო სახელმძღვანელოები.....	88
<b>თავი IV კვლევის მეორე ეტაპი</b>	
§4.1. დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები.....	101
§4.2. ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი.....	129
დასკვნები და რეკომენდაციები .....	144
გამოყენებული ლიტერატურა.....	150
<b>დანართი 1</b> მკითხველთა ინტერესების კვლევა 2012-2013 წლის ბიბლიოთეკის მკითხველთა ფორმულარების შესწავლის საფუძველზე.....	169
<b>დანართი 2</b> ანკეტირების მეთოდით მკითხველთა ინტერესების შესწავლა (კითხვარის ნიმუში) .....	181
<b>დანართი 3</b> რაოდენობრივი კვლევის კითხვარი.....	186
<b>დანართი 4</b> ცხრილები, დიაგრამები, სქემები .....	202

## შესავალი

საქართველოში 90-იანი წლებიდან შეიცვალა ქვეყნის განვითარების პოლიტიკური კურსი და ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს მოჰყვა სერიოზული რეფორმების გატარება, მათ შორის განათლების სისტემაში. ერთი მხრივ, მოხდა საბჭოთა სივრციდან გამოსვლა, ხოლო, მეორე მხრივ - დასავლური სივრცისკენ ორიენტაცია, აუცილებელი გახდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დონის მიღწევა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული ქართული ღირებულებები წლების განმავლობაში შეერწყა საბჭოთა ღირებულებებს, რომელთანაც ბრძოლა გაიგივდა ტრადიციულ ქართულ ღირებულებებთან ბრძოლასთან. საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში შემუშავდა განათლების სისტემის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დოკუმენტი, ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი სტანდარტი და ა.შ. (ჭკუასელი, სანაძე და ქიტიაშვილი, 2014) საქართველოს განათლების სისტემამ კურსი აიღო პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციაზე, რომლის ცენტრში თითოეული მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი დადგა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ „*პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:*

- *განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);*
- *გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;*
- *განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;*

- ჩამოყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი” (ესგ, 2017–2023, გვ. 45).

ზოგადი განათლების სისტემის მიერ დასახული მიზნებისა თუ ამოცანების განხორციელების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს კლასგარეშე კითხვა და მას სასწავლო-აღმზრდელობითი კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (თოფურია, 1991; ეროვნული სასწავლო გეგმა, 2017), თუმცა, სამწუხაროა, რომ დღეს სათანადო ყურადღება არ ექცევა. კლასგარეშე მუშაობა საბჭოთა პერიოდში დიდწილად დაკავშირებული იყო იდეოლოგიურ (კომუნისტურ) მუშაობასთან, რომლის ნგრევამაც გამოიწვია კლასგარეშე მუშაობის შემცირება და, ხშირ შემთხვევაში, გაუქმებაც კი. ლოგიკურია, რომ აღზრდის მიზანი და ამოცანები განისაზღვრება ეკონომიკურ-პოლიტიკური წყობით, მაგრამ როცა იცვლება ბაზისი იცვლება ზედნაშენიც და ამ უკანასკნელის განადგურება კი არა, მოდიფიცირება ხდება (ჭკუასელი, 2012). გამომდინარე აქედან, კლასგარეშე კითხვის პროცესი კი არ უნდა მოიშალოს, არამედ პოლიტიკური წყობის ცვლასთან ერთად მოხდეს მისი შინაარსის ცვლილება. დღეს უამრავი საკითხია კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით შესასწავლი და სწორად წარსამართი, რათა საქართველოში გაუმჯობესდეს მაგალითად, წიგნიერების დონე (იხ. PIRLS-ის კვლევები), გაიზარდოს მოსწავლეთა ინტერესი კითხვის მიმართ, ხელი შეეწყოს მათ ჰარმონიულ განვითარებას (გონებრივ, მორალურ, ზნეობრივ აღზრდას) (ჭკუასელი, 2012);

*ამდენად, საჭირო და აქტუალურია საქართველოში დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის განვითარების ეტაპებისა (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე) და კლასგარეშე კითხვის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის საკითხების შესწავლა/კვლევა და პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.*

წინამდებარე ნაშრომი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოიცავს მნიშვნელოვან **სიახლეს**. კერძოდ, პოპულარული სტატიების გარდა, დღესდღეობით ქართულ რეალობაში კლასგარეშე კითხვის შესახებ არ მოიპოვება სათანადო კვლევები და სისტემური ანალიზი. პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანია კლასგარეშე კითხვის როლის, განვითარების დინამიკის, პროგრესული და რეგრესული ინიციატივებისა და კვლევის შედეგების ერთიან კონტექსტში გააზრება. ნაშრომის ფარგლებში აღწერილი და გაანალიზებულია საარქივო მასალები, საკანონმდებლო ბაზა, გრიფირებული სახელმძღვანელოები თუ სხვა მასალები, რომლებიც უკავშირდება კლასგარეშე კითხვის საქმიანობას. წარმოდგენილი ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც მასწავლებლებს, მშობლებს, განათლების დარგის ექსპერტებსა და დაინტერესებულ პირებს, ასევე, შესაძლებელია მისი გამოყენება სახელმძღვანელო მასალად (ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები მასწავლებლებისა და მშობლებისთვის და კლასგარეშე კითხვაში ჩართული სხვა პირებისთვის, რათა კლასგარეშე კითხვის ორგანიზების პროცესი სწორად წარიმართოს).

**განისაზღვრა სამუშაო ჰიპოთეზა**, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებით საფეხურზე კლასგარეშე კითხვა თანამიმდევრული, სისტემატური და მართვადი პროცესი არ არის (ხარისხიანად არ ხორციელდება), ხოლო დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებელი კლასგარეშე კითხვის პროცესის ეფექტიანად ხელმძღვანელობისთვის საჭიროებს სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის პროცესების აღწერა-ანალიზი (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე); მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და კლასგარეშე კითხვაში ჩართული სხვა პირებისთვის გარკვეული გზამკვლევის შემუშავება სწავლა-სწავლების პროცესში კლასგარეშე კითხვის პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის;

**კვლევის საგანია** - კლასგარეშე კითხვის პრაქტიკა/პროცესი საქართველოში 1910 წლიდან დღემდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაგალითზე).

კლასგარეშე კითხვის სწავლების ხარვეზების გამოსავლენად გამოიკვეთა რამდენიმე საკვლევი საკითხი:

- დიაქრონულ ჭრილში კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმების აღწერა და გაანალიზება;
- დაწყებითი კლასებში (ქართული ენისა და ლიტერატურის კლასგარეშე კითხვის მაგალითზე) კლასგარეშე კითხვის ორგანიზების ხარისხი და მისი შეფასება;

**კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ,**

- 1) **სამაგიდე კვლევა** – კლასგარეშე კითხვის სწავლების მიმართულებით აღიწერა და ისტორიულ ჭრილში გაანალიზდა საქართველოში კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხებზე შექმნილი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები. კერძოდ, ა) ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები 1910 წლიდან 1988 წლამდე; ბ) ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016 და 2017–2023; გ) სასკოლო სასწავლო გეგმები 2016–2017; დ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2008, ბოლო ცვლილება: 2014); განხილულია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები და კრებულები. ასევე, გაანალიზებულია 2011 და 2018 წლებში გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები კლასგარეშე კითხვის მიმართულებით. მიმოხილულია კლასგარეშე კითხვის მეთოდიკური სისტემა საქართველოში XX ს–ის 10–იანი წლებიდან დღემდე.
- 2) **თვისებრივი კვლევა:** ჩატარდა 3 ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ იმ პირებთან, ვინც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია კლასგარეშე კითხვის საქმიანობასთან.
- 3) **რაოდენობრივი კვლევა:** რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა დაწყებითი კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან კლასგარეშე კითხვის პროცესის ორგანიზების ხარისხის შეფასების მიზნით.

**კვლევის შედეგია** კლასგარეშე კითხვის სწავლების მიმართულებით 1910 წლიდან დღემდე ძირითადი ტენდენციებისა და ცვლილებების აღწერა–ანალიზი, მიმდინარე

ეტაპისთვის დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ჩატარებული კვლევების შედეგების **პრაქტიკული და თეორიული ღირებულების თვალსაზრისით** გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- ნაშრომი წარმოადგენს საკითხავ სამეცნიერო მასალას სტუდენტთა და კლასგარეშე კითხვის სწავლების დაინტერესებული პროფესიული საზოგადოებისათვის.
- ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამომავლოდ კლასგარეშე კითხვის პროცესის ჯეროვნად განხორციელებას;

**ნაშრომის მოკლე აღწერა:** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი ძირითადი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან.

**პირველი თავი** – ეთმობა კლასგარეშე კითხვის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრას. განსაკუთრებით, საუბარია კლასგარეშე კითხვის როლზე წიგნიერების კომპეტენციისა და მოსწავლის ჰარმონიულად განვითარების საქმეში.

**მეორე თავი** - განხილულია კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის საკითხები. კერძოდ, კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციაზე მოქმედი ფაქტორები – ოჯახი, მასწავლებელი და სკოლა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კლასგარეშე კითხვის გაკვეთილების ორგანიზებასა და სწავლების მეთოდებზე, კლასგარეშე საკითხავი მასალის შერჩევის პრინციპებსა და მეთოდებზე.

**მესამე თავი** - ისტორიულ ჭრილში განხილული და გაანალიზებულია კლასგარეშე კითხვის რეგულირების ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმები, კლასგარეშე კითხვის საკითხავი და მეთოდური სახელმძღვანელოები, სარეკომენდაციო სიები და ა.შ.

**მეოთხე თავში** წარმოდგენილია შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი, ანგარიში. კერძოდ, კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კლასგარეშე კითხვის სწავლების ხარისხის შეფასებასა და თანამედროვე ტენდენციების კვლევას.

დასასრულს კი, წარმოდგენილია **დასკვნები და რეკომენდაციები**. ნაშრომს ასევე ახლავს ოთხი დანართი. **დანართი №1** მოიცავს 2012-2013 წლებში მკითხველთა ინტერესების შესწავლად ბიბლიოთეკის ფორმულარების შესწავლის მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგებს და **დანართი №2** - მკითხველთა ინტერესების შესასწავლად ნიმუშის სახით წარმოდგენილ ანკეტას. ეს დანართები მეტად დაეხმარება მასწავლებელსაც და პროფესიულ საზოგადოებასაც სწორად შეურჩიოს მოსწავლეს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. **დანართი 3** - რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. **დანართი 4** - ცხრილები და დიაგრამები.

## თავი I

### კლასგარეშე კითხვის რაობა და მნიშვნელობა

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მოიცავს ორ მთავარ მიმართულებას: სასწავლო და კლასგარეშე საქმიანობას. წამყვან როლს სკოლის ამოცანების გადაწყვეტაში საკლასო-საგაკვეთილო მეცადინეობები ასრულებს. საგაკვეთილო მუშაობა სავალდებულოა, რადგანაც იგი ცოდნის აუცილებელ (პროგრამულ) მინიმუმს იძლევა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უყურადღებოდ დარჩეს კლასგარეშე მუშაობის პროცესი. კლასგარეშე მუშაობა ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო მეცადინეობისას გადაცემული ცოდნის გაღრმავებასა და უნარების გაუმჯობესებას. მეტიც, უნდა ითქვას, რომ კლასგარეშე მუშაობა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის განსახორციელებლად ძლიერ საშუალებას წარმოადგენს.

არსებობს კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ძირითადი სახეები:

1. კლასგარეშე კითხვა;
2. წრეობრივი მუშაობა;
3. ლიტერატურული დილა-სადამოების, დისპუტები და მკითხველთა კონფერენციები;
4. ლიტერატურული კედლის გაზეთი და ხელნაწერი ჟურნალი;
5. ლიტერატურული გამოფენა;
6. ლიტერატურული ექსკურსია და სხვა (თოფურია, 1991).

ლუარსაბ ბოცვაძემ, კახაბერას ფსევდონიმით, ჟურნალ „განათლების“ 1910 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კლასგარეშე კითხვა“ საქართველოს რეალობაში პირველმა მოგვცა კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობის და მისი სწორი ორგანიზაციის თეორიულ-პრაქტიკული დასაბუთება. აღნიშნულ სტატიას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება და შესაბამისად, საინტერესოა მისი ძირითადი ასპექტების გაცნობა. კლასგარეშე კითხვის ზოგადი პრინციპები ლ. ბოცვაძის მეთოდოლოგიურ ნააზრევში ასეა გამოხატული: „1. კლასს გარეთ კითხვა უნდა შეადგენდეს კლასში ნასწავლის დამატებას და გაგრძელებას, ამასთან უნდა სწარმოებდეს სისტემატურად. 2. კითხვამ უნდა დააჩვიოს ბავშვი აქტიურ

*მოქმედებას არა მარტო წიგნების არჩევაში, არამედ საკითხავი ნაწარმოების შინაარსთან დამოკიდებულებაშიაც; 3. დასასრულ, კითხვა უნდა იყოს ინდივიდუალური”* (თოფურია, 1991, გვ. 451).

გრ. გაბედავა თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ კლასგარეშე საკითხავი მასალა შეიძლება იყოს **საპროგრამო მასალის დამატება და თავისუფალი**. მეორე შემთხვევაში სარეკომენდაციო წიგნებიდან მოსწავლე თავისი სურვილით არჩევს მისთვის საინტერესო წიგნს. პირველ შემთხვევაში დამატებითი მასალებისა და წყაროების გაცნობით საერთო ცოდნის შეძენასთან ერთად, კითხვამ ხელი უნდა შეუწყოს საპროგრამო მასალის უფრო ღრმად და საფუძვლიანად დამუშავებას (გაბედავა, 1940). მეთოდისტთა გარკვეული წრე მიიჩნევს, რომ კლასგარეშე დამატებითი ანუ სავალდებულო კითხვა გულისხმობს პროგრამაში წარმოდგენილი მასალის შევსება–გამთლიანებას ძირითადად იმავე მწერლის შემოქმედებიდან (თაბორიძე, 1968). ამრიგად, კლასგარეშე კითხვა, ერთი მხრივ, ავსებს, აღრმავებს მიღებულ ცოდნას, მეორე მხრივ, თავისუფალი წიგნების კითხვით აცნობს ისეთ ლიტერატურულ მასალებს, რომელებიც პროგრამაში სულ არ არის შეტანილი. არსებითია ის საკითხი, რომ საპროგრამო და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა თემატურად ერთმანეთისგან არსებითად გათიშული არ უნდა იყოს. დამატებითი ანუ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ძირითადის შემავსებელ საშუალებას წარმოადგენს.

კლასგარეშე მხატვრული ლიტერატურის კითხვის *ძირითადი ამოცანები* ასე შეიძლება განისაზღვროს:

- ჩართოს სკოლის ყველა მოსწავლე მხატვრული ნაწარმოებების კლასგარეშე კითხვაში;
- გააცნოს მოსწავლეებს არასაპროგრამო ლიტერატურისა და ფოლკლორის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები;
- განუვითაროს მოსწავლეებს ლიტერატურის სიყვარული;
- შეუვსოს და უფრო განუმტკიცოს კლასში მიღებული ცოდნა მხატვრულ ლიტერატურაზე;
- გაამდიდროს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი;
- ფართო გასაქანი მიეცეს მოსწავლეთა შემოქმედებით ინიციატივას;

- განუვითაროს კვლევითი მუშაობის უნარი;
- გადაწყვიტოს სასწავლო–აღზრდელობითი ამოცანები;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას;
- დააუფლოს და უფრო განუვითაროს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებსა და კითხვის წესებს;

კლასიკური გაგებით, კლასგარეშე კითხვა მოსწავლეთა გონებრივი, ესთეტიკური და მორალური აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებში ვხვდებით მითითებებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მხატვრული ლიტერატურის სწავლების შესახებ. იგი სკოლისგარეშე კითხვას „ჩინებულს ღონისძიებას“ უწოდებს და მას უშუალოდ უკავშირებს სასწავლო-აღზრდელობითი ამოცანების სწორად გადაწყვეტას (ქურდაძე, 1960).

*გონებრივი აღზრდის* მთავარი ამოცანაა, მოსწავლე შეაიარაღოს არა მარტო მეცნიერული საფუძვლების ცოდნით, არამედ მისცეს მას საერთო განათლება და კულტურა, განუვითაროს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, წიგნის სიყვარულის გრძნობა. გონებრივმა აღზრდამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა წიგნი, რომელიც ინახავს ადამიანთა განცდებს, ფიქრებს, ოცნებას, ფანტაზიას, ვარაუდებსა და სურვილებს, ბავშვისა და მოზარდის განუყრელი მეგობარი და მრჩეველი გახდეს. გონებრივი აღზრდის ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში საპატიო ადგილი უჭირავს კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას. ამ ლიტერატურაში, უპირველესად, მხატვრული ლიტერატურა იგულისხმება.

წიგნი არა მარტო გონებრივად ავითარებს ადამიანს, არამედ სულიერად ზრდის და აყალიბებს მკითხველს, უღვიძებს მას ესთეტიკურ გემოვნებას, უვითარებს იდეალებსა და *მორალს*. კ. უშინსკი აღნიშნავდა, რომ „*მხატვრული ლიტერატურა გვაძლევს უმდიდრეს მასალას ემოციური აღქმისათვის, აიძულებს ბავშვებს ნათლად და ღრმად განიცადონ მოქმედი პირების ზნეობრივი საქციელი და გრძნობები*“ (კაკაბაძე, 1966, გვ. 21). იან ამოს კომენსკი კი წერდა: „*მოსწავლეებმა უნდა შეითვისონ მოძღვრება ზნეობის შესახებ, რომელიც გამოხატულია წესებში და განმარტებულია მაგალითებით ასაკის შესაბამისად*“ (კომენსკი, 1949, გვ. 175). ზნეობრივი აღზრდის

ასეთ წყაროს კი სად ვნახავთ, თუ არა წიგნებში. კლასგარეშე კითხვა იძლევა **ზნეობრივი აღზრდის** ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტის საშუალებას.

მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბების მყარ საფუძველს ქმნის კლასგარეშე საკითხავ ნაწარმოებებზე მსჯელობა და მოსწავლეთა მიერ შერჩეული ადგილების გამომეტყველებითი კითხვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა **ესთეტიკურ აღზრდასაც**.

ასევე, კლასგარეშე კითხვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ლექსიკის გამდიდრებას. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში, რამდენიმე მკვლევარმა (ანდერსონი, უილსონი და ფილდინგი), მე-5 კლასის მოსწავლეთა მიერ კლასგარეშე მასალების რამდენიმე თვის მანძილზე ყოველდღიური კითხვის ხანგრძლივობა გააანალიზა. ანალიზის შედეგები განსაცვიფრებელია: კითხვის მოყვარული ბავშვები, რომლებიც, კითხვის ხანგრძლივობის თვალსაზრისით ზედა 10%-ს შეადგენენ, წელიწადში, საშუალოდ, 200-ჯერ მეტ სიტყვას კითხულობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც კითხვას ყველაზე ნაკლებ დროს უთმობენ (ქვედა 10%). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ განსხვავების მიზეზი სწორედ ბავშვებს შორის კითხვაზე დახარჯული დროა (ჯანელიძე, ლაბარტყავა, კვიციანი, და ქობალია, 2014, გვ. 25)


აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში რასაც ზოგადი განათლების სისტემა ისახავს მიზნად, მისი შესრულების ერთ-ერთ გარანტიას კლასგარეშე კითხვა წარმოადგენს. კერძოდ, კლასგარეშე კითხვას, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შეუძლია:

- ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც იქნება თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი;
- გააცნობიერებინოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობა;
- მომართოს ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებისა და დაცვისკენ;
- მოსწავლე გახადოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;
- მოსწავლეს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა) (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004);

კლასგარეშე კითხვა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს წიგნიერების კომპეტენციის განვითარებას. წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამიტომ, წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე სკოლის შემდგომ ასაკში. მრავალ ქვეყანაში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა იმ მოზარდებისა და ზრდასრულებისათვის, რომლებიც, ამა თუ იმ მიზეზით, უწიგნურად დარჩენის რისკის წინაშე დგანან.

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, კლასგარეშე კითხვა ემსახურება სკოლის საერთო სასწავლო-აღზრდელობით ამოცანებს, ხელს უწყობს პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისებას, წიგნიერების დონის ამაღლებას, მოსწავლეთა ზოგად განათლებასა და გონებრივ განვითარებას. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ფართო ლიტერატურული განათლების მიღება შეუძლებელია, თუ მოსწავლე არ არის დაუფლებული კითხვის კულტურას, არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად წასაკითხი მასალის შერჩევასა და არ აქვს შესაძლებლობა თავისუფალი კლასგარეშე კითხვისა. საბოლოო ჯამში, კლასგარეშე კითხვა ემსახურება აღზრდის მთავარ მიზანს, უდიდესი როლი აქვს პიროვნების ჰარმონიული განვითარების საქმეში.

სქემა №1.1 კლასგარეშე კითხვის სახეები, მნიშვნელობა და ამოცანები



## თავი II

### კლასგარეშე კითხვის ორგანიზება

უმიზნო და უსისტემო კლასგარეშე კითხვას სარგებლობის ნაცვლად დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. პრაქტიკული თვალსაზრისით, კლასგარეშე კითხვის სწორი ორგანიზაციის მიზნით, ლ. ბოცვაძე გამოყოფს სამ ძირითად საკითხს:

1. როგორ უნდა ხდებოდეს წიგნების არჩევა სკოლაში;
2. როგორ უნდა მოწმდებოდეს წაკითხული;
3. როგორ უნდა მივაჩვიოთ მოსწავლე დამოუკიდებლად კლასგარეშე კითხვას.

(თოფურია, 1991);

აღსანიშნავია, რომ კლასგარეშე კითხვის სწორად წარმართვისა და ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების განხილვა. ზუსტად არის გასააზრებელი მასწავლებლის, სკოლისა და ოჯახის როლი კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საქმეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე თავში განხილულია კლასგარეშე ლიტერატურის შერჩევის მეთოდები და პრინციპები, ქართულის გაკვეთილზე კლასგარეშე კითხვის ორგანიზების ფორმები და სწავლების მეთოდები, კლასგარეშე კითხვის ორგანიზებაზე მოქმედი ფაქტორები.

#### §2.1 კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას:

- მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებანი (მოტივაცია, ინტელექტი, სწავლისადმი დამოკიდებულება, სწავლის სტილი);
- სოციო-კულტურული გარემო (კულტურული გარემო ყველაზე დიდ როლს თამაშობს, კულტურული ღირებულებები განაპირობებს თუნდაც იმას, თუ რა უნდა ვიკითხოთ);
- ოჯახი (ოჯახში, სადაც არის სხვადასხვა საკითხავი მასალა ეს იქნება წიგნები, გაზეთები და ა.შ. პირდაპირ უბიძგებს მოსწავლეს იმ აზრისკენ, რომ კითხვა არის მნიშვნელოვანი აქტივობა იმისთვის, რომ მიიღო ცოდნა, დაისვენო,

გაერთო... მშობლებიც ხომ, სწორედ, სხვადასხვა მიზნით კითხულობენ სახლში და ისინი არიან მოდელები ბავშებისთვის);

- **სკოლა** (სკოლა მჭიდრო კავშირშია თანამშრომლობით სწავლებასთან, რადგან სწორედ იქ იქნება საშუალება გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, გარდა ამისა, სწორედ სკოლამ უნდა ასწავლოს მოსწავლეებს კითხვა);
- **მეგობრები** (საშუალება ეძლევათ გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება)...

## ოჯახის ფაქტორი

აუცილებელია მოსწავლის კლასგარეშე კითხვის საქმეში **ოჯახის ჩართვა**. სკოლა და ოჯახი შეთანხმებულად, სწორი პედაგოგიური მეთოდებით უნდა წარმართავდნენ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის საქმეს „*მშობლები მოვალენი არიან ყოველ დღე ბავშვებს ერთი თავისუფალი საათი მაინც მოანდომებინონ წიგნის კითხვას*“- ი. გოგებაშვილი (გუჯაბიძე, 1968, გვ. 2).

PIRLS-2011 და PIRLS-2016, რომელიც იკვლევს 9-10 წლის მოზარდთა (მეოთხე კლასელთა) კითხვის უნარებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსწავლეებს, რომელთა წიგნიერების განვითარებას ოჯახში ხელს უწყობენ, კარგი მკითხველები არიან. კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოზარდებს, რომელთაც ოჯახებში აქვთ კითხვის სწავლის მხარდაჭერა და წიგნის კითხვის მკვიდრი ტრადიცია; ასევე, სახლში აქვთ სასწავლო რესურსი - წიგნები, მეტი ციფრული მოწყობილობა, ან მუდმივად სარგებლობენ ოჯახის წევრები ბიბლიოთეკით თუ წიგნების მაღაზიით; ჰყავთ განათლებული მშობლები და მათს მშობლებს უყვართ კითხვა. კარგი მკითხველის მშობლებს ადრეული ასაკიდანვე ბავშვები ჩართულები ჰყავთ წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში (მაგალითად, სხვადასხვა სახის სახალისო თამაშები ასოებისა და სიტყვების გამოყენებით, მცირე მოცულობის წიგნის კითხვა და წაკითხულზე საუბარი და ა.შ). კითხვის უნარის განვითარებისთვის საჭიროა დისკუსია წაკითხულის შესახებ ოჯახის წევრებთან. ამასთან, ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, წიგნიერების უფრო მაღალ დონეს აჩვენებენ (PIRLS-2011, PIRLS-2016, <https://www.naec.ge/#/ge/post/1759>). დიდი მიღწევები აქვთ კითხვაში იმ მოსწავლეებს, რომლებიც კითხულობენ თავისუფალ

დროს. უარყოფითად მოქმედებს წიგნიერების განვითარებაზე ტელევიზორის დიდხანს ყურება;

ბევრი რამ არის გასაკეთებელი მშობელთა ინფორმირებისთვის. რა მოვუხერხოთ მათ, ვისთვისაც შვილების სწავლა არ არის პრიორიტეტი? საჭიროა, სკოლების გააქტიურება იმ მიმართულებით, რომ მიაწოდონ მშობლებს ინსტრუქციები ბიბლიოთეკის გამოყენებასთან დაკავშირებით, მოიწვიონ ისინი სკოლაში, რათა ჩაერთონ განსახორციელებელ პროექტებში, მოაწყონ კონფერენციები მშობელთა ჩართულობით და ჰქონდეთ სისტემატიური კონტაქტი.

სასურველია, სკოლებში შექმნას **მშობელთა კითხვის კლუბი**. მნიშვნელოვანია, მშობლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდოს იმის შესახებ, რა უნდა წაკითხონ მათმა შვილებმა, რა აუცილებელი და პოპულარული ლიტერატურა არსებობს, რომლის წაკითხვაც სავალდებულოა. მშობლებისთვის შეიძლება გაკეთდეს ინსტრუქციები (ჰენდაუტები) და ბიბლიოგრაფიაც, მონაწილეობა მიიღონ კითხვის პროცესში და ა.შ.

ყველაზე რთული დავალება წიგნის შერჩევას, ამიტომ მშობლებს ეს კლუბი დაეხმარებათ როგორც წიგნის შერჩევაში, ასევე იმ ინფორმაციის მიღებაში, თუ როგორ უნდა წარიმართოს წიგნის კითხვის პროცესი. მშობელთა კლუბში შესაძლებელია შედიოდნენ როგორც მასწავლებლები, ასევე ბიბლიოთეკარები, ბავშვები და ა.შ.

*კლუბის შექმნისთვის საჭიროა გეგმა:* პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: სად, როდის ჩატარდება შეხვედრა, რა სიხშირით, რა იქნება საუბრის თემა და ა.შ.

ასევე, *საჭიროა მოდერატორი, რომლის მახასიათებლებიდან მნიშვნელოვანია:*

- ნაცნობი იყოს მისთვის წიგნი და თემა;
- მოემზადოს დამატებითი სადისკუსიო კითხვებისთვის;
- ჰქონდეს ინსტრუქციები და ბიბლიოგრაფია;
- იცოდეს საინტერესო ფაქტები ავტორის, წიგნისა და ჟანრის შესახებ;
- გაავრცელოს საჭირო წიგნები;
- შექმნას შესაბამისი გარემო

*კლუბის წევრისთვის აუცილებელი მოთხოვნაა:*

- ისაუბრონ წაკითხულის შესახებ;
- ჩაერთონ დისკუსიაში;
- გაუზიარონ გამოცდილება და გრძნობები;
- წაუკითხონ ბავშვებს წიგნი;
- აქტიურად დაესწრონ შეხვედრებს და იყვნენ მოწესრიგებულები; (Knowles & Smith, 1997);

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობას ამ მიმართულებით კარგი შედეგის მოტანა შეუძლია. ეს გაცნობიერებული აქვთ ძალიან ბევრ ქვეყანაში და არსებობს შესაბამისი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მშობლების კითხვის პროგრამებში ჩართვას. მაგალითად, SSDEC Literacy Project (<https://www.ssdec.net/home>) კომიტეტის ინიციატივით შექმნილია შინ კითხვის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დეტალურად არის გაწერილი ინსტრუქცია, შინ კითხვის პროცესთან დაკავშირებით მშობლებთან როგორ ითანამშრომლოს სკოლამ და მასწავლებელმა.

მშობლებისთვის შემუშავებულია ინსტრუქცია როგორ გაუზიარონ წაკითხულის შესახებ ინფორმაცია შვილებს. მაგალითად,

1. წიგნის ერთობლივი კითხვა - წაკითხეთ ნელა და ჰკითხეთ ხოლმე წაკითხულის შესახებ;
2. სანამ დაიწყებთ კითხვას, თქვენს შვილს უთხარით წიგნის სათაური და ჰკითხეთ მათ აზრი რაზე შეიძლება იყოს წიგნი;
3. შეეცადეთ კითხვისთვის გამოყოთ დრო და არ იფიქროთ იმ „101 საქმეზე“, რომელიც კიდევ გაქვთ გასაკეთებელი;
4. ესაუბრეთ წაკითხულზე მაშინაც, როცა დაამთავრებთ კითხვას, ეს მას დაეხმარება ინფორმაციის კარგად დამახსოვრებაში;
5. ესაუბრეთ იმ წიგნებზეც, რომლებიც ერთად გაქვთ წაკითხული და გაავლეთ პარალელები მანამდე წაკითხულსა და ახლად წაკითხულს შორის;

რა შეიძლება ისწავლოს შვილმა, როდესაც ერთად კითხულობთ?

- კითხვა არის სახალისო;
- შენ აფასებ მის მოსაზრებებსა და იდეებს;

- ოჯახის იდეები, ღირებულებები;
- გიყვარს დროის მასთან მარტო გატარება;

საინტერესოა, კლასგარეშე კითხვის პროცესში მშობლების ჩართულობის ხელშესაწყობად რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ანგარიშის თანახმად, 2015 წლიდან სამინისტრომ დაიწყო „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამის“ განხორციელება, რომელის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მშობელთა ცნობიერების ამაღლება განათლების საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის ფარგლებში:

- მუშავდება ელექტრონული გზამკვლევი, სადაც აღნიშნული მიმართულებით მშობელთათვის განთავსდება ფსიქოლოგებისა და სამართლებრივი საკითხების; ექსპერტის რეკომენდაციები;
- ჩატარდა მასშტაბური კონფერენცია მშობელთათვის „მშობლის მონაწილეობა განათლების პროცესში. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ანგარიში)

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის 2017-2021 ამოცანაა სკოლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით აღმზრდელ-პედაგოგთა და ადმინისტრაციისთვის საინფორმაციო მასალის მომზადება. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მშობელთა ჩართულობის მიმართულებით საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PRIED), რომელიც ხორციელდება საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად და მისი მიზანია მისი მიზანია საქართველოს განათლებისა კითხვასა და მათემატიკაში დაწყებითი კლასების (I-VI) მოსწავლეების მიღწევების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებშიც შემუშავდა სხვადასხვა საცნობარო მასალა, რესურსები როგორც სკოლებისთვის, ისე მშობლებისთვის. მაგალითად, პირველი მნიშვნელოვანი რესურსი ეს არის მშობლებისთვის განკუთვნილი „აქტივობების ბარათები“, რომელშიც წარმოდგენილია აქტივობების აღწერა მშობლებისთვის (მაგალითად, ერთობლივი

კითხვა, ხმამაღლა კითხვა, მიხვდი რა მოხდება შემდეგ..., საკითხავი მასალის შერჩევა, კითხვის კარავი და ა.შ.). კრებულში მოცემული აქტივობები ემსახურება როგორც მათემატიკურ, ისე კითხვის უნარების გაუმჯობესებას. აქტივობის ბარათები დაჯგუფებულია კლასების მიხედვით (I-II, III-IV და V-VI კლასები) ასევე, შექმნილია „რეკომენდაციები მშობლებისთვის“, „ვიდეო რეკომენდაციები „1 წუთი მაესტროზე“ პროექტის ფარგლებში“; ხოლო სკოლებისთვის შეიქმნა ისეთი რესურსები, როგორებიცაა: „რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის, მშობელთა ჩართულობა“ (2015), კითხვის კონკურსების იდეები კლასების მიხედვით, მშობელთა ჩართულობის სარეკლამო ბანერები (<http://kargiskola.ge/parental/parental.php>);

აღსანიშნია „სასკოლო ინიციატივების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანიცაა *სასკოლო ინიციატივების დაფინანსების გზით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის და სასკოლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.*

- სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების ხელშეწყობა - 2016 წელს შემუშავდა ახალი „სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამა“, რომლის ფარგლებშიც 31 საჯარო სკოლას მიეცა საშუალება განეახლებინა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ანგარიში).
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მხოლოდ 2017 წლიდან დაწყო კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა - 2017 წლიდან განახორციელა პროგრამა „სკოლების საგრანტო დაფინანსება თავისუფალი გაკვეთილების.“ თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების ხელშეწყობა სპორტის, წიგნიერების, კულტურა/ხელოვნება და ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით გულისხმობს მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება საგაკვეთილო პროცესისგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მომზადებას, მოსწავლის შეფასებას და არ აქვს საგაკვეთილო სახე; პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო სასწავლო

გარემოს შექმნა და საჯარო სკოლების გაძლიერება. დაფინანსება მოიცავდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, დირექცია/ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებას და რესურსების თანხას. 1150 საჯარო სკოლაში დაფინანსდა ექსტრაკურსული აქტივობები. მათ შორის წიგნიერების მიმართულებით - 637, ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით - 804; (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში). საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტში „სასკოლო აქტივობების ხელშესაწყობად“ გამოიყო 900 ათასი ლარი (ფაქტიურად შესრულდა 554 ათასი ლარი). განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) თანახმად, აღნიშნული პროგრამის დაფინანსება გრძელდება 2021 წლამდე, დაგეგმილია 2021 წლისთვის პროგრამაში არანაკლებ 80 000 მოსწავლის ჩართვა. 2018-2021 საშუალო ვადიანი ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის 2019 წელს მილიონ ორასი ათასით, ხოლო 2020, 2021 წელს მილიონ სამასი ათასით დაფინანსება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018-2021 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა);

გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა: „*თითოეულ მოსწავლის ინტერესზე მორგებული უსაფრთხო, ჯანსაღი, მზრუნველი და მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნა*“, რომლის მიღწევის ერთ-ერთ აქტივობად დასახელებულია „სკოლის შემდგომი პროგრამებისა და კლასგარეშე აქტივობების მრავალმხრივი განვითარება/შექმნა ყველა მოსწავლისათვის“ (აქტივობა 2.6.), რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ექსტრაკურსული პროგრამის, სკოლების საზაფხულო ბანაკების, ხელოვნების წრეების, ეკო კლუბების და სხვა რაოდენობის გაზრდა (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში)

საინტერესოა სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მშობლებისთვის მომზადებული რეკომენდაციები შინ კითხვისთვის პრაქტიკული

რჩევები მშობლებისთვის, რომელიც ნამდვილად სასარგებლოა მშობლებისთვის. ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციების მცირე ჩამონათვალი:

- წახალისეთ ბავშვები, წიგნები იკითხონ იმ საკითხებზე, რაც მათ აინტერესებთ;
- წაკითხეთ ბავშვებს თამაშების ინსტრუქციები, წამლის ინსტრუქციები და ა.შ.
- უზრუნველყავით სახლში ბავშვისათვის მშვიდი ადგილი, სადაც მას შეეძლება წიგნის წაკითხვა;
- ოჯახის ყველა წევრმა გამოყავით დრო კითხვისათვის. გამორთეთ ტელევიზორი და შეუდექით კითხვას. ამით აჩვენებთ ბავშვს, რომ კითხვა მნიშვნელოვანია.

ცხადია, შინ კითხვის სწორად წარმართვაზე მშობლებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კითხვის სწავლების პროცესში მასწავლებლის როლი ნაკლებია. პირიქით, სწორედ, მასწავლებელმა უნდა უხელმძღვანელოს კლასგარეშე კითხვის პროცესს და შეძლოს ფუნქციების სწორად დელეგირება მშობლებზე. ასევე, მნიშვნელოვანია სკოლისა და სამინისტროების აქტიური ჩართულობა კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად განხორციელებისათვის. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა კლასგარეშე აქტივობების მიმართულებით პროგრამა/ქვეპროგრამა, თუმცა ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია და მნიშვნელოვანია, კონკრეტულად კლასგარეშე კითხვის ხელშესაწყობად შეიქმნას გაცილებით მეტი პროგრამა, რომელიც შეუწყობს ხელს საქართველოში წიგნიერების დონის გაზრდას (PIRLS 2016 წლის შედეგებით საქართველოს PIRLS სკალის საშუალოზე (500) დაბალი მაჩვენებელი აქვს - 488 (<https://www.naec.ge/#/ge/post/1759>) თუ კითხვის უნარების განვითარებას მოსწავლეებში და ასევე, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

## საკლასო გარემო და მასწავლებელი

კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაში ძალიან დიდია სკოლისა და მასწავლებლის როლი. კერძოდ, სკოლა შეიმუშავებს კითხვის სწავლების გეგმას, განსაზღვრავს კითხვისათვის განკუთვნილ სასწავლო დროს (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი სააღმზრდელო მომსახურებები), ქმნის სასკოლო გარემოს, უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსებით და ა.შ.

მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის ხელმძღვანელობა არა მარტო საგნის მასწავლებლის, არამედ სკოლის ყველა მასწავლებლის დანიშნულებაა. სასწავლო წლის დასაწყისში აუცილებელია კათედრაზე კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული მუშაობის გეგმის განხილვა, პერიოდულად კი სასურველია გეგმის შესრულების შედეგების მოსმენა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის საერთო კლასგარეშე კითხვის ღონისძიებების ჩატარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს *ბიბლიოთეკის მუშაობას, საგნის მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარის ურთიერთობას*.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ 1966 წელს საშუალო სკოლების სამტატო განრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო დირექტორის მოადგილის თანამდებობა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში (ციქურიშვილი, 1968);

ისევ PIRLS-2011, PIRLS-2016 შედეგები ადასტურებს, რომ კარგი მკითხველები სწავლობენ სკოლებში, სადაც არის ზოგადად პოზიტიური გარემო, ასევე, რესურსებით მდიდარ და აკადემიურ, ორგანიზებული სასკოლო გარემო. კერძოდ, კითხვაში მაღალ მიღწევები დამოკიდებულია სკოლის ადგილმდებარეობაზე, სტატუსზე, ხელსაყრელ სოციო-ეკონომიკური ფონზე სკოლაში, უსაფრთხო, მოწესრიგებულ და დისციპლინირებულ სკოლაზე, კითხვის სწავლებაში რესურსების უკმარისობის მინიმალურ გავლენაზე სწავლების პროცესში, სკოლის აქცენტზე მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებზე (<https://www.naec.ge/#/ge/post/1759>)

როდესაც დაწყებით საფეხურზე კლასგარეშე კითხვის ხელმძღვანელობის საკითხზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია და შინაარსი *განსხვავდება* პირველ კლასში კითხვის ორგანიზაციისა

და შინაარსისგან. საანბანო პერიოდში კლასგარეშე კითხვას მთლიანად მასწავლებელი წარმართავს და ეს მისგან საგანგებო მომზადებას მოითხოვს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს სწორად ჰქონდეს გაცნობიერებული კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობა და სწორად ხელმძღვანელობდეს ამ პროცესს. მასწავლებლის უხეშმა ჩარევამ, მაგალითად, ახსნა–განმარტებამ კითხვის დროს შეიძლება დაარღვიოს ბავშვის ესთეტიკური განცდა. შეკითხვების დასმა და გაურკვეველი საკითხების ახსნა მისაღებია თბრობისა თუ კითხვის დასრულების შემდეგ. (ჩოლოყაშვილი–კარჭაული, 1959). პლატონის სიტყვებით: „თუ მეწაღე ცუდი გამოდგება, თავის მოწაფეს ისევე ცუდად აღზრდის, როგორც თვითონ არის, და თავის თავს მეწაღეს დაუძახებს, მაშინ როდესაც მას ამ ხელობაზე არავითარი წარმოდგენა არ აქვს, სახელმწიფოს ამით დიდი ზარალი არ მოუვა. ათინელებს ფეხთ კი ცოტა ცუდად ეცმევათ – აი, ამის ერთადერთ შედეგი. მაგრამ, თუ ახალგაზრდობის აღმზრდელები ცუდად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაშინ შედეგები სულ სხვანაირი აღმოჩნდება: იმათი ხელიდან გამოსული ცუდი შრომა მისცემს სახელმწიფოს უმეცარსა და მავნე თაობებს, რომელნიც თავიანთი ქვეყნის მომავალს დაღუპავენ” (ზანდუკელი, 1934, გვ. 5);

ამდენად, „დაწყებითი სკოლის ასაკში მათი კითხვის უნარები, ქცევები და დამოკიდებულებები ძირითადად სკოლასა და სახლში ვითარდება. კითხვის უნარის განვითარებას ხელს უწყობს მრავალი რესურსი და აქტივობა, მათ შორის, მშობლის არაფორმალური, ყოველდღიური მოქმედებები (წიგნის კითხვა, წაკითხულზე საუბარი და სხვა). აღსანიშნავია, რომ კითხვის სწავლისთვის ასეთი, ნაკლებად სტრუქტურირებული, აქტივობები ისეთივე მნიშვნელოვანია ბავშვისთვის, როგორც კითხვის სტრუქტურირებულად, მიზანმიმართულად სწავლება კლასში. ორივე გარემო, სკოლა და სახლი, ერთმანეთის ხელშეწყობ და კითხვის სწავლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს”. (PIRLS-2011, გვ. 104)

## §2.2 კლასგარეშე კითხვის ორგანიზების ძირითადი ფორმა და სწავლების მეთოდები

კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის ძირითად ფორმად მიჩნეულია **კლასგარეშე კითხვის გაკვეთილი**. კლასგარეშე კითხვის გაკვეთილის მიზანია:

- მოსწავლეებში კითხვისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება;
- წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავება;
- დაკვირვების, წაკითხულის არსში წვდომის უნარის განვითარება;
- მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოება და ცოდნის გაღრმავება (ბერიძე, 1987);

კლასგარეშე კითხვის გაკვეთილების ჩატარების ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია **მასწავლებლის** შემოქმედებით უნარზე, მის შინაარსიან და ნაყოფიერ მუშაობაზე.

კლასგარეშე კითხვის გაკვეთილს *საკლასო კითხვის* გაკვეთილთან საერთო აქვს ის, რომ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის თემატიკა საკლასო კითხვის თემატიკას ემთხვევა, მას ეყრდნობა და კლასში საკლასო კითხვის გზით მიღებულ ინფორმაციას აღრმავებს. თუმცა, არსებითი განსხვავება არის ის, რომ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილის მთავარი მიზანი დამოუკიდებელი კითხვის უნარის განვითარებაა. ასეთი გაკვეთილი თავისუფალია იმ რეგლამენტის, დეტალური ლექსიკურ–შინაარსობრივი ახსნა–განმარტებებისაგან, რომლებიც საკლასო კითხვის უმთავრესი საგანი და მიზანია.

მხედველობაშია მისაღები კლასგარეშე კითხვის გაკვეთილის შემდეგი **დიდი თავისებურება**. ასეთ გაკვეთილზე ერთი და იმავე მასალის დეტალური კითხვა–დამუშავება კი არ ხდება, რაც საკლასო კითხვისთვის დროს აუცილებელი მახასიათებელია, არამედ უმთავრესად დამოუკიდებლად წაკითხული ტექსტის შინაარსის ანალიზისთვის მასწავლებელი აწყობს მიზანმიმართულ შემაჯამებელ გაკვეთილს. მასწავლებელი განმაზოგადებელი კითხვების დასმის გზით ამოწმებს მოსწავლის დამოუკიდებელი დაკვირვების, მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს (რამიშვილი, 1982).

გამოიყოფა *სამი ტიპის კლასგარეშე კითხვის გაკვეთილი*:

- I. მთლიანი ტექსტის ან ტექსტიდან მოსწავლეების მიერ წინასწარ შერჩეული ადგილების კითხვა და წაკითხულის გაანალიზება (V-VII კლასებში შეიძლება გამოვიყენოთ);
- II. ნაწარმოების გარჩევა მასწავლებლის მიერ წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე (VII- VIII კლასებში შეიძლება გამოვიყენოთ);
- III. მოსწავლეთა მიერ შინ წაკითხული ნაწარმოებების გარჩევა;

გაკვეთილის სახის შერჩევა ასაკის გარდა, წაკითხულის შინაარსის სირთულიდან გამომდინარეობს (კაკაბაძე, 1966).

ე. კაკაბაძე (1966) გამოყოფდა გაკვეთილის შემდეგ კომპონენტებს:

1. მასწავლებლის შესავალი საუბარი;
2. ტექსტის ნაწილების კითხვა და შემდეგ მისი გარჩევა ფრონტალური კითხვების საშუალებით;
3. ნაწარმოების შინაარსის თხრობა;

მისივე აზრით, სასურველია, რომ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილებს წინ უძღოდეს *მოსამზადებელი პერიოდი*. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს ის კითხვები, რომლებსაც იგი გაკვეთილის პროცესში გამოიყენებს. მისცეს ინდივიდუალური დავალებები მოსწავლეებს – მოამზადონ ჯგუფში მოსაყოლად ის ნაწილები, რომლებიც მოქმედი გმირის დახასიათებას გამოხატავს ან პასუხობს საკვანძო კითხვებზე (კაკაბაძე, 1964);

პირველი სამი გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი მოსწავლეებს შესაძლებელია ამზადებდეს ყურადღებიანი კითხვისთვის, საუბრობდეს წიგნის როლზე ადამიანის ცხოვრებაში. მეოთხე გაკვეთილზე კი მასწავლებელს შეუძლია დაიწყოს იმ ნაწარმოების განხილვა, რომელიც დამოუკიდებლად წაიკითხეს მოსწავლეებმა. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დაუსვას შემდეგი სავარაუდო კითხვები: რით მიგიზიდათ წიგნის სიუჟეტმა? რითი მიიპყრო თქვენი ყურადღება ნაწარმოების პერსონაჟმა? გაკვეთილის ბოლოს სასურველია შეირჩეს წიგნი, რომლის განხილვაც მოხდება მომდევნო გაკვეთილზე. ასეთი გაკვეთილის მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოების შეგნებული კითხვის კულტურა.

ვ. რამიშვილი მიიჩნევს, რომ კლასგარეშე კითხვის პროცესის ეფექტიანად ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია *სამუშაო გეგმის შედგენა* (რამიშვილი, 1939):

1. წინასწარი მუშაობა – ფაქტობრივი მდგომარეობის დემონსტრირება (გარკვევა იმისა, თუ ვის რა წაუკითხავს);
2. წიგნის გაცნობა;
3. წიგნის შერჩევა;
4. ტექსტზე მუშაობა;
5. შემოწმება;
6. აღრიცხვა;

**წინასწარი მუშაობის** ჩასატარებლად მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს დაუსვას შემდეგი კითხვები: რა ახალი წიგნები წაიკითხეთ ბოლო პერიოდში? რა თემაზე დაწერილი ნაწარმოებების კითხვა გიყვართ? რომელი მხატვრული ნაწარმოები მოგეწონათ ყველაზე მეტად? მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავის მიერ წაკითხული წიგნების სია და აღნიშნოს მისი საყვარელი ნაწარმოები.

კლასგარეშე კითხვის ხელმძღვანელობისას მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ რა ხასიათის წიგნები აინტერესებთ მოსწავლეებს, საიდან სარგებლობენ ასეთი წიგნებით, როგორ პირობებში, გარემოში უხდებათ კითხვა, რამდენად მიზანდასახული, გონივრული, თანამიმდევრული ხასიათი აქვს ასეთ კითხვას და ა. შ. არის არაერთ შემთხვევა იმისაც, რომ მოსწავლე, მშობლისა და მასწავლებლის უკონტროლობის გამო, ადრეულ ასაკში კითხულობს მისთვის შეუფერებელ, სქელტანიან და ძნელად გასაგებ წიგნებს, რაც იწვევს გადაქანცულობას.

**წიგნის გასაცნობად** მასწავლებელმა წინასწარ უნდა ისაუბროს ზოგადად წიგნის როლსა და მის მნიშვნელობაზე.

კლასგარეშე საკითხავი **ლიტერატურის შერჩევა** აუცილებელია მოსწავლის ასაკისა და გონებრივი განვითარების შესაბამისად, ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მხოლოდ ამ პრინციპების დაცვის შემთხვევაშია შესაძლებელი სასურველ შედეგს მიაღწიოს მიზანდასახულმა, გონივრულმა და თანამიმდევრულმა კლასგარეშე კითხვამ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსწავლეთა *ინტერესები* ინდივიდუალური ხასიათისაა. „*კითხველური ინტერესები შეიძლება ორ ძირითად*

ნაწილად დაიყოს: ა) ფორმალური ინტერესები; ბ) არსებითი ინტერესები, ანუ თემატური ინტერესები; პირველ შემთხვევაში ვგულისხმობთ ისეთ ინტერესს, რომელიც წიგნის გარეგნულ, ფორმალურ, არათვისობრივ მხარეებს შეეხება. ფორმალურ ინტერესებს განეკუთვნება აგრეთვე ჟანრობრივი ინტერესები. არსებითი, ანუ თემატური ინტერესი გულისხმობს მკითხველის დაინტერესებას წიგნში მოცემული შინაარსის თემატიკის, მოვლენების, საგნების მიმართ” (ლორია, 1970, გვ. 128–144).

ლიტერატურული ინტერესის გამოსავლენად მასწავლებლის მიერ ჩატარებული საუბარი უნდა იყოს უშუალო, ძალდაუტანებელი, მოსწავლემ არ უნდა ჩათვალოს, რომ მას „ამოწმებენ“. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეთა დასაინტერესებლად წიგნიდან საინტერესო ადგილს წაიკითხავს.

მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს მეთოდისტების მიერ შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კატალოგებით თუ კლასგარეშე საკითხავი სახელმძღვანელოებითაც, რომელთა შესახებ საუბარია წინამდებარე ნაშრომის შემდეგ თავებში. კარგად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ცუდად შერჩეული წიგნის კითხვამ შესაძლოა უფრო უარყოფითი შედეგები მოიტანოს, ვიდრე არაფრის კითხვამ.

კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზება მასწავლებლისაგან ბევრ შრომას მოითხოვს არა მარტო წიგნების შერჩევაში, არამედ აზრიანად და დამოუკიდებლად კითხვის პროცესის წარმართვაში. ამ შემთხვევაში მასწავლებლის წინაშეა ორი მიზანი: მოსწავლისთვის კითხვის ინტერესის გაჩენა და კლასგარეშე კითხვის პროცესის სწორად წარმართვა. ლ. ბოცვაძე დასახელებული მიზნების მიღწევის ორ უმთავრეს საშუალებად მიიჩნევს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კლასში ერთობლივად თუ დამოუკიდებლად კითხვასა და წაკითხულის შემდგომ განხილვას (ბოცვაძე, 1910). კლასში კითხვა შეადგენს ერთგვარ საფეხურს საკლასო კითხვიდან კლასგარეშე კითხვაზე გადასასვლელად.

კითხვის პროცესი სწორად რომ მიმდინარეობდეს, უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად პირობას:

- იდეური კითხვა;
- კითხვის მიზანი და მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება;

- კითხვის მაღალი კულტურა (ლორია, 1970);

იდეური კითხვა გულისხმობს წიგნის შინაარსისა და იდეისადმი დამოკიდებულების გარკვევას. ყველა მკითხველი წიგნს უნდა უყურებდეს კრიტიკული თვალთ, მოითხოვდეს მისგან მაღალი დეურობას, მაღალმხატვრობას.

*კითხვის კულტურა* მოითხოვს შემდეგი ფაქტორების ცოდნას:

- **კითხვის პროცესის დაგეგმვა და მიზნობრიობა** - წასაკითხი მასალის განსაზღვრა და ამ მასალის წაკითხვისთვის გამოყოფილი დროის დადგენას;
- **წიგნის შერჩევის ცოდნა** - გამომდინარეობს კითხვის მიზნიდან.
- **მასალის ათვისების სიღრმე** - მოითხოვს *წაკითხული მასალის ღრმა და საფუძვლიან* ცოდნას. მკითხველს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. სრულყოფილი და ნათელი წარმოდგენა უნდა შეექმნას წიგნსა და მასში განხილულ მოვლენებზე;
- **წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ცოდნა** - გულისხმობს მასალის დამუშავების გზებს/მეთოდებს. მოსწავლისთვის უცხო არ უნდა იყოს გაუგებარი სიტყვებისა და გამონათქვამების ამოწერა და განმარტება, გეგმის შედგენა, სხვადასხვა მეტაკოგნიტური რუკის გამოყენება წაკითხულის გასაანალიზებლად და ა.შ;
- **წიგნის სისტემური და თანაბარი, თანამიმდევრული კითხვა** - გულისხმობს კითხვას ადგილების გამოტოვების გარეშე;
- **წიგნის კითხვის წესების ცოდნა** - *წიგნზე მუშაობის* ელემენტარული წესები პირველივე კლასიდან უნდა ისწავლებოდეს, რათა მოსწავლეები მიეჩვიონ საკვანძო ადგილების ამოწერას;

**ტექსტზე მუშაობის სქემა** შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ:

1. მოსწავლეები ეცნობიან წიგნის სახელწოდებასა და ავტორს;
2. კითხულობენ თავიდან თავამდე, გამოაქვთ მოკლე შინაარსი;
3. კითხვის დროს პროპორციულად ანაწილებენ;
4. გამოყოფენ მოქმედ პირებს;
5. გამოაქვთ დედააზრი მთავარი საკითხების იდენტიფიცირებისა და გეგმის შედგენის მიზნით (რამიშვილი, 1939);

საკლასო კითხვის დროს მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად, მოსწავლეთა მსჯელობის, მხატვრული გემოვნების გასავითარებლად საჭიროა, მასწავლებელმა გამოიყენოს *წიგნზე მუშაობის მასობრივი ფორმები*: ლიტერატურული დილები, ვიქტორინები, მონტაჟები. დაწყებითი სკოლისთვის უფრო მეტად იყენებენ მონტაჟის ისეთ სახეს, როდესაც საბავშვო მწერლის მოთხრობებიდან და ლექსებიდან აღებულია ის ადგილები, რომელებიც ერთ გარკვეულ თემაზეა დაწერილი და ერთი იდეის გამომხატველია. მოთხრობის ან ლექსების ეს პატარა კრებული გაერთიანებულია თემატურად და ეყრდნობა, როგორც საპროგრამო, ისე კლასგარეშე კითხვის მასალს (კაკაბაძე, 1961). თუმცა მხატვრულ–ლიტერატურული მონტაჟები ძირითადად აგებულია კლასგარეშე საკითხავი მასალის ნიმუშებზე. ისინი აღრმავებენ მოსწავლეთა კითხვით დაინტერესების ხარისხს, ხელს უწყობენ მოსწავლეთა გონებრივ, მორალურ და ესთეტიკურ აღზრდას.

კლასგარეშე ლიტერატურის შინაარსისა და ორგანიზაციის ფორმების პირველი მკვლევარი ლუარსაბ ბოცვაძე ყურადღებას ამახვილებს კლასგარეშე კითხვის სწორი ორგანიზაციის ისეთ საკითხზე, როგორცაა, **წაკითხულის შემოწმება**. წაკითხულის შემოწმება იძლევა საშუალებას იმისას, რომ მასწავლებელმა დაადგინოს რამდენად გაიგო მოსწავლემ წაკითხული წიგნების შინაარსი და გააანალიზა, რა შთაბეჭდილებები დარჩა (თოფურია, 1991).

წაკითხულის შემოწმება, ლ. ბოცვაძის აზრით, შეიძლება ზეპირი და წერილობითი ფორმით. ზეპირი შემოწმებისთვის მასწავლებლებმა შესაძლოა გამოიყენონ შემდეგი ხერხები:

1. წაკითხულის თავისუფალი მოყოლა;
2. მასწავლებლის კითხვაზე პასუხის გაცემით გარკვევა მოთხრობის ერთი რომელიმე ეპიზოდისა და რომელიმე მოქმედი პირისა (ეს კითხვები შეიძლება შეეხოს უმთავრესად მოქმედ პირთა დახასიათებას, ზოგიც წაკითხული წიგნის მთავარ აზრს, ზოგიც მის კავშირს სხვა წაკითხულ სტატიებთან ან წიგნების შინაარსთან);
3. მოსწავლესთან ცალკე საუბრის გამართვა;
4. მთელ კლასთან საერთო საუბრის ჩატარება;

წაკითხულის ზეპირი შემოწმების ხერხი ლ. ბოცვაძეს წარმოდგენილი აქვს, როგორც შედარებით „მარტივ ფორმად“, რადგან ის არ ტოვებს თვალსაჩინო კვალს მოსწავლეების გონებაში. ამდენად, ზეპირ შემოწმებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე წაკითხულის წერილობით შემოწმებასაც.

წერთი შემოწმების ერთ–ერთი ყველზე მარტივი სახეა სპეციალური რვეულის შემოღება, სადაც თითოეული მოსწავლე აღნიშნავს:

1. ავტორის სახელს;
2. წიგნის სათაურს;
3. მთავარ მოქმედ პირთა სახლებს;
4. წაკითხულის დროს;
5. შენიშვნას იმის შესახებ, მოეწონა თუ არა წიგნი;

ამ მარტივი ფორმიდან თანდათანობით შეიძლება სხვა ფორმების გამოყენებაც (რვეულში მოკლე შინაარსის ჩაწერა, კითხვებზე პასუხი და ა.შ.). რვეულები, რომლებშიც მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ, დროგამოშვებით უნდა შეაგროვოს და რეცენზირება გაუკეთოს მასწავლებელმა.

კლასგარეშე კითხვის სტიმულირებისა და უკეთ ორგანიზებისათვის მოსწავლეთა მიერ წაკითხულის **სისტემატური აღრიცხვა** უნდა აწარმოოს მასწავლებელმა. სისტემური აღრიცხვა მასწავლებელსაც სჭირდება და მოსწავლესაც, რადგან ხელს უწყობს კითხვისადმი ინტერესისა და პასუხისმგებლობის გრძობის აღზრდას. ამავე დროს აღრიცხვა ააშკარავებს თვით ხელმძღვანელის მეთოდის სისწორეს ან არამართებულობას.

აღრიცხვის მარტივი ფორმაა *სააღრიცხვო ფურცელი*, რომელიც შესაძლებელია კლასში გამოიკრას, სადაც ჩამოიწერება გვარები და სავალდებულო სიიდან რომელ წიგნსაც წაკითხავს მოსწავლე, თავის უჯრაში „+“ ნიშანს დაუსვამს. მასწავლებელი კი პერიოდულად შეამოწმებს სააღრიცხვო ფურცელს. გარდა ამისა, კლასგარეშე კითხვის აღრიცხვის ეფექტიანი ფორმაა *მკითხველთა კონფერენცია*, რომელიც კითხვისადმი ინტერესსაც აძლიერებს (ჩიქობავა, 1969). შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის კონფერენციების სისტემურად ჩატარება

კლასგარეშე კითხვის გაკვეთილი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო რომ გახდეს, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა მეთოდი თუ სტრატეგია. ეს მეთოდები გაუადვილებს მოსწავლეებს არა მხოლოდ ტექსტის მნიშვნელობების გაგებას, არამედ ზოგადად შეთვისების პროცესს. საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ რამდენიმე მეთოდს, აქტივობას:

- **ხმამალა კითხვა:** მოსწავლეებს ეხმარება კითხვა ისწავლონ უკეთ. (სასურველია, პირველ რიგში ტექსტი ხმამალა წაკითხოს კარგმა მკითხველმა, რომელიც მოდუნებულ მკითხველსაც გამოაფხიზლებს);
- **მაპროვოცირებელი კითხვები (using study questions):** მასწავლებელი სვამს კითხვებს: ვინ? რა? რატომ? რისთვის? და ა.შ. რათა გაიგოს რამდენად გაიაზრეს მოსწავლეებმა წაკითხული.
- **ტექსტის ანოტაცია:** მოსწავლეებმა ტექსტს უნდა დაურთონ სხვადასხვა ტიპის შენიშვნები კომენტარების სახით და დამოუკიდებლად მუშაობის შემდგომ მოსწავლეებს მასწავლებელი გაკვეთილზე ეკითხება რა გახაზეს, ეხმარება პრობლემური ადგილების გააზრებაში და ა.შ.
- **მვირფასი დრო (ანუ „მიატოვე ყველაფერი და იკითხე“):** გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ დრო, იკითხონ მათ მიერ შერჩეული ტექსტები. კითხულობს ყველა მოსწავლე და არ არის დაშვებული მასწავლებლის მხრიდან რაიმე ტიპის ჩარევა კითხვის პროცესში (Burke, 1999, p. 43)
- **წყვილების მიერ გამოთქმული წინასწარი ვარაუდი** - მასწავლებელი მოსწავლეებისთვის უცნობი ნაწარმოებიდან დაფაზე ჩამოწერს საკვანძო სიტყვებს და ავალებს, რომ გამოთქვან ვარაუდი რის შესახებ არის მოთხრობა/ნაწარმოები;
- **პაუზებით კითხვა** - ეს მეთოდი მასწავლებელმა შესაძლებელია გამოიყენოს კლასში უცნობი ტექსტის წასაკითხად. კერძოდ, ტექსტი იყოფა ლოგიკურ მონაკვეთებად და თითოეული მონაკვეთის წაკითხვის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი სვამს სხვადასხვა ტიპის კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი? და ა.შ.
- **ორმხრივ ჩანაწერთა დღიური** - ჩანაწერთა დღიურის შესაქმნელად მოსწავლე რვეულს ყოფს ორ ნაწილად. შემდგომ მარცხენა მხარეს წერს წაკითხული

ტექსტიდან იმ მონაკვეთს, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ხოლო მარჯვენა მხარეს წარმოადგენს საკუთარ სიტყვიერ კომენტარს.

- **10-წუთიანი თავისუფალი წერა** - 5-10 წუთის განმავლობაში მოსწავლეებს ევალებათ დაწერონ შთაბეჭდილებები, რომლებიც ნაწარმოების წაკითხვისას გაუჩნდათ.
- **ნიშანთა სისტემა** - კითხვისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ რამდენიმე სახის პირობითი აღნიშვნა, მაგალითად:  $\surd$  – (შემოწმების ნიშანი) თუ თვლის, რომ ამოკითხული ინფორმაცია შეესაბამება ინფორმაციას, რაც იცოდა მოცემული თემის შესახებ; – (მინუსი) ამოკითხული ინფორმაცია უპირისპირდება იმას, რაც იცოდა; + (პლუსი) ამოკითხული ინფორმაცია ახალია; ? (კითხვის ნიშანი) ამოკითხული ინფორმაცია გაუგებარია ან წაკითხულის ირგვლივ მეტი სარწმუნო ინფორმაციის მიღების სურვილი გაუჩნდა;
- **ასე ამბობს სურათი** - მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ტექსტის ილუსტრაციებს და სთხოვს, აღწერონ რას ხედავენ სურათზე, გამოთქვან თავიანთი ვარაუდები, რა შეიძლება იყოს მოთხრობილი ამ ტექსტში და რატომ ფიქრობენ ასე. შემდეგ ხდება ტექსტის წაკითხვა და წინასწარ გამოთქმულ ვარაუდებთან შედარება;
- **ჩვენი საყვარელი ლექსები და მოთხრობები** - მოსწავლეებს ევალებათ შექმნან წიგნი, რომელში შეიტანენ რამდენიმე მათთვის საყვარელ ნაწარმოებს. მოსწავლეებს შეუძლიათ თავად შექმნან წიგნის ყდის გაფორმება, სარჩევი, დაურთონ ილუსტრაციები და ა.შ.
- **საყვარელი ნაწარმოებების „მენიუ“** - მოსწავლეებს ევალებათ დაასახელონ მათთვის საყვარელი ნაწარმოებები. შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს მცირერიცხოვან ჯგუფებად, ურიგებს მათ „მენიუს“ მოდელს და ავალებს შეადგინონ საყვარელი ნაწარმოებების „მენიუ“, ნაწარმოების სათაურს კი გვერდზე მიუწერონ „ფასი“. მოსწავლეებმა „მენიუ“ უნდა გააფორმონ მარტივი ილუსტრაციებითა და ორნამენტებით. შემდეგ ჯგუფები წყვილდებიან და ერთმანეთს „უმასპინძლდებიან“ თავიანთი საყვარელი მოთხრობებით.

არჩევნ ყველაზე საინტერესო, „გემრიელ“ ნაწარმოებს, უყვებიან ან უკითხავენ ერთმანეთს შერჩეულ ტექსტს.

- **ცხელი სკამი** - მოსწავლეს სთხოვენ მოირგოს ერთ-ერთი პერსონაჟის როლი. შერჩეული მოსწავლე გამოდის კლასის წინ, ჯდება სკამზე, „მოირგებს“ პერსონაჟის როლს და პასუხობს თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ამ პერსონაჟისთვისაა გამიზნული
- **გრძნობათა ყულაბა** - მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე გრძნობებს, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეს მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისას (მაგალითად, სიბრალული, მოწონება და სხვა) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიწერონ ამ ჩამონათვალისგან ის გრძნობა, რომელიც გამოიწვია მის მიერ წაკითხულმა ეპიზოდმა;
- **ინტერვიუ პერსონაჟთან** - მოსწავლეთა წყვილებიდან ერთს აქვს მოგებული ჟურნალისტის და მეორეს - პერსონაჟის როლი. ჟურნალისტი რესპონდენტს უსვამს კითხვებს;
- **გმირის/პერსონაჟის წარმოსახვითი აღწერა** - მასწავლებელი ირჩევს ისეთ ტექსტს, რომელშიც არ არის პერსონაჟის პორტრეტი და მოსწავლეებმა უნდა შექმნან მისი წარმოსახვითი პორტრეტი (გარეგნობის აღწერა, როგორი ხასიათი აქვს და ა.შ) წაკითხულის მიხედვით (ჯაყელი, სამსონია და სხვები, 2011).

გარდა ჩამოთვლილი აქტივობებისა თუ მეთოდებისა, მასწავლებელს ასევე, შეუძლია აქტიურად გამოიყენოს გრაფიკული მათემატიკის მათემატიკური საშუალებები, როგორცაა: ვენის დიაგრამა, მეტაფორა, ანალოგები, ეპიზოდების პარადიგმა, აღწერითი პარადიგმა და ა.შ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდი და აქტივობა საყურადღებოა და პირველ რიგში, გასათავლისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

- მასწავლებელი არის მოდელი და მაგალითის მიმცემი მოსწავლისათვის. ის თუ არ კითხულობს, არ უყვება მოსწავლეებს წაკითხულის შესახებ, არ ესაუბრება საკუთარ შთაბეჭდილებებზე, დიდი რისკია იმისა, რომ მეთოდები არ გაამართლებს.

- საკლასო ბიბლიოთეკა – უნდა შეიქმნას წიგნიერი გარემო, ბავშვები თავიანთ საკლასო ოთახში უნდა ხედავდნენ წიგნებს, რომლებიც შთააგონებს, უბიძგებს, გაუჩენს კითხვის ინტერესს.
- კლასში უნდა არსებობდეს მკითხველთა კლუბი, სადაც მოსწავლეები თავიანთ შთაბეჭდილებებზე ისაუბრებენ წაკითხულის შესახებ.

ორიოდე სიტყვით აღსანიშნავია ისიც, რომ **სასკოლო წრეები** გაკვეთილის მუშაობის ბუნებრივი გაგრძელებაა. მისი მიზანია, გაკვეთილზე მიღებული ცოდნის გაღრმავება. მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების გარკვევის, შემოქმედებითი კითხვის, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარების განვითარება, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის გამომუშავება.

წრეების რამდენიმე ტიპი არსებობს: ლიტერატურულ-შემოქმედებითი, მხატვრული კითხვის და მხატვრული თხრობის. უფრო გავრცელებულია შერეული ტიპის წრე: ლიტერატურულ-შემოქმედებითი. მის სამუშაო გეგმაში შეაქვთ ისეთი საკითხები, რომელთა დამუშავება ხელს შეუწყობს საპროგრამო მასალის ღრმად შესწავლას, თუმცა ამ წრეზე მოსწავლეთა შემოქმედებით მუშაობასაც ექცევა ყურადღება (ჩიქობავა, 1969).

ლიტერატურულ წრეს მდიდარი ისტორია აქვს: ცნობილია ჯერ კიდევ გიმნაზიებში მოქმედი ლიტერატურული შემოქმედებითი წრეები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ერისთავი, ა. წერეთელი და სხვები. მისი მეთოდოლოგია კარგადაა დამუშავებული, თუმცა მიზნებში შეინიშნება ორაზროვნება. კერძოდ, ერთი ნაწილი მთავარ ყურადღებას აქცევს ზოგადი მნიშვნელობის მქონე საკითხებს: მოსწავლეთა დაინტერესებას წიგნების კითხვით, აზროვნების, მსჯელობის უნარების განვითარებას. მეორე ნაწილი კი მეტ ყურადღებას ამახვილებს წრეებში მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებაზე. მესამე ნაწილის აზრით კი, მთავარი ყურადღება კონკრეტული მნიშვნელობის მქონე საკითხებს უნდა მიექცეს: ლიტერატურული წრე უპირველესად უნდა ემსახურებოდეს პროგრამული მასალის უკეთ ათვისებას, მიღებული ცოდნის გაღრმავებას.

ამდენად, ლიტერატურული წრის **ამოცანები** ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. ზოგადი ამოცანები, რომლებიც ემყარება მოსწავლის საერთო ლიტერატურული განათლებისა და სკოლაში მიღებული ცოდნა-ჩვევების განმტკიცებას;
2. სპეციფიკური ამოცანები, რომელიც ემსახურება ჯგუფში მიღებული ლიტერატურული ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოვებას; (კაკაბაძე, 1966).

გარდა წრეობრივი მუშაობისა, მნიშვნელოვანია, რომ კლასგარეშე კითხვის ორგანიზებაში ჩართული იყვნენ ბიბლიოთეკები, გამომცემლობის სახლები. მაგალითისთვის ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს რეალობაში განხორციელებული პროექტები.

2011 წელს სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის მერიის მთავარმა ბიბლიოთეკამ განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი „ვიკითხოთ წიგნები“. პროექტის ფარგლებში დედაქალაქის ბიბლიოთეკებში თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები IV-V კლასელ მოსწავლეებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს უკითხავდნენ.

მწერალთა სახლმა 2013 წლის მაისიდან დაიწყო და დღემდე აგრძელებს პროექტს „საუბრები ლიტერატურაზე“, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ გაიგოს ამა თუ იმ ავტორსა და წიგნზე. ცნობილი მწერლები, ლიტერატურათმცოდნეები და ავტორები საუბრობენ ქართველ და უცხოელ ავტორებზე, დამსწრეებს კი შესაძლებლობა აქვთ, დასვან შეკითხვები და აქტიურად ჩაერთონ დისკუსიაში.

მწერალთა სახლის კიდევ ერთი პროექტის, **ბავშვები „მწერალთა სახლში“**, მიზანია ბალისა და დაწყებითი კლასების ბავშვებს საინტერესო ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები გააცნოს...

საგამომცემლო სახლმა „დიოგენე“ 2011 წლიდან ბავშვთა კლუბები გახსნა. "დიოგენეს" თანამშრომლები მკითხველებს პირველ რიგში უახლეს საბავშვო გამოცემებს აცნობენ, მოკლედ მოუთხრობენ შინაარსსა და აწვდიან გარკვეულ ინფორმაციას ავტორების შესახებ. შემდგომ, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ურჩევენ საკითხავ წიგნებს. თითოეული ბავშვისთვის კლუბი ექვსთვიან კურსს მოიცავს.

მნიშვნელოვანია გაიზარდოს მსგავსი ტიპის პროექტების რაოდენობა და ასეთი ტიპის პროექტების განხორციელებაში მეტად იყვნენ ჩართულნი ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სახელმწიფო უწყებები.

ამრიგად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უნდა ატარებდეს კლასგარეშე კითხვის გაკვეთილებს, აწარმოებდეს კლასგარეშე კითხვის მიმდინარეობის აღრიცხვას, რეგულარულად საუბრობდეს მოსწავლეებთან წაკითხული წიგნების შესახებ, აცნობდეს ახალი წიგნების სარეკომენდაციო სიას, არკვევდეს მოსწავლეთა საყვარელ წიგნებს, მწერლებსა და გმირებს. წარმართავდეს მოზარდების მუშაობას იმ მიმართულებით, რომ აღზარდოს მათში წიგნების შერჩევის, დამოუკიდებელი კითხვისა და წაკითხულის მიზნობრივად გამოყენების ჩვევები.

გარდა მასწავლებლისა, სკოლა, ოჯახი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი კლასგარეშე კითხვის სწორად ორგანიზებაში, რაც თავის მხრივ, წიგნიერების დონეს საქართველოში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

კლასგარეშე კითხვის პროცესის ხელმძღვანელობისას გარდა იმისა, რომ მასწავლებელი უნდა გამოირჩეოდეს მაღალკვალიფიციურობით, ასევე სასურველი შედეგის მისაღწევად გადამწყვეტი როლი ენიჭება იმას, რომ ხელმძღვანელობა მოვალეობის ფორმალური მოხდის ნაცვლად, თაოსნობისა და ინიციატივის საქმედ იქცეს. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ რაციონალურად ორგანიზებულ კლასგარეშე საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების აღზრდაში და დასანანია, დღეს ამ საკითხისადმი ყურადღების ნაკლებობა. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა უდავოდ საჭიროებს შესაბამისი რესურსების გამოყოფასა და კომპლექსური რეფორმების გატარებას.

## **§2.3 კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევა – პრინციპები და მეთოდები**

ყველა მკითხველი კარგი მკითხველია, თუ საკითხავი ლიტერატურა სწორად აქვს შერჩეული. მიიჩნევა, რომ ვისაც არ უყვარს კითხვა, ჯერ კიდევ არ უპოვია წიგნი,

რომელიც მას ნამდვილად აღაფრთოვანებს და გაიტაცებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილების სწორად ორგანიზება, არამედ ლიტერატურის სწორად შერჩევაც. სწორად შერჩეულ წიგნებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, რათა მოსწავლეები გახდნენ არა მხოლოდ მკითხველები, არამედ კითხვის მოყვარულები.

შიო ჩიტაძე თვლიდა, რომ მოსწავლეს სკოლის გარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში მასწავლებელი უნდა დაეხმაროს, რადგან „არა თუ მოზარდს, კაცობრიობასაც დღემდე ვერ გაურკვევია, რა არის ავი და რა არის კარგი, რას უნდა დავუთმოთ პირველი ადგილი და რას მეორე“. მისი აზრით, წასაკითხი მასალა შეიძლება ორი სახის იყოს: პირველის მიზანია მისცეს მკითხველს რეალური ცოდნა, მეორის – გამოარკვიოს ზნეობრივი მოძღვრებები. რომელ მასალას მივცეთ უპირატესობა? პირველის მიხედვით „იმ მასალას უნდა მივცეთ უპირატესობა, რომელიც სძენს ადამიანს რეალურ ცოდნას, რადგან უამისოდ ადამიანი ბრმაა და ბნელში დაიარება“. ამიტომ სკოლისა და მასწავლებლის ვალია სწორ გზაზე დააყენოს მოზარდი, შეაჩვიოს იგი წიგნის დამოუკიდებელ კითხვას (მოწენიძე, 2002, გვ. 227).

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია მრავალფეროვანი უნდა იყოს, რათა მან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის გაღრმავებას შეეწყო ხელი და იმავდროულად, მოსწავლეთა **გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაზეც მოეხდინოს ზეგავლენა.**

კლასგარეშე საკითხავი მასალის მოთხოვნას შეადგენს ის, რომ შერჩეული ნიმუშები უაღრესად მხატვრული და მაღალიდებული იყოს. მხატვრული ნაწარმოების საშუალებით ბავშვი იძენს ცოდნას, ბუნების, საგნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ, უფართოვდება შემეცნებითი არეალი. ცნობებს, რომლებსაც მწერალი მხატვრული ნაწარმოების საშუალებით აწვდის ბავშვებს, უნდა იყოს სწორი და ზუსტი, მარტივი და პირდაპირი მნიშვნელობის. ელემენტარული ცოდნა გარემო ცხოვრების შესახებ ბავშვებს უნდა მიეცეთ ისე, რომ მისი შინაარსი მოქმედებდეს მათს გრძნობებზე, იწვევდეს ინტერესს. ნაწარმოები ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ ბავშვს არ შეუსუსტდეს მოთხოვნის დამთავრებამდე კითხვის დასაწყისში გამოწვეული ყურადღება. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც ავტორი წერს

მოსწავლისთვის გასაგებად, ხატოვანი ენით, არ არის გადატვირთული ზედმეტი დეტალებითა და აღწერილობითი მასალით. საბავშვო მხატვრული ლიტერატურის ღირებულება მასში გამოყენებული სიტყვათა მარაგის მიმართულებითაც უნდა იყოს შეფასებული, არ უნდა ძნელდებოდეს გაგება.

ბავშვთა მხატვრული ლიტერატურა არა მხოლოდ შინაარსის, არამედ ფორმის მხრივაც გარკვეული თავისებურებით უნდა ხასიათდებოდეს. კერძოდ, ფორმა მიმზიდველს და გასაგებს უნდა ხდიდეს შინაარსს. მაგ.: დიალოგით დაწერილი მოთხრობა ბავშვებისთვის გაუგებარია (ჩოლოყაშვილი–კარჭაული, 1959).

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევა აუცილებელია მოსწავლის ასაკისა და გონებრივი განვითარების შესაბამისად და მხოლოდ ამ პრინციპების დაცვის საფუძველზე შეიძლება სასურველი შედეგი მოიტანოს გონივრულმა, მიზანდასახულმა და თანმიმდევრულმა კითხვამ.

**ასაკობრივი** თავისებურებებს საკითხავი მასალის შერჩევაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჯერ კიდევ იან ამოს კომენსკი, რომელიც „დიდ დიდაქტიკაში“ ამ ლიტერატურას ასეთ მოთხოვნებს უყენებს: *„უნდა ვიზრუნოთ იმაზე რომ აქ ყველაფერი შეგუებული იყოს ბავშვის უნართან, რომელსაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვს ყოველივე იმისადმი, რაც სასიამოვნოა, სახუმაროა და თამაშის ხასიათს ატარებს, და გაურბის ყოველივე იმას, რაც მკაცრი და სერიოზულია. მაშასადამე, იმისთვის, რომ მოსწავლემ ადვილად და სიამოვნებით შეითვისოს სერიოზული მასალა, რაც ოდესმე მას დიდი სარგებლობას მოუტანს, ყოველთვის უნდა შევაერთოთ სასარგებლო და სასიამოვნო, რომ ამით მუდამ მივიზიდოთ მოსწავლეთა გონება და წარმართოთ საიტკენაც გვსურს“* (კომენსკი, 1949, გვ. 202).

მოსწავლეთა თითოეული ასაკობრივი ჯგუფი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, როგორც მოსწავლეთა ფიზიკური, ისე ფსიქიკური და გონებრივი განვითარების დონის მხრივ. წინამდებარე ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პირველი ორი ჯგუფის ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ–ფსიქოლოგიური თავისებურებანის კლასგარეშე კითხვის პროცესთან კავშირში განხილვა.

უმცროსკლასელთა აღქმის განვითარების თავისებურებანის გათვალისწინებას სწავლებისა და აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უმცროსკლასელი

საგნებსა და მოვლენებში უპირველს ყოვლისა აღიქვამს იმას, რაც მისთვის მნიშვნელოვანია და შეესაბამება მის ასაკსა და ინტერესებს. ხშირად მას იზიდავს გარეგანი ნიშნები, ნათელი, მოძრავი და დიდი საგნები. ჩაღრმავებული ანალიზისა და საგნების შემეცნებითი პროცესი მისთვის ჯერ კიდევ ძნელია. უმცროსკლასელთა აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ მოქმედებასთან. I და II კლასელთა აღქმის ერთ-ერთი თავისებურებაა აშკარად გამოხატული ემოციური ხასიათი – პირველ რიგში აღიქმება ისეთი საგნები და მოვლენები, რომლებიც ბავშვში იწვევენ უშუალო განცდებს.

სასკოლო ასაკის ბოლოს იწყება ნებისმიერი ყურადღების ჩასახვა, მაგრამ პირველი კლასელების ყურადღება ძირითადად უნებლიეა. ნებისმიერი ყურადღების ჩამოყალიბებას ძირითადად ხელს უწყობს სასწავლო პროცესი. ამ ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ ყურადღება მიმართონ არა მხოლოდ ნათელი, მიმზიდველი საგნების, არამედ უინტერესო და ნაკლებმიმზიდველი მოვლენებისადმი.

ბავშვის წარმოსახვა უმცროსი ასაკიდან თანდათან თავისუფლდება უშუალო შთაბეჭდილებათა გავლენისაგან და მათ წარმოსახვაში ძლიერდება რეალიზმი. 9 -10 წლის ბავშვი უკვე კარგად გრძნობს მისი ფანტაზიის „პირობითობას“ სინამდვილესთან შეუფერებლობას. ასაკის წინსვლასთან ერთად ეს რეალიზმი სულ უფრო იზრდება, რაც დაკავშირებულია ახლი ცოდნის დაგროვებასთან.

ექვსწლიანთა მეხსიერების თავისებურება ისაა, რომ სჭარბობს უნებლიე დამახსოვრების ფორმები. ამ დროს ბავშვი ადვილად იმახსოვრებს იმას, რამაც მიიპყრო მისი ყურადღება თავისი სიახლით.

პირველკლასელებს კარგად აქვთ განვითარებული ემოციური მეხსიერება, მაგრამ ამ ასაკის ბავშვები იმახსოვრებენ არა საზოგადოდ გრძნობებსა და ემოციებს, არამედ გრძნობებს რომელიმე კონკრეტული ადამიანის ან საგნის მიმართ. დამახსოვრების პროდუქტიულობა კი უმცროს მოსწავლეებთან დამოკიდებულია დამახსოვრების შესაბამისი განწყობის შექმნაზე.

უმცროსი სასკოლო ასაკი ბავშვების აზროვნების განვითარების ინტენსიური ასაკია. უმცროსკლასელი კონკრეტული კატეგორიებით აზროვნებს. იგი მისთვის კარგად ნაცნობი სცენებისა და მოვლენების თვალსაჩინო ნიშნებს ეყრდნობა.

გარდამავალ ასაკში მოზარდის სასწავლო საქმიანობა არსებითად იცვლება. იგი თვითგანათლებისა და თვითსრულყოფის აზრს იღებს. ამ ასაკში თავს იჩენს აზროვნების ახალი, უფრო მაღალი ფორმები და მიმართულებები. მოსწავლე სწრაფი ტემპით იწყებს გადასვლას თვალსაჩინო, კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულ, განყენებულ აზროვნებაზე. მისთვის ახლა პირველად ხდება გასაგები მიმართებები, რომელნიც არა თვალსაჩინოდ მოცემულ ობიექტებს შორის არსებობენ.

მოზარდის ასაკში განვითარებას იწყებს დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნება. მოზარდი ცდილობს ჰქონდეს საკუთარი მსჯელობები და მოძებნოს საკუთარი არგუმენტები. ამავე ასაკში იღვიძებს აზროვნების ახალი მიმართულება, რომელსაც შეიძლება ფილოსოფიური მიმართულება ეწოდოს (ჭკუასელი, 1986).

მოზარდი ახლა უკვე ინტერესს ამჟღავნებს იმ ცოდნის მიმართ, რომელიც სასკოლო პროგრამის ფარგლებს სცილდება. მოზარდების მნიშვნელოვანი ჯგუფი ავლენს დამატებითი ლიტერატურის კითხვით ცოდნის გაღრმავების სურვილს.

მოზარდი თანდათანობით იწყებს შესაბამისი ცოდნის დაგროვებას, ცნებებისა და კანონზომიერებების ათვისებას, იმ კონკრეტული ფაქტების შესწავლას, რომელთა საფუძველზეც მასალის განზოგადება და სისტემატიზაცია წარმოებს.

გარდამავალ ასაკში ცოდნა იქცევა თვითგანათლებად, რაც ამ ასაკის მოზარდის სასწავლო საქმიანობის უმაღლესი ფორმაა. გარდამავალ ასაკში შეიძლება სწავლა გადაიქცეს ფორმალურ მოქმედებად. ეს მაშინ ხდება, როცა მოსწავლეს არ აქვს შემეცნებითი ინტერესები.

მნიშვნელოვნად ვითარდება შემოქმედებითი აზროვნება. აზრის აქტიური, დამოუკიდებელი მუშაობა მაშინ იწყება, როცა მოზარდის წინაშე დგება პრობლემა, კითხვა. ამიტომ მასწავლებლები ისე უნდა აწვდიდნენ სასწავლო მასალას მოზარდებს, რომ მათ წინაშე თანდათან გართულებული პრობლემები დგებოდეს.

ასაკისთვის შეუფერებელი ნაწარმოებების კითხვა ცუდად მოქმედებს ბავშვზე, იწვევს ლიტერატურული გემოვნების არასწორი გზით განვითარებას.

ელისო კაკაბაძე დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა კითხვის ინტერესების შესწავლამ დაარწმუნა, რომ ეს ინტერესები განისაზღვრება ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებით, რომელთა გათვალისწინებაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამა თუ იმ კლასის მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის ამოცანები (კაკაბაძე, 1959).

ერთი ასაკის ბავშვებს დაახლოებით ერთნაირი მორალური, ესთეტიკური, ინტელექტუალური მოთხოვნები აქვთ. მასწავლებლის ამოცანა არის ის, რომ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით და კითხვისადმი ინტერესის შესწავლის საფუძველზე შეურჩიოს მოსწავლეს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ნიმუშები.

**ინტერესის შესასწავლად** მეთოდისტები სხვადასხვა მეთოდს ასახელებენ:

- გასაუბრება მოსწავლეებთან;
- ბიბლიოთეკის მკითხველის ფორმულარების შესწავლა;
- მოსწავლეთა წერიტი თხზულების შესწავლა;
- ანკეტის მეთოდი;
- კომბინირებული მეთოდი;

კითხვის სისტემის დასაცავად ლ. ბოცვაძე აუცილებლად მიიჩნევს მოსწავლეთა ინტერესების, გემოვნების შესწავლას, რის საფუძველზეც შესაძლებელია დაიყოს ისინი გარკვეულ ტიპებად. კლასგარეშე სისტემური კითხვის სწორად მოწყობაში მას მნიშვნელოვნად მიაჩნია ცალკე სიის შედგენა თითოეული ტიპი მკითხველისთვის (თოფურია, 1991).

სკოლამდელი ასაკის ბავშვები მოითხოვენ ლიტერატურას გარემომცველ სამყაროზე. მათი მოთხოვნის გამიერები არიან თოჯინები, შინაური ცხოველები, დედ-მამა, პატარა ბავშვები. სკოლის ასაკი კი მოითხოვს რომანტიულ გმირს. მათ აინტერესებთ ადამიანი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი ქცევის თავისებურებანი. ამ ასაკში ბავშვი არჩევს რა არის კარგი და რა ცუდი. დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვს შეუძლია საგნის შემფასებლის როლში გამოვიდეს.

კლასგარეშე კითხვაში დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისათვის დიდი ადგილი უკავია იუმორისტულ წიგნებს. მოზარდთათვის დაწერილი იუმორისტული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, საბავშვო იუმორისტული ლიტერატურა კმაყოფილდება მხოლოდ მოვლენის სახალისო მხარეების აღნიშვნით. უფროსი სკოლის მოსწავლეები ერკვევიან კარგად სატირასა და ირონიაში, აქ კი უფრო გამოსახულია ცინიზმი. მწერალს საშუალება ეძლევა ბავშვისთვის დამაინტერესებელი ფორმით წარმოადგინოს უარყოფითი და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი. მას თან უნდა ახლდეს კომიზმი, რაც

ბავშვებისთვის მიმზიდველია. ბავშვებს სიცილს გვრის ისეთ მომენტები, როგორცაა: კომიკური მოძრაობები, ჩხუბი, ვინმეს ცემა; კომიკური გარეგნობა, სახუმარო სიტყვები, სიცელქის გამომხატველი ადგილები, წარმოდგენელი მოქმედებები, იუმორისტული თავგადასავალი, მოტყუება, მოხერხებულობა ეშმაკობა; ანეკდოტები, მახვილგონივრული გამონათქვამები (კაკაბაძე, 1961).

საბავშვო ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფანტასტიკურ ლიტერატურას. ფანტასტიკურ ქარგაზეა აგებული ზღაპრები. ზღაპრები მოსწავლეებში ავითარებს წარმოდგენებს. ასწავლის შეაფასოს ადამიანის მთავრი თვისებები, პატივისცემის გრძნობა გამოიწვიოს სიმამაცის, სიმართლის, ერთგულებისადმი, დაგმოს სიცრუე, სიმხდალე, ბოროტება... უმცროს სასკოლო ასაკში მართალია, ზღაპრის სიყვარული დიდია, მაგრამ ზღაპრული სიუჟეტების როლი ბავშვების ცხოვრებაში თანდათანობით მცირდება.

საბავშვო ლიტერატურის ცენტრში დგას მხატვრული ისტორიული მოთხრობები. ისტორიული ნაწარმოებებით დაინტერესებას იჩენენ III-IV კლასებში.

სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში იწვევს დაინტერესებას, მაგრამ ძირითადად დამოუკიდებელი ინტერესი ამ მიმართულებით ბავშვს უჩნდება 9–10 წლის ასაკში.

III-IV კლასში მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვაში გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს ტექნიკური ლიტერატურის სახეს, ე. წ. ტექნიკურ ბელეტრისტიკას, რომელშიც მხატვრულ სახეებშია გადმოცემული ტექნიკის მიღწევები.

თავისი სპეციფიკური მხატვრული თვისებებით პოეზიას საბავშვო ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. უმცროსი ასაკის ბავშვები ძირითადად ყურადღებას აქცევენ ლექსის ფორმას. საშუალო ასაკის ბავშვებისთვის უკვე მნიშვნელობა ეძლევა ლექსის შინაარსს.

აღსანიშნავია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მიერ მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის აღქმის საკითხი ექსპერიმენტულად გამოიკვლია დ. უზნაძემ. მან დაასკვნა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები უპირატესობას ნაწარმოების შინაარსს ანიჭებენ, თუმცა, ამის გამო, მასწავლებელმა მხატვრული მხარე არ უნდა უგულებელყოს (ავალიანი, 1989).

უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის ინტერესები მოზარდს ინტერესების ხშირი ცვალა ახასიათებს, რომელიმე ინტერესი მას ხანდახან მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდება. გარდამავალ ასაკში ვითარდება კითხვის ინტერესები. მოზარდებს წიგნებში აინტერესებთ ნათელი, სახალისო სიუჟეტები, დამაბული და დინამიკური მოქმედებები. მოზარდები დიდი ხალისით კითხულობენ დეტექტივს და სათავგადასავლო ლიტერატურას. ამასთან იტაცებთ მეცნიერული ფანტასტიკის სფეროც.

საინტერესოა დ. უზნაძის მიერ მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების განვითარებაზე დაყრდნობით გამოკვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში დამუშავდა.

კვლევის მონაცემების თანახმად, 8-9 წლის ბავშვი მეტი ხალისით კითხულობს იმ წიგნს, რომლის სიუჟეტიც მისი თანატოლის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ გამოცდილებას ასახავს. შესწავლილი ბავშვების 41,3% სწორედ ამ მოტივით ანიჭებდა წიგნებს უპირატესობას. 18,4% პროცენტისთვის მომხიბვლელი გახლდათ ზღაპრული შინაარსი, მაგრამ ორივე შემთხვევაში წამყვანი პირობა წიგნში მხიარული ეპიზოდების ან იუმორისტული სცენების არსებობა იყო. უზნაძის თანახმად, „ბავშვს ცრემლი და უბედურება არც წიგნში არ უყვარს, იგი მასში უსიამოვნო ნალექს ტოვებს, და ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ წიგნი იმ წიგნთა სიაში მოაქციოს, რომელიც განსაკუთრებით არ მოსწონს" (უზნაძე, 2005, გვ. 491).

ამ ორთან ერთად უზნაძე ხაზს უსვამს კიდევ ერთ ფაქტორს - წიგნი, მასში არსებული ლექსიკა ბავშვისთვის გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან იმის შესახებ, მოეწონა თუ არა წიგნში აღწერილი სიუჟეტი, გამოიწვია თუ არა მასში ღიმილი, ადამიანი მხოლოდ მას შემდეგ იმსჯელებს, თუ წაკითხული კარგად გაიგო.

8-9 წლის ბავშვები წიგნის დადებით მხარედ ილუსტრაციებსა და დიდ შრიფტსაც ასახელებდნენ. საინტერესოა, რომ წიგნის ზღაპრული, ფანტასტიკური შინაარსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 9-10 წლის ბავშვებისთვის ხდება. მოწონებულ წიგნს უპირატესობას ფანტასტიკური, ზღაპრული შინაარსის გამო მოსწავლეთა 31,6%

ანიჭებდა, მაშინ როდესაც მომდევნო ასაკში ეს მოტივი 5,9%-მდე ეცემოდა. არმოწონების მიზეზებზე საუბრისას ბავშვები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ზღაპრის სიუჟეტი სინამდვილეში არასოდეს ხდება. ამავე, 9-10 წლის ასაკში ბავშვს ახალი ინტერესი უჩნდება - ეს არის ფათერაკი, მოქმედი გმირის მოხერხებულობა, სახიფათო სიტუაციისგან თავის დაღწევა ან ბოროტებასთან ბრძოლა. ([http://mastsavlebeli.ge/index1.php?action=page&p\\_id=19&id=268](http://mastsavlebeli.ge/index1.php?action=page&p_id=19&id=268), 12.01.2017)

ბენ. ჩიქობავა თავის ნაშრომში – „კლასგარეშე კითხვა ლიტერატურაში“ – წერს, რომ სიაში ორი სახის კლასგარეშე საკითხავი მასალა უნდა იყოს მოთავსებული: დამატებითი და თავისუფალი. დამატებით ლიტერატურა, როგორც სავალდებულოს, მოსწავლეები კითხულობენ პროგრამულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. მეცნიერები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სარეკომენდაციო სია თავად შეადგინონ და მოსწავლეებმაც თავიანთ გემოზე აარჩიონ ისინი. სარეკომენდაციო სიებში ისეთი წიგნები უნდა შევიდეს, რომლებიც საპროგრამო მასალის ცოდნას შეავსებს და გააღრმავებს. შეიძლება იყოს ისეთი წიგნებიც, რომლებიც პროგრამას არ უკავშირდება, მაგრამ ლიტერატურის ღრმად შესწავლას უწყობს ხელს. საჭიროა თუ არა კლასგარეშე კითხვისას **თემატური** პრინციპის ზუსტად დაცვა, ამ საკითხზე ვ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ საკითხავ მასალათა დალაგებაში თემატიკური პრინციპი მთავარია, მაგრამ მისი დაცვა ფეტიშად არ უნდა იქცეს. როგორც „დედა ენაში“, ისე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებულში მასალების დალაგებისას თემატიკური პრინციპის ზუსტად დაცვა არ ხერხდება იმიტომ, რომ ჟანრობრივ მონაცემებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში (ყურაშვილი, 1967, გვ. 6).

სარეკომენდაციო სიის შედგენისას არც ისე იოლი საკითხია ის, თუ რა **რაოდენობის** ლიტერატურა უნდა შევიტანოთ მასში. ყველას სხვადასხვა რაოდენობა მიაჩნია ოპტიმალურ რიცხვად. მთავარია, სარეკომენდაციო სიის შედგენის დროს ანგარიში გაეწიოს მოსწავლის **რეალურ შესაძლებლობას**: დასახელებული წიგნები მოპოვება თუ არა და რამდენი აქვს თავისუფალი დრო მოსწავლეს დამოუკიდებელი კითხვისთვის (გაგუა, 1940). სწორედ საკითხების გათვალისწინებით უნდა განვსაზღვროთ რაოდენობაც.

მთავარი არის ის, რომ სწორად შერჩეული კლასგარეშე საკითხავი მასალა ბავშვებს უნდა მივაწოდოთ იმ თანამიმდევრობით, როგორც დიდაქტიკის წესები ითვალისწინებს. ეს კი გულისხმობს გადასვლას: ა) ნაცნობიდან უცნობისკენ; ბ) ადვილიდან ძნელისკენ; გ) მარტივიდან რთულისკენ; დ) ახლობლიდან შორეულისკენ; 1–4 კლასის მოსწავლეებისათვის კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიების შედგენისას არ უნდა იქნას დავიწყებული მისაწვდომობის პრინციპიც. (კაკაბაძე, 1959).

*საინტერესოა, უცხო ქვეყნების გამოცდილების გაცნობაც, სარეკომენდაციო სიების შედგენისას რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ უცხოელი პრაქტიკოსი პედაგოგები თუ მეთოდისტები. საქართველოს რეალობისგან განსხვავებული ძირითადად ის არის, რომ აქცენტი, როგორც წესი, კეთდება სარეკომენდაციო სიების შედგენისას მშობლების ჩართულობაზე და ასევე, რეალობასთან, თანამედროვეობასთან კავშირზე, ყურადღებას აქცევენ ლიტერატურულ კონკურსებზე გამარჯვებული საბავშვო მწერლების ლიტერატურას. ძირითადად ჯილდოზე წარდგენილი და დაჯილოდებული წიგნები არის საუკეთესო.*

დიდი უფსკრული წიგნებსა და მკითხველებს შორის გააჩინა სოციალურმა მდგომარეობამ. ბავშვებს მოსწონთ წიგნების სამყარო, მაგრამ ის შორს დგას რეალობისგან, მასწავლებელი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ მოსწავლეს საკითხავად შესთავაზოს თანამედროვე წიგნები.

წიგნის სწორად შერჩევა მასწავლებელსაც და მშობელსაც უნდა შეეძლოს. წარმოიდგინე, რომ ხართ წიგნების მაღაზიაში და გსურთ შეარჩიოთ თქვენი შვილისთვის საჩუქრად წიგნი და თქვენ შეიძლება ფიქრობთ, რომ რაც უფრო ძვირია წიგნი, მით უფრო ხარისხიანია, რადგან ხარისხი ფული ღირს. მაგრამ მაინც, ასე არ ხდება. იმისთვის, რომ გაარჩიოთ კარგი წიგნი ცუდისგან, საჭიროა მშობლებმა საკუთარ თავს დაუსვან შემდეგი მარტივი კითხვები: ტექსტი არის ჭკვიანური თუ რომანტიკული? საინტერესო თუ მოსაწყენი? იწვევს თქვენში გრძნობებს? შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ უკეთესი იქნებოდა წაგკითხათ მეტი? დააკვირდით ილუსტრაციებს და დასვით კითხვები – შეგიძლია იცხოვრო მათთან ერთად? იპყრობს თქვენს ყურადღებას? წაიკითხეთ წიგნის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. თქვენი ყურადღება შესაძლებელია მიიპყროს სასაცილო, საინტერესო

სცენებმა, პოეტურმა წინადადებებმა, მოულოდნელმა დასაწყისმა თუ დასასრულმა. თუ უფრო რაიმე კონკრეტულს ეძებთ, აირჩიეთ რომელიმე თავი და წაიკითხე ბავშვის თვალთ. მოკლედ, წიგნის შერჩევა პრაქტიკულად დამოკიდებულია ბავშვის ინტერესზე, ცოდნაზე, უნარსა და გამოცდილებაზე. გთავაზობთ, რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპს:

- **დაბადებიდან 6 წლამდე** წიგნის ილუსტრაციები სასურველია იყოს ყოველ გვერდზე ყოველ პატარა ტექსტთან. მისაწვდომი, საინტერესო და მაცდუნებელი უნდა იყოს ახალგაზრდა მსმენელისთვის.
- **6 წლიდან 9 წლამდე** დამწეები და ადვილად წასაკითხი წიგნი მოითხოვს მოკლე ეპიზოდურ თავებს, მიმოფანტულ ილუსტრაციებს, მარტივ ლექსიკონს, ოდნავ გაფართოებულ შრიფტს, ღია, ნაკლებ ჩახლართულ ფაბულასა (ნაკვთი, მოქმედება) და პერსონაჟებს. დამწეები მკითხველი განსაკუთრებით მოითხოვს ნახატმა ადვილად აღგაქმევინოს მოსმენილი, კითხვის უნარის ქონის საწყის ეტაპზე უნდა შეძლოს მოსწავლემ დამოუკიდებლად წაიკითხოს.
- **9–დან 12 წლამდე** უკვე დიდი სხვაობაა მხატვრულ და არამხატვრულ (ისტორიული, რეალური) ლიტერატურას შორის, დამოკიდებულია ბავშვის ინტერესზე, მოტივაციაზე. საშუალო ასაკის ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ტრაგედია, კომედია, რომანსი, სათავგადასავლო, ფანტასტიკა, რეალური ჟანრები.

არამხატვრული ლიტერატურა, პოეზია, ფოლკლორი არის ყველა ასაკის ბავშვისთვის. თუ იცი ბავშვის ჰობი, რომელ წიგნებს კითხულობს, მაშინ ფაქტობრივად იცი მისი ინტერესები, შესაძლებლობები. (Hearne & Stevenson, 2000, pp. 10–11).

სანიმუშოდ შესაძლებელია ანიტა სილვეის სარეკომენდაციო სიის „100 საუკეთესო წიგნი ბავშვებისთვის“ წარმოდგენა. 100 საუკეთესო წიგნის კატალოგი დაყოფილია ასაკის მიხედვით: დაბადებიდან 2 წლამდე, 2–8 წელი (დასურათებული წიგნები), 5–7 წელი (წიგნები დამწეები მკითხველისთვის), 7–9 წელი (წიგნები ახალგაზრდა მკითხველისთვის), 8–11 წელი (წიგნები საშუალო ასაკის მკითხველისთვის), 11–12 (უფროსი ასაკის მკითხველთათვის).

ანიტამ 55 წლის განმავლობაში 125 ათასი წიგნი წაიკითხა, იყო რედაქტორი, თითოეულ წინადადებას უყურებდა კრიტიკულად, როგორ შეიძლებოდა რომ აღექვა ეს ბავშვს. 100-მდე პირს ელაპარაკა, რომ გაერკვია თუ რა ახსოვდათ ყველაზე მეტად ბავშვობიდან, გამოიკვლია ყველა ის წიგნი, რომელიც შედიოდა საუკეთესო წიგნების კატალოგში, 6 თვის განმავლობაში წაიკითხა და გადაიკითხა ყველა ეს წიგნი. კითხულობდა და ცდილობდა წარმოედგინა აღწერილი ამბები (კითხულობდა ბავშვის თვალთ), ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ეს წიგნები ერთდროულად იქნებოდა საგანმანათლებლოც, გასართობიც. ასევე, შეეცადა გასაუბრებოდა თანამედროვე ცოცხალ მწერლებს. ეკითხებოდა, რას ფიქრობდნენ ისინი, როდესაც ქმნიდნენ ნაწარმოებს, ნახა მათი ხელნაწერებიც. ბევრი შერჩეული წიგნის ავტორი დაჯილდოებაზეც იყო წარდგენილი სხვადასხვა ნომინაციაში. 100 საუკეთესო წიგნი რომ შეერჩია, შეიმუშავა რამდენიმე კრიტერიუმი:

1. შეარჩია ბოლო ასი წლის გამოცემული წიგნები: 1902 – 2002;
2. თითოეული ავტორის მხოლოდ ერთი წიგნი აარჩია;
3. წიგნები შეირჩა სკოლამდელი ასაკიდან 12 წლამდე ბავშვებისთვის;
4. დაეყრდნო წლების განმავლობაში მიღებულ სხვათა გამოცდილებას, ხალხში გავრცელებული აზრით ყველა დროის საუკეთესო წიგნები, რომლებმაც ბავშვების რამდენიმე თაობა გაზარდა;
5. შეარჩია ნაკლებად ცნობადი წიგნებიც, რომლებიც მისი აზრით მალე კლასიკა გახდებოდა და განავითარებდა ლიტერატურის სიყვარულს
6. გაითვალისწინა ასაკი, ინტერესი, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, კითხვის უნარები;
7. ბოლოს მოიტოვა საკუთარი ინტერესით შესათავაზებელი წიგნები – წიგნები, რომლებსაც მთელი გულით ურჩევდა მკითხველს თავად (Silvey, 2005, pp.11–13).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წიგნის შერჩევის საშუალება თავად მოსწავლეებს მიეცეთ. მაგალითად, შესაძლებელია, კლასში შეიქმნას ბიბლიოთეკა - „წიგნების კალათა“, რომელიც სავსე იქნება სხვადასხვა ტიპის წიგნებისგან, მოსწავლეებმა თავად ამოარჩიონ წიგნები, რომელთა წაკითხვაც სურთ.

მასწავლებელმა მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მისცეს რჩევები, როგორ აარჩიონ წიგნები შემდეგი პრინციპებით:

- გაითვალისწინონ წიგნის ზომა;
- სიტყვების რაოდენობა;
- ილუსტრაციები;
- ლექსიკა – შემიძლია თუ არა წავიკითხო, გავიგო მათი უმეტესობის მნიშვნელობები;
- გაამახვილონ ყურადღება შინაარსზე – რა ვიცი ამ თემის შესახებ;
- სქემა – რა ვიცი მოცემული საკითხის შესახებ, ჟანრზე, ავტორზე, რათა დამყარდეს კავშირი ძველსა და ახალს შორის და აიგოს ახალი სქემები;
- გაამახვილონ ყურადღება მოტივაციაზე – რამდენად ძალიან მინდა რომ ვიმუშაო ამ წიგნზე . მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ შენ არ დააძალე რაიმეს წაკითხვას, ორიენტირებული ხარ მის ინტერესზე და ისიც უნდა გენდობოდეს.
- გაუზიარეთ საკუთარი გამოცდილებები;

საკუთარი გამოცდილებისა და რჩევებისთვის კი მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა აქტივობები:

- **საუბრები წიგნზე:** მინი გაკვეთილზე კვირაში ერთხელ შეიძლება მიიტანო 3–4 წიგნი სპეციალურად გათვლილი მოსწავლეებისთვის, იქვე წაუკითხო რამდენიმე გვერდი, ამსჯელო, დააფიქრო სათაურზე და მიმართო იმ კონკრეტულ მოსწავლეს, რომლისთვისაც რეალურად გქონდათ თქვენ წიგნი შერჩეული: **ვფიქრობ, ეს წიგნი შენ მოგეწონება, ხომ არ წაიკითხავ?**
- **„სტიკერები“** - ვიცით, რომ ზოგიერთ მოსწავლეს არ უყვარს, როდესაც პირდაპირ, საჯაროდ მიუთითებენ, რომ ეს წაიკითხე, ეს გააკეთე და ა.შ. ამიტომ შეგიძლიათ „სტიკერები“ გამოიყენოთ და დაუწებოთ წიგნზე სხვადასხვა ტიპის წარწერა, მაგალითად ვნახე ეს წიგნი, მაშინვე შენ გამახსენდი, წაიკითხე სცადე და აბა, მითხარი როგორ მოგეწონება...
- **რეკომენდაციები:** სარეკომენდაციო ბარათები გააკეთოთ, სადაც მითითებული იქნება, რომელი ავტორის რომელ წიგნს უწევს რეკომენდაციას ვინ და ვისთვის.

- **ამოირჩიე ერთი:** სამი ალტერნატიული წიგნიდან ამოარჩიე ერთი

იმისთვის, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ წიგნები, მნიშვნელოვანია ლიტერატურის დიდი რესურსი გქონდეთ კლასში. რა თქმა უნდა, მოსწავლეებმა თავად რომ უნდა აარჩიონ წიგნები, არ გამორიცხვას იმას, რომ მასწავლებელმა რეკომენდაციები არ უნდა მისცეს. მაგრამ რეკომენდაციებისას უნდა იყოთ ძალიან ფრთხილად, რადგან უნდა გაითვალისწინოთ, რომ მოსწავლის ინტერესს უეჭველი დააკმაყოფილებთ. (Burke, 1999; Miller, 2002).

ყურადსაღებია ისიც, რომ ბიბლიოთეკას ძალიან დიდი როლი აქვს მოსწავლეების წიგნიერების განვითარების საქმეში. ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც დაეხმარება მკითხველს წიგნის სწორად შერჩევაში. არსებობს სხვადასხვა პროგრამა, აქტივობები, რომლებიც ემსახურება კითხვის პოპულარიზაციას. ეს არის ნებაყოფლობითი თავისუფალი კითხვა, როდესაც კითხულობ იმას, რაც გინდა. ეს აქტივობა ცნობილია სახელწოდებით - „DEAR TIME” (Drop Evrything And Read) და ასევე, „SQUIRT” (Super Quiet Uninterrupted Reading Time). კონკრეტულად, ყოველ კვირა ან ყოველდღე სკოლისგან თავისუფალ დროს მოსწავლემ ბიბლიოთეკაში უნდა იკითხოს მინიმუმ 15 წუთი, ამ დროს საშუალება ეძლევათ მოსწავლეებს შეარჩიონ ის რაც უნდათ. ბიბლიოთეკაში უნდა იყვნენ ამ პერიოდში თავად მასწავლებლებიც და ბიბლიოთეკარებიც კითხულობდნენ. (Vardell, 2014)

უნდა ითქვას, რომ საქართველოსგან განსხვავებით, თანამედროვე მსოფლიოში კლასგარეშე აქტივობებისა და პროგრამების გაზრდის ტენდენციაა. კლასგარეშე პროგრამები გაკვეთილის შემდეგ ბავშვების დროის უსაფრთხოდ, ორგანიზებულად და ნაყოფიერად გატარებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, სპეციფიკური ინტერესების დაკმაყოფილებასა და განსაკუთრებული ტალანტის გამოვლინებასაც უწყობს ხელს. კლასგარეშე პროგრამების საჭიროება და სარგებლიანობა იმდენად დიდია განვითარებულ ქვეყნებში, რომ განათლების სფეროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი სწორედ ასეთი ტიპის პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებაზე მოდის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურის ფედერალური დაფინანსების დაახლოებით 10% კლასგარეშე აქტივობებსა და პროგრამების დაფინანსებას ეთმობა (ნეფარიძე, 2010). ამ მიმართულებით მეტი მხარდაჭერა და

კლასგარეშე კითხვაზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია და დღესაც გამოწვევად რჩება.

წინამდებარე ნაშრომში დანართის სახით (**იხ. დანართ 1**) წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მკითხველთა ინტერესების შესახებ. უფრო კონკრეტულად, მკითხველთა ინტერესების შესასწავლად გამოყენებულია ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი მეთოდი - **ბიბლიოთეკის მკითხველთა ფორმულარების შესწავლა**.

მართალია, სხვადასხვა მკვლევარის მიერ მკითხველთა ინტერესების შესწავლა არაერთხელ ჩატარებულა და რამდენიმე მსგავსი კვლების მოკლე მიმოხილვა წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია, კვლევების შედეგებიც ნათელია და განსაზღვრულია რომელ ასაკში რა ჟანრისა თუ შინაარსის ლიტერატურის კითხვა მოსწონთ მოსწავლეებს, მაგრამ ინტერესები იცვლება ეპოქის ცვლასთან ერთად, იქმნება უამრავი ახალი ნაწარმოები, შესაბამისად, ამჯერად, დისერტაციის ფარგლებში, გაანალიზებულია 2012–13 წლების მკითხველთა ფორმულარები.

კერძოდ, შეირჩა ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ფილიალები, თბილისის რაიონების მიხედვით, რომლებსაც ჰქონდა საბავშვო განყოფილება:

1. მთაწმინდა–კრწანისის რაიონი, №21 ფილიალი;
2. ვაკე–საბურთალოს რაიონი, №19 ფილიალი;
3. გლდანი–ნაძალადევის რაიონი, №49 ფილიალი;
4. ლ. ასათიანის სახელობის ბიბლიოთეკა;
5. ვაკე–საბურთალოს რაიონი, მ. გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკა;
6. დიდუბე–ჩუღურეთის რაიონი, ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა;

დაწყებით საფეხურზე სულ შესწავლილ იქნა 860 ფორმულარი, შესაბამისად - 860 მოსწავლის კითხვის ინტერესი.

წარმოდგენილი მონაცემები მასწავლებლებისთვის თუ სხვა პროფესიულ საზოგადოებისთვის იქნება საინტერესო და დაეხმარება კლასგარეშე კითხვის პროცესის უკეთ ორგანიზებაში. ასევე, ნიმუშად დანართის სახით წარმოდგენილია კითხვარი ანკეტირების მეთოდით მკითხველთა ინტერესების შესასწავლად (**იხ. დანართი 2**).

## თავი III

### კლასგარეშე კითხვის განვითარების ეტაპები საქართველოში

#### §3.1 კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხები ნორმატიულ დოკუმენტებში

წინამდებარე პარაგრაფი მიზნად ისახავს, კლასგარეშე კითხვის სწავლების მიმართულებით აღიწეროს და ისტორიულ ჭრილში გაანალიზდეს საქართველოში კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხებზე შექმნილი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები. კერძოდ, განხილულია:

- ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები 1910 წლიდან 1988 წლამდე;
- ეროვნული სასწავლო გეგმა 2011–2016 და 2017–2023;
- სასკოლო სასწავლო გეგმები 2016–2017;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2008, ბოლო ცვლილება: 2014);

წინდაწინ აღსანიშნია, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით (საუბარია სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნაზე, მაგრამ აქ უმთავრესად იგულისხმება სპორტისა და ხელოვნების მიმართულებები);

##### §3.1.1. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები 1910 წლიდან 1988 წლამდე

*„ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება არ მიმდინარეობს რიგიანად და ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ არავითარი პროგრამა არ არის“* – ამას 1907 წელს გაზეთ „ისარში“ ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა (თაყაიშვილი, 1907, გვ. 2). ის ამბობდა, რომ პროგრამები მასწავლებლების უშუალო ხელმძღვანელობით უნდა შედგენილიყო. სტატიას დართული აქვს „გეგმა ქართული ენის პროგრამისათვის მთავრობის საშუალო სასწავლებლებისთვის“. საუბარია იმაზე, რომ 1-ლ კლასში საკითხავი–გადმოსაცემი მასალა *(როგორც ჩანს, აქ საუბარია ნებაყოფლობით კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაზე)* უნდა შედგებოდეს ბელეტრისტული

თხზულებებისგან და მოსწავლე ეცნობოდეს ბუნებას და ხალხის ყოფა-ცხოვრებას; ეს მოთხრობები, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ პირველი კლასის მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაფერისი უნდა იყოს. წარმოდგენილია მოთხრობათა სარეკომენდაციო სია: ვაჟა-ფშაველა „ჩხიკვთა ქორწილი“, ეკატერინე გაბაშვილი „ჩვენი კაკლის ხე“, „თამროს შეხვედრა“, „ოჯახის ბურჯი“, ნიკო ლომოური „ქაჯანა“, „ალი“, შიო არაგვისპირელი „მოგონება“; „ღმერთი დაილოცოს შენი სამართალი“, „ეკ“, „ყაყიტას ქურდი“, თედო რაზიკაშვილი „ფითრი“, „ერთხელ გაძლო“; დუტუ მეგრელი „ქინაქინა“, სულხან-საბას იგავები, ხალხური ზღაპრები.

1921 წლიდან კი ქართული ლიტერატურის პროგრამის შედგენის ისტორია შეიძლება დაიყოს შემდეგ მთავარ ეტაპებად პერიოდების მიხედვით: 1) 1921–1925 2) 1925–1931 3) 1933–1941 4) 1941–1947 5) 1947–1953 6) 1953–1979 7) 1981–1990 8) 1990 წლიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სტრუქტურა. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებით დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ მათში ასახულია კლასგარეშე კითხვის ევოლუციის საინტერესო სურათი.

1921–25 წლებში შედგენილი პროგრამები განკუთვნილი იყო შრომის სკოლების პირველი და მეორე საფეხურისთვის, ისინი მიზნად ისახავდა ახალი საზოგადოებრივი წყობის განვითარებაში ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმასა და ლიტერატურის სწავლებისას ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილებას. ამ პერიოდში პროგრამებს ეტყობოდა უსისტემობა. მოსწავლეთა ასაკობრივი-გონებრივი თავისებურებების გაუთვალისწინებლობა.

1925–31 წლებში შედგენილი პროგრამებში ასახვა პოვა ე. წ. „ვულგარულმა სოციოლოგიზმმა“, რაც მდგომარეობდა კლასიკოსთა მხატვრული ნაწარმოების სპეციფიკის უგულებელყოფაში. პროგრამებში ლიტერატურული მასალა დალაგებული იყო თემატურად, რასაც საფუძვლად ედო „ბუნება, ძმობა და საზოგადოება“.

პროგრამები იცვლებოდა ცხოვრების საზოგადოებრივ ცვლა-განვითარებასთან ერთად.

1933–41 წლებში პროგრამების ღირსება ის არის, რომ ლიტერატურული მასალები დალაგებული იყო სისტემურად და მასში რევოლუციამდელი პერიოდის კლასიკოს

მწერლებთან ერთად თვალსაჩინო ადგილი ეკავა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებების შესწავლას.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 1921, 1925, 1928, 1931, 1933, 1940, 1947, 1952 წლის პროგრამები ლოგიკურია, რომ გამსჭვალული იყო იმ ეპოქის მსოფლმხედველობით (ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდთა, 1996).

აღსანიშნავია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდური პროგრამებიც, რომლებიც 50-იანი წლებიდან აქტიურად მუშავდებოდა. მაგალითად, 1956 წლის მეთოდურ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ლიტერატურის კითხვის აღმზრდელობითი და სასწავლო-საგანმანათლებლო ფუნქცია, ამოცანები იყო: ახალი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გამომუშავება, კომუნისტური მორალისა და საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდა. ლოგიკური აზროვნების, მეტყველების, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევათა გამომუშავება და ა. შ.

მეთოდურ პროგრამებში დასმულია შემდეგი საკითხები: მოსწავლეთა ნაკითხობისა და კითხვის ინტერესების შესწავლისა და რეგულირების საშუალებები. საბჭოთა ლიტერატურაში კლასგარეშე მეცადინეობის მნიშვნელობა. საბავშვო ლიტერატურის ადგილი კლასგარეშე კითხვაში და სხვა. ასევე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე კითხვისა და მუშაობის მნიშვნელობა და ამოცანები, მისი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ხერხები.

ზემოთ აღნიშნული გამეორებულია 60-70-იანი წლების მეთოდურ პროგრამებშიც და არსებითი ცვლილება არ შეინიშნება კლასგარეშე მუშაობის ხაზით.

ელისო კაკაბაძეს თავის ნაშრომებში – „კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლაში“ და „კლასგარეშე კითხვის შინაარსი და ორგანიზაციის ძირითადი ფორმები ქართულ ლიტერატურაში 5-8 კლასებში“ – დაწვრილებით განიხილავს როგორ მიმდინარეობს კლასგარეშე კითხვა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების (1910-1966 წლებში) მიხედვით. გთავაზობთ ამონარიდებს მისი ნაშრომებიდან:

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ცალკე პირველად გამოიყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1910 წელს ქ. თბილისში გამოცემულ სანიმუშო პროგრამებში. ასევე, ცალკე გამოყოფილი და

პირველად დასახელებული კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია 1911 წელს ქ. ქუთაისში გამოცემულ გიმნაზიის პროგრამებში.

1910 წლის პროგრამის მიხედვით კლასგარეშე კითხვას ეწოდება „ვარჯიშობა გარეშე წიგნების კითხვაში“, პროგრამაში გათვალისწინებულია: „ვრცელი სტატიების კითხვა, კითხვა ქრესტომათიაში ნაწყვეტებისა საუკეთესო მწერლების თხზულებებიდან, შესწავლა შესანიშნავი ლექსებისა და იგავ-არაკებისა საჭირო განმარტებებით. შესასწავლი საგნების შესახებ ცნობების მწყობრად გადმოცემა. გადმოცემა თავისუფლად ლიტერატურის ნაწყვეტების შინაარსისა. გამომეტყველებით კითხვა შესასწავლი მასალისა; ცოცხლად დასურათება ლიტერატურულ-მხატვრული ადგილებისა, კითხვა და გადმოცემა შინაარსისა იმ მასალებიდან, რომელნიც შეადგენენ საუბრის საგანსა და მოცემულია სახელმძღვანელო წიგნში; ვარჯიშობა გარეშე წიგნების კითხვაში; მოკლე შინაარსი წაკითხულისა ზეპირად და წერით. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები საქართველოს საუკეთესო ახალი და ძველი მწერლებისა და უცხოეთის შესანიშნავი პირების შესახებ” (სანიმუშო პროგრამები ქ.შ.წ.გ.ს. სკოლებისა 1910, გვ. 13–14). ელისო კაკაბაძეს ზემოთ თქმულიდან გამოაქვს დასკვნა, რომ „გარეშე წიგნების კითხვას“ მოსწავლეებს უნდა ევალეობოდათ იმ პერიოდში, როდესაც ისინი ერკვევიან არა მარტო წაკითხულის შინაარსში, არამედ იძლევიან ნაწარმოების მხატვრული მხარის შეფასებასაც.

პროგრამაში ძირითად სახელმძღვანელოდაა დასახელებული ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, სქოლიოში კი მითითებულია: „მოსწავლეს შეუძლია იხმაროს აგრეთვე „გუთანი“, შედგენილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლების მიერ, როგორც სწავლაში ხელსაწყო, საიდანაც დროგამოშვებით წაუკითხავს ისეთ მასალას, რომელიც უნდა შეადგენდეს „ბუნების კარში“ მოქცეულ მასალათა დამატებას” (სანიმუშო პროგრამები ქ.შ.წ.გ.ს. სკოლებისა, 1910, გვ. 18). პროგრამის შემდგენელნი დამატებაში ძირითადად გულისხმობენ კლასგარეშე საკითხავ მასალას.

ქ. ქუთაისის ქართული გიმნაზიის პროგრამით კი სახელმძღვანელოდ გამოყენებულია „გუთანი“ და დამატებით ყოველ კლასში შეტანილია საკითხავი წიგნები ესენია: 1. სხვადასხვა სტატია „ნაკადულიდან“ და „ჯეჯილიდან“; 2. მელიას

თავგადასავალი; 3. ორი ზღაპარი გმირისა; 4. ოქროს თავთავი – შიო მღვიმელისა; 5. საყმაწვილო ბიბლიოთეკა; 6. ხუმარა სპილოები და სხვა (ქუთაისის ქართული გიმნაზიის პროგრამები, 1911) .

ამრიგად, ელისო კაკაბაძეს დასკვნით კლასგარეშე კითხვას საგანგებო ყურადღება ექცევა 1910 წლის სანიმუშო პროგრამაში, 1911 წლის ქუთაისში გამოცემულ პროგრამაში კი პირველად არის მოცემული კლასგარეშე სავალდებულო და ნებაყოფლობითი საკითხავი ლიტერატურის სია. პირველი პროგრამა კლასგარეშე კითხვას უწოდებს „ვარჯიშს გარეშე წიგნების კითხვაში, ხოლო მეორე – „კლასგარეთ საკითხავ წიგნებს“.

1911 წელს ქუთაისში გამოცემულ პროგრამას ეყრდნობა ძირითადად თბილისის მე-7 ვაჟთა გიმნაზიის პროგრამა, რომელსაც ეწოდება: „პროგრამა თბილისის ქართული გიმნაზიის პირველი მოსამზადებელი კლასისა“ გამოცემული 1915–16 წლებში. ქართული ენის პროგრამას (შემდგენელი მასწავლებელი ლ. ბოცვაძე) თან ერთვის სია წიგნების, რომელიც უნდა წაიკითხონ მოსწავლეებმა წლის განმავლობაში: სიაში შედის შემდეგი ნაწარმოებები: 1. ე. გაბაშვილის „ღვინია გადაიჩეხა“; 2. საყმაწვილო მოთხრობები ი. ევდოშვილისა; 3. გ. წერეთლის „ლომკაცი“; 4. ე. გაბაშვილის „თინას ლეკური“; 5. ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“; 6. დე ამიჩის „დედა–შვილის თავგადასავალი“; 7. შუბათელის „ყვავილთა შორის“, „მებაღის ნაამბობი“ 8. იაკობ გოგებაშვილის „თავდადებულნი ქართველნი“; 9. ივ. ელიშვილის „სამშობლო ბუნების სარკე“; 10. დე ამიჩის „მოწაფის დღიური“;

ელისო კაკაბაძე ფიქრობს, რომ ეს კლასგარეშე საკითხავი სავალდებულო ლიტერატურის სიაა. ამავე ფონდში დაცულია ქართული ენის პროგრამა, თბილისის ქართული გიმნაზიის მე-2 მოსამზადებელი კლასებისთვის (1915–16 სასწავლო წელი), სადაც გამოყოფილია კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია. ამ განყოფილებაში ყველა მოსწავლემ სათითაოდ წლის განმავლობაში უნდა წაიკითხოს შემდეგი წიგნები: 1. ანდერსენის ზღაპრები; 2. ი. გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“; 3. „კეთილი ძაღლი“; 4. „მელიას თავგადასავალი“ (საყმაწვილო ზღაპარი); 5. შიო მღვიმელის „მათიკო და მისი გიშერა“, „სამი ცელქი“, „ძუნწი და ნატვრა“; 6. ხუმარა სპილოები 7. ნ. ლომოურის „პატარა ქაჯანა“;

აღნიშნულ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია კლასგარეშე კითხვის აღრიცხვასა და შემოწმებაზე. შემდგენელი წერს, რომ ყველა მოწაფისგან ითხოვს დაბეჯითებით ივარჯიშონ წიგნების კითხვაში.

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის თემატურ და ჟანრობრივ თავისებურებებზე მსჯელობა „პირველ დაწყებით სახალხო სკოლის დროებით პროგრამებში” (ლ. ბოცვაძის ზოგადი ახსნა–განმარტებით) გამოცემული თბილისში 1919 წელს. საგულისხმოა, რომ კლასგარეშე კითხვა აღნიშნულ პროგრამაში შეტანილია ქართლი ენის პროგრამის განყოფილებაში, რომელიც საანბანო პერიოდს მოიცავს – მესამე ქვესაკითხად გამოყოფილია საკითხავი მასალა. პროგრამის განმარტებით ბარათში გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის საკითხებზე:

1. *„შეგნებით კითხვა შესაფერისი მოთხრობისა, ზღაპრებისა, იგავ–არაკებისა. მოთხრობები ბავშვების ცხოვრებიდან;*
2. *წაკითხულის შინაარსის გადმოცემა თავისი სიტყვებით;*
3. *ზეპირად და შეგნებით ცოდნა საუკეთესო ლექსებისა სახელმძღვანელო წიგნებიდან;*
4. *სიტყვიერად გადმოცემა შეთვისებულ შთაბეჭდილებათა და აზრთა, როგორ წაკითხულიდან, ისე გაგონილ ამბებიდან;*
5. *წაკითხულის შინაარსის, ან რომელიმე ადგილის თვალსაჩინოდ გადმოცემა ხატვის, ძერწვისა და ამოჭრის საშუალებით;*
6. *მოსწავლის მიერ კლასში კითხვა შესაფერისი მასალისა;*
7. *გარეშე წიგნების კითხვა მოწაფეების მიერ და მისი შემოწმება;*
8. *გამოცნობა საგნებისა თვისებათა მიხედვით”* (პირველი დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, 1919, გვ. 18–19)

ელისო კაკაბაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდში დაცული ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში შეტანილია კლასგარეშე საკითხავი მასალა, ხოლო თეორიული მოსაზრებები კლასგარეშე ლიტერატურაზე ჩამოყალიბდა „პირველი დაწყებითი სახალხო სკოლის დროებით პროგრამაში”. 1910, 1911 წლის პროგრამაში წარმოდგენილია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კლასგარეშე კითხვას საფუძველი მე–2 კლასში უნდა ჩაეყაროს.

1923 წლიდან 1930 წლამდე გამოცემულ პროგრამებში საგანგებო ყურადღება ექცევა *ლიტერატურული წრის* მუშაობას. შვიდწლიანი შრომის პროგრამის განმარტებით ბარათში აღნიშნულია: „*სამშობლო ენის სწავლების დროს სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სალიტერატურო-ესთეტიკური ექსკურსიები, ერთის მხრივ, დაკავშირებული საისტორიო-სალიტერატურო მასალებთან და მეორეს მხრივ, მხატვრულ-ესთეტიკურ ნაწარმოებთან კითხვასთან. მეტად სასურველია და სასარგებლოა სალიტერატურო წრეების დაარსება და კლასგარეშე კითხვის მოწყობა*” (შვიდწლიანი შრომის პროგრამები 1925, გვ. 74). 1923–1931 წლებში საქართველოს სკოლებში მკვიდრდება კომპლექსურ-პროექციული მეთოდები, რის გამოც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საკითხავი მასალის ჯგუფებად და თემებად დაყოფას. ამ პერიოდის ლიტერატურულ პროგრამებში ყურადღება გამახვილებულია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის თემატიკაზე.

1930–32 წლებში გამოცემული პროგრამების განმარტებით ბარათში წარმოდგენილია რეკომენდაცია „*გარეშე წიგნების*” კითხვაზე, მაგრამ არ არის დასახელებული საკითხავი ლიტერატურა. ამ მხრივ საგულისხმო მასალას გვაწვდის პირველი საფეხურის შრომის სკოლის პროგრამები. ქართული ენისა და ლიტერატურის განმარტებით ბარათში საუბარია, რომ „*ბავშვების მიერ ლიტერატურული ნიმუშების გამომეტყველებით კითხვას და თქმას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. წიგნზე და გაზეთებზე მუშაობის ეს სახეც სათანადო ადგილზე უნდა იქნას დაყენებული. მასწავლებლის ხელმძღვანელობით ფართოდ უნდა გაიშალოს გარეშე საბავშვო ჟურნალების, მისაწვდომი მხატვრული და პოლიტიკურ-ტექნიკური და სხვა პოპულარულ-სამეცნიერო შინაარსის ლიტერატურის კითხვა მოსწავლეთა მიერ*” (პირველი საფეხურის შრომის სკოლის პროგრამები, 1932, გვ. 15).

1923–32 წლების პროგრამების ანალიზის შედეგად, ელისო კაკაბაძე ამბობს, რომ ამ წლის პროგრამებში წარმოდგენილია ბევრ საინტერესო მოსაზრება კლასგარეშე საკითხავი მასალის თემატურ დაჯგუფებაზე, მისი წარმართვის ნებაყოფლობით ხასიათსა და მასზე მასწავლებლის სათანადო კონტროლის დაწესებაზე. ამ პერიოდის პროგრამებში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი კლასგარეშე კითხვა კლასგარეშე

მუშაობის ისეთი სახეებიდან, როგორცაა ექსკურსია, ლიტერატურული წრეები, კედლის გაზეთებისთვის წერილების დამუშავება და სხვა. უფრო ზუსტად კი ამ პერიოდში არ არის სათანადოდ განსაზღვრული კლასგარეშე კითხვის ამოცანა (კაკაბაძე, 1966).

1933 წლიდან გამოცემულ პროგრამებში კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა კლასგარეშე კითხვის ამოცანა. 1933 წლის დაწყებითი სკოლის პროგრამაში საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეებს ასწავლიან წიგნის დანიშნულებას, სარჩევის გამოყენებას და სკოლისგარეშე წიგნების კითხვას. კერძოდ, *„მასწავლებელი ეხმარება მოწაფეს საკითხავი წიგნების შერჩევაში, წაკითხულის გაგებაში, ურჩევს ერთი თემის გარშემო სხვადასხვა ნაწარმოების წაკითხვას, აწყობს ჯგუფში ნაწარმოების გარჩევას და სხვა. ამით მოწაფეთა განვითარებასაც ხელს უწყობს და კითხვისა და ზეპირი მეტყველების საქმე წინ მიჰყავს“* (დაწყებით სკოლის პროგრამები, 1933, გვ. 13).

ელისო კაკაბაძე აღნიშნავს, რომ 1934 წელს დაწყებით და საშუალო სკოლის პროგრამებში შეიტანეს მხოლოდ შესწორებები გამარტივების მიზნით, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია კი უცვლელად დარჩა. 1935–36 წლის პროგრამები არსებითად იმეორებდნენ 1932 წლის პროგრამის დებულებებს კლასგარეშე კითხვის შესახებ.

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის საპროგრამო მასალასთან დაკავშირების აუცილებლობაზე მსჯელობას პირველად წარმოდგენილია 1946 წლის რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამებში. ეს პროგრამა ავსებს და აფართოებს იმ შეხედულებას, რომელიც გამოითქვა კლასგარეშე კითხვის შესახებ 30-იანი წლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში. მაგალითად, თუკი წინა წლების პროგრამაში წარმოდგენილია თეორიული მოსაზრებები კლასგარეშე კითხვის თემატიკაზე, აქ უკვე მითითებულია კლასების მიხედვით კლასგარეშე საკითხავი მასალა. მოცემულია კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის დამუშავების მეთოდი. განსხვავებით 1933 წლის სიებისგან, ძირითადად შეტანილია მასალები ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, კლასიკოსი მწერლების ნიმუშები და საბჭოთა პერიოდის საქართველოს მწერალთა შემოქმედება. სიებში არ გვხვდება ნათარგმნი ლიტერატურა (კაკაბაძე, 1966).

კლასგარეშე კითხვის მეთოდის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კლასგარეშე კითხვის საწყისის დადგენა, საბოლოოდ გაირკვა 50-იანი წლების დაწყებითი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში. 1949 წლიდან 1952 წლებამდე გამოცემული პროგრამები, 1933 წლის პროგრამების მსგავსად, კლასგარეშე კითხვის საწყის პერიოდად მიიჩნევენ მე-3 კლასს. მაგალითად, 1949 წლის დაწყებითი სკოლის პროგრამის განმარტებით ბარათში აღნიშნულია: „*მესამე კლასში ვაცნობთ წიგნის შემადგენლობას და მის დანიშნულებას, ვასწავლით სარჩევის გამოყენებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კლასგარეშე წიგნების შერჩევას, მასწავლებელი ეხმარება მოწაფეებს საკითხავი წიგნების შერჩევაში, წაკითხულის გაგებასა და გარჩევაში*” (დაწყებით სკოლის პროგრამები, 1949, გვ. 11). მესამე კლასის პროგრამის პირველ განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება კითხვა, მეოთხე პუნქტად გამოყოფილია: მეცნიერულ-პოპულარული სტატიების კითხვა და შინაარსის თხრობა. მე-4 კლასში მესამე საკითხად შეტანილია კლასგარეშე კითხვა: ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა წიგნის წაკითხვა და გარჩევა. ამ ტექსტს იმეორებენ 1950-51, 52 წლის პროგრამები.

ელისო კაკაბაძის თქმით, 1953 წლიდან პროგრამებში ზოგიერთი რამ შეიცვალა. კერძოდ, კლასგარეშე კითხვა ანბანის შემდგომ პერიოდიდან იწყება. შემდგომ კლასებში განსაზღვრულია კლასგარეშე კითხვის ამოცანები, რომელიც შეესაბამება თითოეული კლასის სწავლების დონეს. მაგალითად, სწავლების მეორე საფეხურის პროგრამა ითვალისწინებს კლასგარეშე კითხვის შემდგე საკითხებს: „*II კლასში ხდება გარჩევა პატარა მოცულობისა და მისაწვდომი შინაარსის საბავშვო წიგნებისა კლასგარეშე კითხვაში. მოწაფეებმა უნდა შეძლონ კლასგარეშე წაკითხულის შინაარსის დამოუკიდებლად გამოცემა*” (დაწყებით სკოლის პროგრამები, 1953, გვ. 12). ამ საფეხურზე მოსწავლეს მოეთხოვება წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, მე-3 კლასში კი ფართოვდება კლასგარეშე კითხვის ამოცანა. მე-3 კლასში მოსწავლეებს ევალებათ კლასგარეშე წიგნის კითხვა, წაკითხულის მოკლე შინაარსის გადმოცემა საინტერესო ადგილების დასახლებებით. აქვე ხდება საბავშვო ჟურნალის „დილა“ გაცნობა, საბავშვო ჟურნალის მასალათა წაკითხვა წარმოებს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. პროგრამაში გამოთქმულია შეხედულება კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის საკითხებზე. თუ 1949 წლის პროგრამაში

ყურადღება მხოლოდ კლასგარეშე კითხვის თემატიკაზე იყო გამახვილებული, 1953 წლის პროგრამებში ზუსტად არის განსაზღვრული ამ ასაკის მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის ამოცანა: მე-4 კლასის მოსწავლემ თავისუფლად უნდა გადმოსცეს კლასგარეშე წაკითხული ნაწარმოების შინაარსი, გამოიტანოს დედააზრი, გამოთქვას მოსაზრება ნაწარმოების მოქმედ პირთა შესახებ. 1953 წლის პროგრამა საფუძვლად უდებს შემდგომი წლების დაწყებითი სკოლის პროგრამას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში ყურადღება გამახვილებულია კლასგარეშე კითხვის მეთოდის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: კლასგარეშე კითხვის მიზანი და ამოცანა, კლასგარეშე კითხვა როგორც კლასგარეშე მუშაობა ერთ-ერთი სახე, კლასგარეშე საკითხავი მასალის თემატიკა და სხვა.

ელისო კაკაბაძე გამოყოფს პროგრამებში ასახულ კლასგარეშე კითხვის მეთოდის განვითარების შემდეგ ეტაპებს:

1. 1910–1919 წლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის შემდგენლებმა მიაქციეს ყურადღება კლასგარეშე კითხვას და შეიტანეს პროგრამაში საკითხავი წიგნების სია;
2. 1923–1929 წლის პროგრამებში კლასგარეშე კითხვა განხილულია კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა სახეებთან მიმართებით;
3. 1933–1935 წლების პროგრამაში წარმოდგენილია მსჯელობა კლასგარეშე კითხვის მიზნებსა და ამოცანებზე;
4. 1945–1949 წლებში პროგრამის შემდგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის თემატიკას;
5. 1950–1959 წლებში გამოყენებულ პროგრამებში განსაზღვრულია თითოეული კლასის კლასგარეშე კითხვის ამოცანა, გამოყოფილია კლასგარეშე საკითხავი სავალდებულო ლიტერატურა კლასების მიხედვით (კაკაბაძე, 1966).

რაც შეეხება მომდევნო წლების (1960–1988) ქართული ლიტერატურის პროგრამების ანალიზს, ისინი ჯერ არ ყოფილა შესწავლილი მეთოდისტების მიერ და წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მათი ანალიზი, ხოლო 90-იანი წლების შემდგომი პერიოდის პროგრამების ანალიზი კი იმ „ელემენტარული“ მიზეზის გამო ვერ ხერხდება. მიუხედავად აქტიური მცდელობისა, ამ წლების პროგრამები არ

იმეზნება არც ბიბლიოთეკებში, არც არქივებში და აღარც პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების ინსტიტუტში, სადაც პროგრამები, როგორც გაირკვა, მათ ლიკვიდაციამდე იყო დაცული. პროგრამები ასევე არ იმეზნება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტში. აღმოჩნდა, რომ არათუ პროგრამა, არამედ ბეჭდური მასალა იქნება ეს თუ სხვა წიგნი, აღარ მიუღიათ 1995 წლის შემდეგ.

1959-60 სასწავლო წლის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების სასკოლო პროგრამებში გათვალისწინებული არ არის რა ლიტერატურული მასალა უნდა იქნეს შესწავლილი, მაგრამ კლასების მიხედვით მითითებულია ის სავალდებულო ცოდნა-ჩვევა, რაც მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ქართულ ენაში (კითხვაში, წერაში, ზეპირმეტყველებაში, გრამატიკასა და მართლწერაში).

პროგრამის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კლასგარეშე კითხვა იწყება *პირველი კლასიდან*, საანბანო პერიოდის შემდგომ. ოღონდ გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გასაგები შინაარსის მცირე მოცულობის მოთხრობები, ზღაპრები და სტატიები მიეცეთ დამოუკიდებლად წასაკითხად. ამ ტექსტების შინაარსის გადმოცემა უნდა შეეძლოს როგორც მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მიხედვით, ისე დამოუკიდებლადაც.

რაც შეეხება *მეორე კლასს*, პროგრამის მიხედვით გამოყოფილია წიგნის გაცნობა, რომელშიც იგულისხმება წიგნის ყდის, პირველი გვერდის, ავტორის, წიგნის სახელწოდების, გვერდების, სარჩევის, მათი მნიშვნელობის მოკლედ განსაზღვრა. კლასგარეშე კითხვის ამოცანები და მიზნები კი იგივე რჩება.

*მესამე კლასიდან* მოსწავლე ეცნობა საბავშვო ჟურნალს და მას ევალეზა საბავშვო წიგნების კითხვა, უნდა შეეძლოს წაკითხულის მოკლე შინაარსის ზეპირად, ხოლო საინტერესო ადგილების ვრცლად გადმოცემა. ასევე, საბავშვო ჟურნალის მასალების ჯგუფურად და ინდივიდუალურად წაკითხვა, წაკითხულის შინაარსის დამოუკიდებლად გადმოცემა.

*მეოთხე კლასიდან* მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაზეთს და კლასგარეშე კითხვა ასაკის შესაბამისად რთულდება ისე, რომ მოსწავლეს მოუწევს წაკითხული ნაწარმოების შინაარსის გეგმის შედგენა და ამ გეგმის შინაარსის გადმოცემა. ასევე,

ნაწარმოებში გატარებული დედააზრის გამოტანა და ნაწარმოების მოქმედ პირთა შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლის პროგრამის არცერთ კლასში, ერთი შეხედვით, არ არის წარმოდგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია, საუბარია საკლასო კითხვაზე და წარმოდგენილია საკითხავი და ზეპირად შესასწავლი ნაწარმოებების სია, რომლიც კითხვისა და საუბრის თემატიკის შესაბამისია.

ზემოთქმული შესაძლებელია ზუსტად გავრცელდეს 1960, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1966, 1967, 1968, 1969, წლის დაწყებითი სკოლის პროგრამებზე, რომლებშიც კლასგარეშე კითხვის კუთხით არსებითი ცვლილებები არ შესულა.

1971 წლიდან პროგრამებში 1–ლ კლასში შემოტანილია ასეთი სახელწოდებაც: „ანბანში ჩასართავი და ანბანის შემდგომ საკითხავი მასალა“. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები) მათი გაიგივება თამამად შეიძლება კლასგარეშე საკითხავ მასალასთან.

პროგრამაში აღნიშნულია ისიც, რომ მოსწავლეთა გადატვირთვის აღსაკვეთად, I, II და III კლასების დედაენის სახელმძღვანელოში შესატანი მასალა განსაზღვრულია მხოლოდ პროგრამით. მიუხედავად ამისა, სასწავლო შინაარსის გასაუმჯობესებლად სახელმძღვანელოს ავტორებს ევალებათ ამა თუ იმ თემისთვის შეარჩიონ უფრო მაღალხარისხოვანი მასალა.

სხვა მხრივ, კლასგარეშე კითხვის ამოცანებსა და მიზნებში ცვლილებები არ არის შესული ერთი და იგივე მეორდება 1972, 1973/74 წლებში.

სწორედ 70–იანი წლებიდან პროგრამებში ყურადღება გამახვილებულია კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობაზე. კერძოდ, 1972 წლის რვაწლიანი სკოლის პროგრამაში (დაწყებითი (მოსამზადებელი, I, II, III) კლასი) საუბარია, რომ დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი კლასგარეშე კითხვას. მოსწავლეთა აღზრდა–განთლების საქმეში კლასგარეშე, ანუ დამოუკიდებელ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციასა და შინაარსს დაწყებით კლასებში საგანგებო ყურადღება ექცევა.

განმარტებით ბარათში წარმოდგენილია უფრო ვრცელი მსჯელობა კლასგარეშე კითხვის ამოცანებსა და მიზნებზე. კერძოდ, კლასგარეშე კითხვა შემდეგ მიზნებს ისახავს:

1. გააფართოვოს და გააღრმავოს ის ცოდნა, რომელიც მოსწავლეს მიღებული აქვს საკლასო კითხვის დროს სხვადასხვა საგანში;
2. შეაჩვიოს მოსწავლე საჭირო ლიტერატურის შერჩევას ბიბლიოთეკაში, საჭირო მასალის მიგნებას წიგნში;
3. განუვითაროს მოსწავლეს კითხვაში აქტივობის უნარი, გაუფართოვოს მას ცნობისმოყვარეობა, გაუძლიეროს წიგნისადმი სიყვარული;
4. სრულყოს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა;
5. განუვითაროს მოსწავლეს ინდივიდუალური ინტერესი და მისწრაფება; ფართო გასაქანი მისცეს მის შემოქმედებით ინიციატივას;
6. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა წარმოსახვის, აზროვნებისა და მეტყველების უნართა განვითარებას;

კლასგარეშე საკითხავ სარეკომენდაციო ლიტერატურას მოსწავლეები კითხულობენ როგორც კითხვის თემასთან დაკავშირებით, ისე დამოუკიდებლად.

იმისთვის, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ დამოუკიდებელი მუშაობის უნარი და ჩვევა, კლასგარეშე კითხვისთვის გამოყოფილია გარკვეული დრო: მოსამზადებელ კლასში სასწავლო წლის უკანასკნელი 2 თვე ტარდება კლასგარეშე კითხვა 10 დღეში ერთხელ, 1-ლ და მე-2 კლასებში კლასგარეშე კითხვა ტარდება კვირაში ერთხელ, მე-3 კლასში – ორ კვირაში ერთხელ. კითხვაში აქტივობის ასამაღლებლად, ცნობისმოყვარეობის გასაღვიძებლად შემეცნებითი და ესთეტიკური ინტერესების გასავითარებლად გამოყენებულია კლასგარეშე წიგნზე მუშაობის მასობრივი ფორმები (დილის ჩატარების სახით, ლიტერატურული თამაშობანი, ვიქტორინა, გამოფენა და ა. შ.) და ინდივიდუალური კლასგარეშე კითხვა.

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს (პროგრამაში მითითებული დამატებითი საკითხავი ნაწარმოებების გარდა) იმ სარეკომენდაციო სიებით, რომლებიც შემუშავებული აქვს საბავშვო ბიბლიოთეკას (ან სასკოლო ბიბლიოთეკას, თანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ მოთხოვნილებასაც), რათა კლასგარეშე კითხვა

წარმართოს გარკვეული მიმართულებით, რეალურად შეუწყოს ხელი ბავშვის საერთო განვითარებას.

დამოუკიდებელი კითხვის თემატიკაში შედის ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, მხატვრულ-მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ნაწარმოებები, გამოცანები, ანდაზები, თქმულებები, რომლებიც უნდა გამოირჩეოდეს მდიდარი ენით, ცხოვრების რეალური სურათებითა და ადამიანის მაღალი მორალური ძალის ჩვენებით.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი კითხვის კონტროლს მასწავლებელი ახორცილებს არ მხოლოდ გაკვეთილზე, არამედ ინდივიდუალური საუბრის გზით, კლასგარეშე წაკითხულის ჩანაწერის შემოწმებითა და ა. შ. კონტროლმა არ უნდა მიიღოს გამოცდის ხასიათი.

XX საუკუნის 70-იანი წლების პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ დაწყებით კლასებში თემების მიხედვით შეტანილი „საკითხავი ლიტერატურა“ შესაძლებელია ისე გავიგოთ, როგორ სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და კლასგარეშე დამატებით საკითხავს კი თავად მასწავლებელი ან ბიბლიოთეკარები სთავაზობენ მასწავლებლებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1971 წლიდან მოხდა ერთი არსებითი ცვლილება – მე-4 კლასი გამოეყო დაწყებით სკოლას და მშობლიური ლიტერატურის სისტემური კურსის სწავლება ამ კლასიდან დაიწყო. დაწყებითებს კი დაემატა მოსამზადებელი კლასი. სწორედ, ამ პერიოდიდან ჩნდება ცვლილებები მე-4 კლასში კლასგარეშე მუშაობის მიმართულებით. სავალდებულო კლასგარეშე კითხვისათვის პროგრამაში გამოყოფილია საათები. საპროგრამო მასალასთან კავშირში მასწავლებელმა წარმოდგენილი სიიდან მოსწავლეებს უნდა დაუსახელოს ნაწარმოებები, რომლებსაც ისინი დამოუკიდებლად წაიკითხავენ. საპროგრამო მასალის შესწავლის შემდეგ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილზე ჩატარდება საუბარი წაკითხულის ირგვლივ (საკითხებზე: ავტორი, თემა, იდეა, მოქმედი გმირები, შთაბეჭდილებები დასხვა), რა თქმა უნდა, შესწავლილ პროგრამულ მასალასთან კავშირში. კლასგარეშე კითხვის გაკვეთილზე სასაუბროდ შეიძლება შეირჩეს ორი-სამი ნაწარმოებიც ერთდროულად. გარდა სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურისა წარმოდგენილია დამატებითი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიაც.

აღნიშნულია, რომ კლასგარეშე კითხვა უნდა იქცეს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ლოგიკური, დასაბუთებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განმტკიცების საშუალებად.

უფრო კონკრეტულად კი, 1971–72 სასწავლო წლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამაში მე-4 კლასში ქართული ლიტერატურის შესწავლას 70 საათი ეთმობა და აქედან კლასგარეშე სავალდებულო საკითხავ ლიტერატურაზე საუბრისთვის 18 საათია გამოყოფილი. **ცხრილი №3.1.-ში** წარმოდგენილია ყოველი საპროგრამო ნაწარმოების დამთავრების შემდეგ, რა სავალდებულო ლიტერატურა უნდა წააკითხოს მასწავლებელმა მოსწავლეს:

**ცხრილი №3.1**  
კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა მე-4 კლასში

სავალდებულო ლიტერატურა	სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა
ხალხური „არსენას ლექსი“	ხალხური „ვაჟკაცსა გული რკინისა“,
	ხალხური „ბატონიშვილი ერეკლე“,
	„ასფურცელა“
ვაჟა-ფშაველა „შვლის ნუკრის ნაამბობი“	ვაჟა-ფშაველა „ჩხიკვთა ქორწილი“
ა. ყაზბეგი „ნამწყემსარის მოგონებანი“	ვაჟა-ფშაველა „პატარა მწყემსის ფიქრები“
რ. ერისთავი „სამშობლო ხევსურეთისა“; ი. გოგებაშვილი „იავნანამ რა ჰქმნა?“	ი. გოგებაშვილი „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“
	ი. გოგებაშვილი „ცხრა ძმა ხერხეულიძენი“
	ი. ჭავჭავაძე „ნიკოლოზ გოსტაშვილი“

	ი. ნონეშვილი „თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი“
	რ. მარიანი „დედის თვალები“
ნ. ლომოური „ქაჯანა“	ნ. ლომოური „ალი“
ე. ნინოშვილი „გოგია უიშვილი“ ე. ნინოშვილი „ღვინია გადაიჩეხა“	რ. ერისთავი „სესიას ფიქრები“
ი. ჭავჭავაძე „გაზაფხული“ გ. ტაბიძე „ლენინს“ , „სამშობლო“	ხალხური „თქმულება ლენინზე“ ა. გომიაშვილი „მერხზე იჯდა ნაპერწკალი“ ბ. ბერულავა „შენ, პატარა მეგობარო“
ხ. ბერულავა „მოსკოვი“ მ. გელოვანი „ქართლის მიწავ, უტკბილესო“	მ. გელოვანი „ცხრაკარა“
ა. მირცხულავა „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“	

**წყარო:** 1971–72 სასწავლო წლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა

კლასგარეშე დამატებით საკითხავ ლიტერატურად კი მოცემულია ფოლკლორის ნიმუშები, იმ მწერლების ნაწარმოებები, რომლებსაც ისინი მე-4 კლასში გადიოდნენ და ამავდროულად სარეკომენდაციოდ წარმოდგენილია საზღვარგარეთის ლიტერატურაც (მაგალითად, ვაჟა-ფშაველა „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“, ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, ტ.1 და 2. ე. რასპე „მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ და ა. შ.).

ანალოგიური მდგომარეობა არის 1972–73, 1973–74, 1975–76, 1976–77 წლების პროგრამაშიც. განსხვავება არის ის, რომ ამჯერად სავალდებულო კლასგარეშე კითხვისთვის 10 საათი გამოიყო და შესაბამისად რაოდენობა სავალდებულო საკითხავი ლიტერატურისა შემცირდა (მაგალითად, ნ. ლომოურის „ქაჯანას“ შესწავლის შემდეგ დამატებით აღარ არის წარმოდგენილი მისივე „ალი“).

რაც შეეხება XX საუკუნის 80–იანი წლების პროგრამებს, ამ დროისთვის მთლიანად ქართული ლიტერატურის შესასწავლად გამოიყო 68 საათი (2 საათი მოაკლდა) და საათების რაოდენობის შემცირება შეეხო კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურასაც – დარჩა 8 საათი. პროგრამული ნაწარმოები გამოყოფილია თემატურად და დანართშია გადატანილი თითოეული თემისთვის სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. განმარტებით ბარათში წერია: „*ლიტერატურის ძირითადი კურსი ემყარება ფართო კლასგარეშე კითხვას, რომელიც აუცილებელია მოსწავლეთა ლიტერატურული განათლებისთვის. მე–4–7 კლასებში გათვალისწინებულია კლასგარეშე კითხვის სპეციალური გაკვეთილები. მათთვის მასწავლებელი ნაწარმოებებს ირჩევს პროგრამისთვის თანდართული სიიდან... საუბრისთვის შემოთავაზებული სიიდან მასწავლებელი მოსწავლეთა ინტერესების, მოთხოვნილებებისა და მომზადების დონის გათვალისწინებით თავისი შეხედულებისამებრ ირჩევს რამდენიმე წიგნს, სხვა, დარჩენილი ნაწარმოებები კი გათვალისწინებულია დამოუკიდებელი კითხვისა და ფაკულტატურ მეცადინეობაზე განსახილველად*” (ქართული ენა და ლიტერატურა, 1981, გვ. 51). მასწავლებელმა საათები თავისი შეხედულებისამებრ უნდა გაანაწილოს და თემატიკურ გეგმაში მიუჩინოს ადგილი წასაკითხ მასალასთან ერთად. უნდა შეეცადოს წასაკითხი ლიტერატურის თემატიკა მრავალფეროვანი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ „ფართო კლასგარეშე კითხვაზე” საათების შემცირებისა და სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ამოღებით წარმოუდგენელია. 1980 წლის 22 მაისს დამტკიცებულ პროგრამაში არის მთელი რიგი ცვლილება, რომლებიც განპირობებულია პროგრამის იდეურ–თეორიული და სამეცნიერო დონის ამაღლებით, შრომითი აღზრდის გაძლიერებით, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებით და ა. შ. აღსანიშნავია, რომ 80–იანი წლებიდან პროგრამაში შეინიშნება ნელ–ნელა კლება საბჭოთა იდეოლოგიის ნაწარმოებებისა. ნათელი სურათის შესაქმნელად, აღსანიშნავია, რომ ქართული ხალხური სიტყვიერების თემაში შეტანილია ქართული ხალხური ლექსები – ვაჟაყვისა გული რკინისა, ვახტანგ მეფე, ჩვენი ბატონი ერეკლე, კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში კი წარმოდგენილია – ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები; ქართული ანდაზები, ირმის შვილი – აფხაზური ზღაპრები, თქმულებები, იგავები; უზბეკური ზღაპრები, ბერძნული მითები, ა.

პუშკინის ზღაპრები და ა.შ. საბჭოთა მწერლობა ძირითადად კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიაშია გადატანილი. მსგავსად 1970–79–წლების პროგრამებისა, აქაც საზღვარგარეთის ლიტერატურაა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიაში.

1988 წლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების პროგრამის შესავალში მითითებულია, რომ მოსწავლეთა წიგნის მიმართ სიყვარულის გაზრდის მიზნით უკანასკნელ წლებში შეიქმნა დაწყებითი სკოლის ოთხივე კლასისთვის „კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის“ კრებულები. ვ. რამიშვილმა შეადგინა კლასგარეშე კითხვის სახელმძღვანელო კრებული „კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა 1–ლ კლასელთათვის“.

1988 წლის პროგრამაში საუბარია, რომ I კლასში კლასგარეშე კითხვის მიზანია საყმაწვილო ლიტერატურის გაცნობა, წიგნის კითხვის სიყვარულის აღძვრა. ძირითადად კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას მასწავლებელი კლასში უკითხავს მოსწავლეებს. ამ პროცესს კვირაში ერთი გაკვეთილი ეთმობა. პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურაც, რომელიც თემატურადაა შერჩეული. 1–ლ კლასში გამოყოფილია შემდეგი თემები: ახალი წელი; საბჭოთა არმიის დღე, საბჭოთა საქართველო; ზამთრის ბუნების სურათები; გაზაფხულის ბუნების სურათები; 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე; ვ.ი. ლენინი; 1 მაისი – მშრომელთა საერთაშორისო დღე; 9 მაისი – დიადი გამარჯვების დღესასწაული; რა არის კარგი და რა არის ცუდი; თითოეულ თემაზე გამოყოფილია სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. მაგალითად, თემაზე „ზამთარი, ახალი წელი“ სარეკომენდაციოდ წარმოდგენილია თამაზ ჭილაძის ზამთარი; ხალხური „სამი მგელი“; გივი ჭიჭინაძის თოვლის პაპის ნათქვამი; ნუნუ ლალიძის მეკვლე; ვაჟა–ფშაველას საახალწლო;

ანალოგიური მდგომარეობაა II–IV კლასებშიც: ისევ თემატურად არის შერჩეული კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა, რომელიც პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის უკეთ გააზრებას უწყობს ხელს. განმარტებით ბარათში ცალკე პუნქტად არის წარმოდგენილი კლასგარეშე კითხვა და დაწვრილებითაა ჩამოწერილი თითოეულ კლასში რა მიზნებისა და შედეგების მიღწევას საჭირო. კერძოდ, II–IV კლასებში მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა

წაკითხოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებული (შემდგენელი ვ. რამიშვილი); მე-2 კლასელს უნდა შეემლოს კლასგარეშე წაკითხული ნაწარმოებების შინაარსის გააზრება, კითხვის ჰორიზონტის გაფართოება, იმ მწერალთა სახელებისა და გვარების ცოდნა, რომელთა ნაწარმოებებს მოსწავლეები კითხულობენ სასაწავლო წლის განმავლობაში. მესამე კლასიდან უკვე უნდა შეემლოთ მოქმედი პირების ქცევის სწორად შეფასება, მათდამი თავიანთი დამოუკიდებულების გამოხატვა. მე-4 კლასიდან უნდა გამოვლინდეს ნაწარმოების სწორად შეფასების უნარი.

ამრიგად, 1960-1988 წლების პროგრამების ანალიზის შედეგებით კლასგარეშე კითხვის მეთოდის განვითარების ეტაპები ასეთია:

1. 1960-1969 - კლასგარეშე კითხვის დაწყება აუცილებლად მიიჩნევა პირველივე კლასიდან, საანბანო პერიოდის შემდგომ.
2. 1970-1974 - პროგრამებში დაზუსტდა დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები. მეტი დრო დაეთმო კლასგარეშე კითხვას და წაკითხულის განხილვას. ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა გადაღლის თავიდან აცილებაზე. შესაბამისად, მკაცრად განისაზღვრა საპროგრამო მასალა და კლასგარეშე სავალდებულოდ საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიის შედგენა სახელმძღვანელოს ავტორს დაეკისრა. ხოლო დამატებითი საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიების მოსწავლეებისთვის გადაცემა სკოლის ბიბლიოთეკების ფუნქცია გახდა;
3. 1975-1979 - პროგრამებში აშკარა ტენდენციაა კლასგარეშე კითხვისთვის გამოყოფილი დროის ყოველწლიურად შემცირების.
4. 1980-1988 - შეინიშნება საბჭოთა იდეოლოგიის აშკარა კლება. კერძოდ, მსგავსი იდეოლოგიის შემცველი ლიტერატურა ან სრულად იქნა ამოღებული პროგრამიდან ან ნაწილი გადატანილ იქნა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიაში. გაიზარდა ეროვნული თემატიკის საკითხავი ლიტერატურის რაოდენობა. პროგრამაში გაჩნდა ჩანაწერები კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებულებზე.

რაც შეეხება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე (2013 წელი) პერიოდს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვერ ხერხდება შესაბამისი წლების პროგრამების დაძველება.

შესაბამისად, კლასგარეშე კითხვის სწავლების თანამედროვე ვითარების იდენტიფიცირებისთვის შემდგომ ქვეთავებში გაანალიზებულია მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა, საკლასო სასწავლო გეგმები და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

### **§3.1.2. ეროვნული სასწავლო გეგმა**

„ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში” ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა). კლასგარეშე კითხვას უდიდესი როლი აქვს არა მხოლოდ კითხვის უნარის განვითარებაში, არამედ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნით განსაზღვრული გარემოს დაცვის, ტოლერანტობის, ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების, დამოუკიდებლად ცხოვრებისა და გადაწყვეტილების მიღებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2017).

„ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში” განსაზღვრულია, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა, პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვროს მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებები. განსაკუთრებით საინტერესოა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაც ხდება ეროვნული მიზნების საფუძველზე და განსაზღვრავს მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ ოდენობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; საჭირო ინფორმაციის ოდენობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011–2016 და 2017–2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმები კლასგარეშე კითხვის მიმართულებით არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილია მოქმედი 2017-2023 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი.

ეროვნული სასწავლო გეგმა შედგება სამი ნაწილისგან. სწორედ პირველ ნაწილში არის აღნიშნული, კლასგარეშე კითხვის მიმართულებისთვის საინტერესო ერთი დეტალი. კერძოდ, დამრიგებლის მოვალეობაა: *„დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო*

საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით”. (ესგ, 2017–2013, გვ. 10) შესაბამისად, შესაძლებელია ეს ჩანაწერი გააზრებულ იქნას, როგორც არაპირდაპირი მინიშნებად იმისა, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩატარდეს კლასგარეშე კითხვის გაკვეთილები. გარდა ამისა, განსაზღვრულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს „ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა” (ესგ, მუხლი 21, მე-4 პუნქტის „ე” ქვეპუნქტი). ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შესახებ. სკოლას რჩება უფლება, რომ მოსწავლეებს თავად შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან/და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურება სავალდებულო ან/და ფაკულტატური (წრე) სახით. დამატებითი სააღმზრდელო მომსახურების კონტექსტში შესაძლებელია მოცემული იყოს კლასგარეშე კითხვის საათი და შესაძლოა, ეს სწორედ PIRLS-ის კვლევების შედეგების გამოსწორების მიზნით ინიცირდა (<https://www.naec.ge/#/ge/post/1759>), თუმცა აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ამ ნაწილში კლასგარეშე კითხვაზე პირდაპირი მითითებით სხვა არაფერია წარმოდგენილი.

განსაკუთრებით საინტერესოა, ეროვნული სასწავლო გეგმის მეორე და მესამე კარი: II კარში წარმოდგენილია საგნობრივი სასწავლო გეგმების ზოგადი დახასიათება, საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, საგნის სწავლების ორგანიზება, საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით, ხოლო III კარში წარმოდგენილია საგნობრივი სასწავლო გეგმების საგნობრივი პროგრამები (შემდგომში - საგნობრივი პროგრამები) კლასების მიხედვით. საგნობრივი პროგრამა განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდეს და შეძლოს მოსწავლემ და როგორ უნდა იქნეს მიღწეული საგნობრივი სტანდარტის შედეგები;

მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში კითხვის მიმართულებით წერია, რომ „*მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები საწყის დონეზე (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.)*” (ესგ 2017–2023, გვ. 47). ამ ნაწილში ძირითადად წარმოდგენილია, თუ რა შედეგებზე უნდა გავიდეს მოსწავლე, მაგრამ, მესამე ნაწილში უკვე უნდა იყოს მსჯელობა იმაზე, თუ რა საშუალებით უნდა იქნას მიღწეული საგნობრივი სტანდარტი. სამწუხაროდ, არც ამ ნაწილშია პირდაპირ მითითება იმაზე, რომ სწორედ კლასგარეშე კითხვას შეუძლია თუნდაც კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ან დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარება და ა.შ. თუმცა კლასების მიხედვით მოცემულია დავალებათა და აქტივობათა ნიმუშები, რომელთაგან საყურადღებოა შემდეგი აქტივობები:

- საბავშვო წიგნების, ჟურნალების დათვალიერება-განხილვა ილუსტრაციებზე, მსხვილ შრიფტსა და სხვა ფორმალურ მახასიათებლებზე დაკვირვების მიზნით (I კლასი)
- საყვარელი ნაწარმოების/ეპიზოდის წაკითხვა თანაკლასელებისთვის; საყვარელი ნაწარმოების /ზღაპრის მიხედვით წიგნის შექმნა (III კლასი)
- საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა და წიგნების მიმოხილვა; წიგნის/ნაწარმოების პრეზენტაციები (წაკითხული ნაწარმოების შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება თანაკლასელებისათვის, თუ რატომ უნდა წაიკითხოთ ესა თუ ის ნაწარმოები); (IV კლასი)
- წაკითხული წიგნების კატალოგის შედგენა (მოკლე ანოტაციით); VI კლასი)

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს

ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს. ე.ი. ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ თემატურ თუ ჟანრობრივ მრავალფეროვნებაზე და განსაზღვრულია მხოლოდ საკითხავი ტექსტის ტიპები. მაგალითად, I-IV კლასები:

- *„მხატვრული: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები და სხვ.; კომიქსები.*
- *არამხატვრული:*
  - ა) *პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, რეცეპტი, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი წარწერა/აზრა, ღია ბარათი, ინტერვიუ, განცხადება (მაგ., საყმაწვილო ჟურნალში), წერილი (მაგ., მეგობრული);*
  - ბ) *ასაკის შესაბამისი სირთულის საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან და სხვ;*
  - გ) *დიდაქტიზებული ტექსტები (საანბანო და სასაუბრო ტექსტები და სხვ.).*
- *მულტიმედიური: მულტფილმი, საბავშვო სიმღერა, კინოფილმი, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის აუდიო-ვიდეო მასალა (რეკლამა, ანონსი, რეპორტაჟი, სლაიდ შოუ), საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებ-პორტალიდან, მიმიკური მიზანსცენა, სხვ. “ (ესგ, 2017–2023, გვ. 51)*

როგორც ჩანს, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის კონკრეტული კლასგარეშე კითხვის მიმართულებით და მისი მართვა მასწავლებლის პროფესიონალიზმზე არის დამოკიდებული. მართალია, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მეთოდური მომზადება და ცოდნა საგანშიც, მაგრამ ამ მეტად რთული საქმის ხელმძღვანელობას ახლო ისტორიულ წარსულშიც კი არ ანდობდნენ მხოლოდ მასწავლებლებს. მით უმეტეს ახლა, როდესაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლის რაოდენობა არც ისე ბევრია (დასასაბუთებლად კმარა მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებზე ჩაჭრის სტატისტიკა) და კლასგარეშე კითხვის ორგანიზება, განსაკუთრებით დაწყებით

საფეხურზე, მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს, რაც ნათლად ჩანს ნაშრომის უკვე წარმოდგენილ ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმებისგან განსხვავებით ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხები გაცილებით სისტემური და ორგანიზებულია.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ კლასგარეშე კითხვის შესახებ ამჟამინდელ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩანაწერი არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კლასგარეშე კითხვა რეალურად მასწავლებლისა და სკოლის ამარაა დარჩენილი. სწორედ აქედან გამომდინარე, მომდევნო პარაგრაფში განხილულია სასკოლო სასწავლო გეგმები.

### **§3.1.3. სასკოლო სასწავლო გეგმები -2016-2017**

სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია კონკრეტული სკოლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი დატვირთვის დაზუსტება, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ინტერესს იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები, რომელებიც შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული სავალდებულო ან ფაკულტატური სახით. დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისათვის და აუცილებლად განსაზღვრულია საგნის სწავლების მიზნები, პრინციპები, საჭირო საგანმანათლებლო რესურსები. (ესგ, 2017–2023, გვ. 11–12)

სკოლების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სასკოლო სასწავლო გეგმებიდან გასაანალიზებლად საქართველოს რეგიონიდან შეირჩა 44 სკოლის გეგმა (იხ. ცხრილი №3.2.) სკოლის ტიპების გათვალისწინებით (კერძო, საჯარო), თუმცა

საჯარო სკოლების უმეტესობას ვებგვერდზე სასკოლო სასწავლო გეგმა არ აქვს განთავსებული. ქვემოთ წარმოდგენილია მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი.

**ცხრილი №3.2.**

**სასკოლო სასწავლო გეგმების რაოდენობა რეგიონებისა და სკოლის ტიპის მიხედვით:**

	კერძო სკოლა	საჯარო სკოლა
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი - სულ</b>	<b>3</b>	<b>1</b>
მათ შორის:		
ზუგდიდი	2	-
სენაკი	1	-
ფოთი	-	1
<b>აჭარის ა/რ - სულ</b>	<b>9</b>	<b>-</b>
მათ შორის:		
ბათუმი	5	-
ქობულეთი	1	-
შუახევი	1	-
ხელვაჩაური	1	-
ხულო	1	-
<b>იმერეთი- სულ</b>	<b>3</b>	<b>2</b>
მათ შორის:		
თერჯოლა	1	-
ქუთაისი	1	1
წყალტუბო	1	-
ბაღდათი	-	1
<b>ქვემო ქართლი- სულ</b>	<b>4</b>	<b>-</b>
მათ შორის:		
რუსთავი	3	-
მარნეული	1	-
<b>შიდა ქართლი- სულ</b>	<b>2</b>	<b>-</b>

<i>მათ შორის:</i>		
<i>გორი</i>	2	-
<b>კახეთი- სულ</b>	<b>1</b>	<b>-</b>
<i>მათ შორის:</i>		
<i>თელავი</i>	1	-
<b>თბილისი- სულ</b>	<b>14</b>	<b>5</b>
<i>მათ შორის:</i>		
<i>გლდან-ნაძალადევი</i>	7	1
<i>ვაკე-საბურთალო</i>	2	1
<i>დიდუბე-ჩუღურეთი</i>	4	-
<i>ისანი-სამგორი</i>	1	3
<b>სულ:</b>	<b>36</b>	<b>8</b>

18 კერძო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში საერთოდ არაფერია ნათქვამი კლასგარეშე კითხვის საქმიანობასთან დაკავშირებით. არც დამრიგებლის პროგრამაა დეტალური, სადაც შეიძლება დაზუსტებული ყოფილიყო თუ რა ტიპის საქმიანობის განხორციელება მოუწევდა მას სადამრიგებლო საათის ფარგლებში. ხოლო 14 კერძო სკოლის გეგმაში კი კონკრეტულად არის საუბარი დაწყებით კლასებში სადამრიგებლო საათის ფარგლებში კითხვის გაკვეთილების ჩატარებაზე. კერძოდ, ეს საკითხებია:

- კითხვის ტექნიკის გაძლიერება
- წაკითხულის განხილვა გააზრება
- ანალიზის უნარის განვითარება
- პრეზენტაციის უნარი
- შემოქმედებითი უნარების განვითარება

იმ 14 კერძო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან, რომელშიც საუბარია კითხვის გაკვეთილის ჩასატარებელ საკითხებზე, მხოლოდ 4 სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაშია უფრო კონკრეტულად საუბარი სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩასატარებელ თემებზე (საყვარელი წიგნები, როგორ ვეცნობი კლასიკას, კითხვის ხელშემწყობი სტრატეგიები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიები

ან დამხმარე სახელმძღვანელოები, ერთ–ერთ გეგმაში საუბარია კლასგარეშე კითხვის მონიტორინგზე და კვლევებზეც, რომელსაც ახორციელებს კლასის დამრიგებელი. კიდევ 4 კერძო სკოლა კი დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს ისეთი საგნებს, როგორებიცაა მითოლოგია, ზღაპრის გაკვეთილები (პირველ კლასში) და ლიტერატურული კლუბები (იხ. ცხრილი №3.3.)

**ცხრილი №3.3.**

კერძო სკოლებში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობები კლასგარეშე მუშაობის მიმართულებით

	სადამრიგებლო საათის ფარგლებში კითხვა	დამატებითი სავალდებულო საგნები	კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხები	N/A
სამეგრელო– ზემო სვანეთი	-	-	-	3
აჭარის ა/რ	3	-	-	6
იმერეთი	2	-	-	-
ქვემო ქართლი	1	-	2	2
შიდა ქართლი	1	-	-	1
კახეთი	-	-	-	1
თბილისი	3	4	2	5
<b>სულ:</b>	<b>10</b>	<b>4</b>	<b>4</b>	<b>18</b>

რაც შეეხება საჯარო სკოლებს, 8 სკოლიდან ერთი სკოლის გეგმაში არ არის საუბარი კლასგარეშე კითხვაზე ან სადამრიგებლო პროგრამაზე, ხოლო 3 სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მხოლოდ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში კითხვის გაკვეთილების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკონკრეტებული თემების მიხედვით. დანარჩენ 4 საჯარო სკოლას სასკოლო

სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს სადამრიგებლო საათთან ერთად კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიაც, საუბარია კლასგარეშე და სასკოლო საქმიანობის ერთიანობის საკითხებზე, კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებაზე და ა.შ (იხ. ცხრილი №3.4.).

**ცხრილი №3.4.**  
**საჯარო სკოლებში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობები კლასგარეშე მუშაობის მიმართულებით**

	სადამრიგებლო საათის ფარგლებში კითხვა	დამატებითი სავალდებულო საგნები	კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხები	N/A
<i>სამეგრელო-ზემო სვანეთი</i>	1	-	-	-
<i>იმერეთი</i>	1	-	1	-
<i>თბილისი</i>	1	-	3	1
<b>სულ:</b>	<b>3</b>	<b>-</b>	<b>4</b>	<b>1</b>

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით შესაძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ დამოუკიდებლად სკოლა და მასწავლებელი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შიდა კანონქვემდებარე აქტებში კლასგარეშე კითხვის პროცესის სრულყოფილად გაწერასა და ზოგადად მის ორგანიზებას. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ დგას საჭიროება იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით დარეგულირდეს კლასგარეშე კითხვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მაგალითად, როგორ უნდა წარიმართოს კლასგარეშე კითხვა, კლასგარეშე კითხვის დროს რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება სასკოლო სასწავლო გეგმებში. მართალია, რამდენიმე სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებიც და დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო გაკვეთილებიც, მაგრამ, ცხადია, რომ ეს ყოველივე არ არის საკმარისი. ცალკე განხილვის საგანია ისიც სასკოლო

სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სარეკომენდაციო სიები არის თუ არა შედგენილი ყველა იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომელზეც წინა პარაგრაფში იყო საუბარი.

### **§3.1.4. მასწავლებლის პროფესიული და დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტი**

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი („მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბერის №1014 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 39/ნ, 2014) განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს. სტანდარტში წარმოდგენილი მოთხოვნები საერთოა ყველა მასწავლებლისათვის. სტანდარტი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საფუძველი. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნული ნორმატიული აქტის განხილვა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით.

კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით, სტანდარტი ადგენს მასწავლებლის ოთხ საკვალიფიკაციო კატეგორიას, სწორედ ამ კატეგორიების მიხედვით არის გამოყოფილი პროფესიული მახასიათებლები. საინტერესოა, სწავლებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული პუნქტები, სადაც საუბარია კლასგარეშე საქმიანობაზე, მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობასა და სასწავლო რესურსების შერჩევაზე.

პრაქტიკოს მასწავლებელს ევალება მხოლოდ ის, რომ იცოდეს საგანი და მისი სწავლების მეთოდოლოგია, აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის. მისი ვალია კლასგარეშე საქმიანობა დაგეგმოს სასკოლო გეგმის შესაბამისად (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი 4, მუხლი 6, პუნქტი 4) და, რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესში რთავდეს მშობლებსაც (თავი 4, მუხლი 6, პუნქტი 6). შესაბამისად, ცხადია, სასკოლო სასწავლო გეგმით, პირველ რიგში უნდა

იყოს გაწერილი კლასგარეშე საქმიანობა, თუმცა წინა პარაგრაფში წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არ არის.

წარჩინებული მასწავლებელი კი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გეგმავს კლასგარეშე აქტივობებს (მუხლი, 13, პუნქტი 4). მკვლევარი მასწავლებლის ფუნქციაა **იკვლიოს** კლასგარეშე საქმიანობის გავლენა მოსწავლეთა მოტივაციასა და მრავალმხრივ განვითარებაზე, გაითვალისწინოს კვლევის შედეგები საქმიანობის დაგეგმვის დროს და მიღებულ გამოცდილება გაუზიაროს კოლეგებს (მუხლი 13<sup>6</sup>, პუნქტი 4). გარდა ამისა, მკვლევარმა მასწავლებელმა კოლეგებთან ერთად უნდა იკვლიოს რესურსების ეფექტიანობა, სრულყოფის არსებული ან შექმნას ახალი (მუხლი 13<sup>7</sup>, პუნქტი 5). ამრიგად, მასწავლებლის ფუნქციაა **არა მხოლოდ კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვა, არამედ კატეგორიის შესაბამისად, ლიტერატურის შერჩევა, კლასგარეშე საქმიანობის მონიტორინგი-კვლევა და ა.შ.** განსაკუთრებით კი მენტორი მასწავლებელი არის კლასგარეშე საქმიანობის **ინიციატორი და დახმარებას უწევს** კოლეგებს, რომ აღნიშნული საქმიანობა სათანადოდ განხორციელდეს (მუხლი 13<sup>12</sup>, პუნქტი 3), ასევე, **შეიმუშავეს რეკომენდაციებს სასწავლო რესურსების მიზანმიმართული გამოყენებისთვის.**

სამწუხაროდ, კლასგარეშე კითხვის მიმართულებით თითქმის ბევრი არაფრის მთქმელია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-VI კლასი). სტანდარტში მოცემულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვის მიმართულებით რა პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა უნდა ჰქონდეს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ არის ნახსენები კლასგარეშე კითხვის სწავლების ასპექტები. მართალია, მასწავლებელს ევალება კითხვის სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნა, მაგრამ ისევ არაფერია ნათქვამი კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით ირკვევა, რომ კლასგარეშე საქმიანობის წარმართვა მასწავლებლის ფუნქციაა. იმისთვის, რომ მასწავლებელმა სწორად უხელმძღვანელოს კლასგარეშე კითხვის პროცესს, მას

აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათანადო საგნობრივი და პროფესიული მომზადება. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ლიტერატურის სწორად შერჩევა, კლასგარეშე კითხვის გაკვეთილების ორგანიზება, შესაბამისი მეთოდების შერჩევა და ა.შ. საინტერესოა, როდესაც დღეს მასწავლებელს სრულად ეკისრება პასუხისმგებლობა უხელმძღვანელოს ესოდენ რთულ საქმიანობას, რამდენად არის გარანტია იმისა, რომ მასწავლებელი დამოუკიდებლად შეძლებს კლასგარეშე კითხვის პროცესის ეფექტიანად წარმართვას იმ პირობებში, თუ ის არ გადამზადდება კლასგარეშე კითხვის მიმართულების ტრენინგ-კურსებით, ან საბაკალავრო, სამაგისტრო, სასერტიფიკატო თუ ე.წ. minor პროგრამები არ უზრუნველყოფს მათს შესაბამის მომზადებას, არ შეიქმნება შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოები კლასგარეშე კითხვის მიმართულებით, არ გამოიყენება სამინისტროს მიერ გრიფირებული კლასგარეშე კითხვის სახელმძღვანელოები, არ შედგება სათანადო სასკოლო სასწავლო გეგმები და ა.შ.

### **§3.2 კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სახელმძღვანელოები და სარეკომენდაციო სიები**

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სახელმძღვანელოები კლასგარეშე კითხვის რეგულაციის ერთ-ერთი მექანიზმია. მოცემულ ქვეთავში დიაქრონულ ჭრილშია აღწერილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნის ისტორია.

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის წიგნებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს **დედაენა** – საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ (შემდგენელი გოგებაშვილი 1907 წელი). ეს წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისგან: მოთხრობები და ლექსები წმინდა ზნეობაზე, სამოსწავლო ნივთები; შინაური ცხოველები, შინაური ფრინველები, გარეული ფრინველები, გარეული ცხოველები, მცენარეულობა, სხვადასხვა მოვლენა, საქართველო, ამერ-იმიერ საქართველო, თავდადებული გმირები. გამოყოფილია სასულიერო-ზნეობრივი განყოფილებაც.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, „**გუთან**“ – ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი (შემდგენელი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ.

მთავრიშვილის და ს. ყიფიანის-მიერ, ქუთაისი, 1908). გუთანს ერთვის წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ავტორების მიზანი იყო, ქართველთა ოჯახისა და სკოლისთვის ისეთი სახელმძღვანელო მიეწოდებინათ, რომ მას შესძლებოდა:

1. განევითარებინა მოზარდთა გონება ცხოვრებისა და ბუნების გაცნობით;
2. აღედრა და განემტკიცებინა მათ გულსა და გონებაში უძვირფასესი კაცობრიული გრძნობები: სიყვარული, ძმობა, სიბრალული, თანაგრძნობა ცხოვრებისგან დაჩაგრულთა და უბედურებისა და ტანჯვაში ჩავარდნილებისადმი;
3. მიეცა მათვის იმ მოვალეობის შეგნება, რომ გულწრფელად ემსახურონ თავის სამშობლოს, მთელ კაცობრიობას;
4. შთაენერგა მათში პატივისცემა და სიყვარული პატიოსანი შრომასა და მშრომელებისთვის;
5. მოემზადებინა გონება სწორი და მტკიცე ლოგიკური აზროვნებისათვის.

ამ მიზნის მიხედვით წიგნის მასალად შერჩეული იქნა მოთხრობები, არაკები და ლექსები, რომლებშიც გამოხატულია ადამიანთა ურთიერთობა ოჯახში, კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. წიგნი ოთხ განყოფილებად არის განაწილებული: პირველი „კაცთა შორის“, მეორე „ცხოველთა შორის“, მესამე „მცენარეთა შორის და მეოთხე „ოთხი სტიქიონი“. „გუთანში“ გვხვდება სტატიებიც, რომელთა დამუშავება და რეფლექსია უნდა მოხდეს მასწავლებლის დახმარებით.

„გუთანი“ განკუთვნილია მესამე და მეოთხე სასწავლო წლებისთვის (ავტორებს დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ სახელმძღვანელო ჩვენი ქვეყნის სამაგალითო მწერლების ნაწარმოებებით აევსოთ, მაგრამ ვერ გაუჭირდა, რადგანაც მათივე თქმით, წიგნის პროგრამის შესაფერი ყველა საჭირო მასალა ჩვენს სამშობლო ლიტერატურაში ვერ იპოვეს (ოცხელი, 1908).

XX საუკუნის 70–80–იანი წლებიდან უფრო მეტი ინტენსივობით ცალკე წიგნებად იბეჭდება კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებულები, რომლებიც განათლების მეცნიერების სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული და სავალდებულოა, რომ მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ამ კრებულებითაც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს წიგნი „კლასგარეშე კითხვა“ (ლიტერატურა

*სარეკომენდაციო სია მე-5-8 კლ სასწავლო საგნების მიხედვით*), 1970 წელი. ეს სახელმძღვანელო შედგენილია იმისთვის, რომ დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს და ბიბლიოთეკარებს ბავშვთა კლასგარეშე გეგმაზომიერი კითხვის საქმეში. სარეკომენდაციო სიაში ლიტერატურის განლაგება ემთხვევა სასწავლო პროგრამაში საკითხების განლაგებას. შემდგენელი აღნიშნავს, რომ სარეკომენდაციო სიების ასეთი სახით გამოცემა პირველი ცდაა და არ იქნება დაზღვეული ცალკეული შეცდომებისგან, თუმცა ამ წიგნის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომელის გამგრძელებელია ვ. რამიშვილი. მან გამოსცა 1-6 კლასების კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებულები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სია, *განსხვავებით 1970 წელს გამოცემული კლასგარეშე კითხვის წიგნისა*, ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა 80-იანი წლებიდან დაწყებითი კლასების პროგრამებში უკვე იყო წარმოდგენილი და საჭირო იყო დამატებითი საკითხავი ლიტერატურის სიის შედგენა. ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი კრებულები საინტერესოდ არის აგებული: ტექსტებს დართული აქვს სიტყვების განმარტებები, საკვანძო კითხვები (შინაარსიდან გამომდინარე დასმული და ასაკის შესაფერისია, ცოდნის დონისა); მაგალითად, თაღგამი – კითხვებია: როგორი თაღგამი გაიზარდა? რა ქნა პაპამ? პაპას ვინ მოეჭიდა? ბებოს? გოგონა რას მოეჭიდა? მურას? კატას? ამოიღეს თუ არა თაღგამი.

2000 წლიდან მოიძიება ისეთი სახელმძღვანელოებიც, რომლებიც განათლების სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული. მაგალითად, ბელა სარიას მიერ შედგენილი „კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა“. ასევე, ნათელა მაღლაკელიძისა და ნინო გვარამაძის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო: „შეიცან თავი შენი“.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ისეთი კლასგარეშე საკითხავი სახელმძღვანელოების მოძიებაც, რომლებიც არ არის სამინისტროს მიერ დამტკიცებული. მაგალითად: 1. *გულერი ჩხეიძე*, „აი ია“, თბ., საქ. მაცნე, 2003; 2. *სულაკაური ბაკურ*, *დედაენა: დამატებითი საკითხავი მასალა თემების მიხედვით* თბ.: *ბაკურ სულაკაურის გამ-ბა*, 2006. ამავე გამომცემლობის მიერ შემოთავაზებულია სერია "მოსწავლის ბიბლიოთეკა", რომელიც 50-ზე მეტ წიგნს აერთიანებს და

განკუთვნილია იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც უკვე იციან კითხვა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ასაკის ბავშვებს წიგნის შინაარსის, თემატიკისა და სიდიდის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ, "მოსწავლის ბიბლიოთეკა" სამ ასაკობრივ კატეგორიად აქვთ წარმოდგენილი:

- 7-8 წელი - წიგნები მარტივი შინაარსითა და ლექსიკით
- 9-10 წელი - წიგნები მარტივი შინაარსით და უფრო რთული ლექსიკით
- 11-12 წელი - რთული ფაბულის მქონე სქელტანიანი წიგნები

ასევე, აღსანიშნავია, რომ სხვა გამომცემლობებსაც (პალიტრა-L, ელფი, ლიგამუსი და ა.შ.) აქვთ საბავშვო საკითხავი ლიტერატურა ასაკის მიხედვით შედგენილი.

აღსანიშნავია **G-PriEd**, რომელიც შეიქმნა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად 2012 წელს. **G-PriEd-ის** საკითხავი წიგნები კითხვისა და წერის სწავლების რესურსებია. განსაზღვრული და მითითებულია თითოეული წიგნის სირთულის დონე, წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრი. აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო წინა თავშიც.

რეფორმატორულ ტალღას აყოლილი პედაგოგები ყოველგვარი ცენზის გარეშე თავადაც იღებდნენ და ავალდებულებდნენ მოსწავლეებს ამ ტიპის სახელმძღვანელოების შეძენას. ამჯერად ჩვენი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ამ სახელმძღვანელოების შინაარსობრივი ნაწილის დეტალური ანალიზი, რაც ვფიქრობთ, ასევე დიდ ყურადღებას საჭიროებს და განსაკუთრებული კვლევის ობიექტად უნდა იქცეს პროფესიული საზოგადოების მიერ შემდგომი სამეცნიერო მუშაობისას.

აქვე ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ 2011 წლის სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან ნათელა მაღლაკელიძის თანაავტორობით შედგენილ I-IV დაწყებითი კლასების სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ კომპლექტს: მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის აქტივობების რვეული, თემატური გაკვეთილების კრებული „წიგნის სამყარო“. დაწყებითი კლასების 2011 წლის გრიფირებულ წიგნებს შორის, ნათელა მაღლაკელიძის ავტორობით გამოცემული წიგნი ერთადერთია, რომელსაც ახლავს სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი

ლიტერატურის წიგნი და სამწუხაროდ, ეს ტენდენცია არ გრძელდება 2018 წლის მისივე ავტორობით გამოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. აღსანიშნავია, რომ კრებულში „წიგნის სამყარო“ მხოლოდ I-IV კლასებში კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას შეიცავს. კრებული მოიცავს თანამედროვე და კლასიკური ქართული საყმაწვილო მწერლობის ნიმუშებს. ავტორების თქმით, იგი ავსებს და ამთლიანებს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლეები იძენენ საკლასო კითხვის გაკვეთილზე. მასალა შერჩეულია მოსწავლის ასაკისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. რაც მთავარია, საკითხავი ლიტერატურის ნიმუშები დალაგებულია თემატურ-ჟანრობრივი პრინციპების მიხედვით. თითოეულ ტექსტს ახლავს მეთოდოლოგიური აპარატი, რომლის მიზანია გააღვივოს ამ ასაკის მოსწავლეებში კითხვის ინტერესი, მიაჩვიოს ისინი წიგნზე მუშაობას, გამოუმუშაოს მათ წაკითხულის გააზრებისა და დასკვნის დამოუკიდებლად გამოტანის უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს ესთეტიკური გემოვნება, განუვითაროს კრიტიკული აზროვნება. მაგალითად, მე-3 კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოში თემაზე „... და ჰა, მოდგა ზაფხული!“ ძირითად საკითხავად შეტანილია შემდეგი ნაწარმოებები: მაისი (კ. ნადირაძე); მზე და სარკე (შემოკლებით, მ. ბოლქვაძე); წვიმასა და მზეში (ნაწყვეტი, რ. ინანიშვილი); ზაფხული (მ. ლებანიძე); ხოლო „წიგნის სამყაროში“ ამავე თემაზე დამატებით საკითხავად წარმოდგენილია: მწვანე სოფელში (შემოკლებით, ო. იოსელიანი); გაბუტული მზესუმზირები (შემოკლებით, მ. თომაძე); მაცვალი (რ. ინანიშვილი); სულ ფეხდაფეხ შემოვივლი (ა. აბულაშვილი);

ასევე, თემაზე – „ჩვენი დედაისტორია“: საპროგრამო მასალაა – სამასი თავდადებული გლეხი (ი. გოგებაშვილი); ნადირ-შაჰის ხმალი (ლ. ჭიჭინაძე); ცხრა ძმა ხერხეულიძე (ი. გოგებაშვილის მიხედვით); თამარ მეფე (ი. გოგებაშვილის მიხედვით); რუქნადინის დამარცხება; კლასგარეშე საკითხავი კი – ერეკლე მეფე და ინგილო ქალი; დავით აღმაშენებელი (ი. გოგებაშვილის მიხედვით); თამარი (ლ. სანიკიძის მიხედვით); მუმლი მუხასაო (ხალხური);

სამწუხაროდ, დღესდღეობით არ არსებობს გრიფირებული კლასგარეშე საკითხავი წიგნი და პროფესიულ საზოგადოებაში არ მიმდინარეობს მსჯელობა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის მეთოდოლოგიურ დამუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაზე. ის, თუ როგორი უნდა იყოს კლასგარეშე საკითხავი წიგნი, ამის

შესახებ თეორიულ ნააზრევს საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როდესაც წინა პლანზე წამოიწია ზოგადად კლასგარეშე კითხვის პროცესის აუცილებლობამ (დაახლოებით 1910 წლიდან). მეთოდისტები ამბობდნენ, რომ საჭირო იყო ამ ხაზით მუშაობის აქტიური გაგრძელება, მაგრამ XX საუკუნის 90–იანი წლებიდან დაიწყო სრული რეგრესი და ახალი კი არ შეემატა რამე, არსებული მიღწევებიც დავიწყებას მიეცა.

კლასგარეშე კითხვა ნაყოფიერი რომ იყოს, შემდეგ წიგნი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ა) შინაარსი შესაბამისობაში იყოს მოსწავლეთა ცოდნასა და შესაძლებლობებთან;
- ბ) გამართლებული იყოს იდეოლოგიურად;
- გ) დაწერილი იყოს სწორი მხატვრული ენით;
- დ) გამოიწვიოს ინტერესი თავისი მრავალფეროვანი თემატიკით;
- ე) იყოს კარგად ილუსტრირებული;
- ზ) კლასგარეშე საკითხავ წიგნებში მოცემული იყოს უცხო ტერმინების ახსნა/განმარტება (გაბედავა, 1940);

კლასგარეშე საკითხავმა მხატვრულმა ლიტერატურამ მოსწავლეებს უნდა დაანახოს მრავალსახოვანი ცხოვრების ყველა მხარე, მასში ფართოდ იყოს წარმოდგენილი ფოლკლორის მასალები და ბიოგრაფიები. ბიოგრაფიაში უნდა შედიოდეს დოკუმენტები, მიმოწერები, სტატიები, რომელებიც მკითხველს გააცნობს ავტორთა ცხოვრება-მოღვაწეობის მთავარ მომენტებს, მათ მიზანსა და შეხედულებებს. ასევე, კლასგარეშე საკითხავი მასალის სწორად გაგებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დიდ როლი ენიჭება კრიტიკულ წერილებს.

კრიტიკულ–ბიბლიოგრაფიული წერილები კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მკითხველი კვლევისა და ანალიზის დროს არ ასცდეს სწორ აზრს.

რაც შეეხება სარეკომენდაციო სიებს, ისინი ორი სახის არის: 1. კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სია, რომელიც თან ერთვის პროგრამას (*მსგავსი ტიპის სარეკომენდაციო სიების შესახებ დეტალურად არის განხილული წინა პარაგრაფში*) და 2. კლასგარეშე ნებაყოფლობითი საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია (კაკაბაძე, 1966).

კლასგარეშე *სავალდებულო საკითხავი* ლიტერატურის სიის არსებობას ათეული წლების ისტორია აქვს. პირველად იგი გვხვდება ქ. თბილისისა და ქუთაისის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში (შემდგენელი ლ. ბოცვაძე), რომელსაც ეწოდებოდა „კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია“. ამ პროგრამებში კლასგარეშე კითხვის ევოლუციის საინტერესო სურათია ასახული. როგორც უკვე აღინიშნა, 1915 წლიდან ასეთი სიები თან ერთვის თითქმის ყოველი წლის ქართული ლიტერატურის პროგრამას.

*კლასგარეშე ნებაყოფლობით საკითხავი* ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს ადგენენ სკოლის მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, პედაგოგ–მეთოდისტები. მაგალითად, აღსანიშნია ბერულავას მიერ შედგენილი „*სკოლისგარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სია*“, რომელიც 1938 წელს გამოვიდა და ანა ღვინიაშვილის მიერ შედგენილი „*კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული კატალოგი*“ გამოცემული 1941 წელს. ბერულავას მიერ შედგენილი სარეკომენდაციო სია წარმოადგენს კლასგარეშე საკითხავი წიგნების აღრიცხვის პირველ ცდას, მასში მასალები დალაგებულია სამ განყოფილებად: 1. დაწყებითი სკოლის ასაკი; 2. არასრული საშუალო სკოლის ასაკი; 3. სრული საშუალო სკოლის ასაკი; სიებში არ არის გათვალისწინებული კონკრეტულად ესა თუ ის კლასი, რითაც ირღვევა კლასგარეშე კითხვის პროგრამის მოთხოვნა: განსხვავებულ კლასებისადმი განსხვავებული მიდგომა.

ა. ღვინიაშვილის მიერ შედგენილ სარეკომენდაციო სიაში საკითხავი მასალა ანოტირებულია, დაჯგუფებული თემატურად და დალაგებულია კლასების მიხედვით. მაგ., V კლასის საკითხავი მასალა ორ განყოფილებადაა წარმოდგენილი:

1. მხატვრული ლიტერატურა: ა) ქართველი კლასიკოსები; ბ) უახლესი და თანამედროვე მწერლები; გ) რუსეთის კლასიკოსები, უახლოესი და თანამედროვე მწერლები; დ) უცხოეთის მწერლები;
2. მეცნიერულ–ტექნიკური ლიტერატურა და ბიოგრაფიები (კაკაბაძე, 1966).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახის სარეკომენდაციო სიის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მათში შეტანილი ნაწარმოებები დაჯგუფებულია *თემატურად*. არის ნაწარმოებები საბჭოთა სამშობლოზე, ბავშვების ცხოვრებაზე სკოლას და შინ, საბჭოთა ადამიანის შრომაზე, ხალხთა ბრძოლის შესახებ მშვიდობისა და

თავისუფლებისთვის, ისტორიულ წარსულზე. გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიებზე, რაინდების გმირების, საინტერესო ბრძოლებზე – მათ თავგადასავალსა და მოგზაურობაზე, ჩვენი სამშობლოს ბუნებაზე, საკოლმეურნეო სოფლის მცხოვრებთა შრომაზე, ადმიანის შრომის შედეგებზე, სამამულო ომის თემაზე და სხვა.

ელისო კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ ღვინიაშვილისა და ბერულავას მიერ შედგენილი სიების გამოყენება სკოლებში იმჟამად არ ხდებდა ძირითადად იმის გამო, რომ ისინი მოძველდნენ და ვერ აკმაყოფილებენ სკოლის ახალ მოთხოვნებს. ის სიები კი, რომლებიც მასწავლებლების მიერაა შედგენილი, მოითხოვენ საფუძვლიან გადამუშავებას. პრობლემის უზრუნველსაყოფად ელისო კაკაბაძემ გააგრძელა ტრადიცია და მან 1965 წელს შეადგინა სარეკომენდაციო სია: „*რა წავაკითხოთ ბავშვებს*”, თბ., ნაკადული, 1965 წელი. როგორც თავად აღნიშნავს, სიის შედგენისას გაითვალისწინა მოსწავლეთა ასაკი, ინტერესები. ეს სარეკომენდაციო სია რამდენიმე განყოფილებისგან შედგება. მაგალითად, გამოყოფილია „ხალხური სიტყვიერება“, „ქართველი კლასიკოსები“, „რევოლუციამდელი ლიტერატურა“ და ა. შ. როგორც ჩანს, ლიტერატურა, თემატურადაც არის დაჯგუფებული და დაწყებით კლასში კლასგარეშე საკითხავი სარეკომენდაციო სიების სახით წარმოდგენილია ისეთ მხატვრულ ნაწარმოები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდას, შრომის სიდიადეს, გამოიმუშავებდა ინტერნაციონალურ გრძნობებს... შესაბამისად, აღნიშნული სარეკომენდაციო სია ისევ საფუძვლიან გადამუშავებას მოითხოვს, რადგან ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებსა და საკამოდ მოძველებულია. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის გარეშე საკითხავი ლიტერატურის სია ყოველწლიურად უნდა მუშავდებოდეს, ან გადამუშავდებოდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სარეკომენდაციო სიებს მხოლოდ მეთოდისტები არ ქმნიდნენ. მაგალითად, მასწავლებლის მიერ შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიაა „*ახალი წყარო*”, შედგენილი გრ. გორგაძე, 1925 წელი. ამ წიგნში დაცულია აჭარის სოფლის სინამდვილე; მასალა დალაგებულია სკოლის მუშაობის თანამიმდევრობის მიხედვით და თემატურად. მხოლოდ მხატვრული ლიტერატურით არ შემოიფარგლება, შეტანილი აქვს მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა. კონკრეტულად კლასი არ არის

მითითებული, მაგრამ ზოგადად დაწყებითი კლასებისთვის ჩანს განკუთვნილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებისთვის რთული იყო ასაკის მიხედვით საკითხავი ლიტერატურის დიფერენცირება. შესაბამისად, ამის ლოგიკური გაგრძელება და პრობლემის მოგვარების გზა აღმოჩნდა ის, რომ ქართული ლიტერატურის პროგრამებში წარმოდგენილი იქნა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია იმ პერიოდისთვის მოქმედი პრინციპების დაცვით. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ხაზი არ გაგრძელდა XX საუკუნის 90–იან წლების შემდეგ. აღარც სარეკომენდაციო სიები იქმნება სათანადო დოზითა და შესაბამისი პრინციპების დაცვით, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ხვედრითი წილიც ნაკლებია და აღარც ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით თუ სხვა საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება კლასგარეშე კითხვის პროცესი.

### **§3.3 დაწყებითი კლასების ქართულის სასკოლო სახელმძღვანელოები**

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ 70–იან წლებში, როდესაც აკაკი ბაქრაძე გამომცემლობა „განათლების“ მთავარი რედაქტორი იყო, გამომცემლობის დირექტორმა ხუტა ბერულავამ სთხოვა, შეედგინა სკოლებისთვის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო პროექტი. აკაკი ბაქრაძემ შეიმუშავა პროექტი, მაგრამ არც იმ პერიოდში და არც შემდგომ (როდესაც 1996 წელს გადახალისდა პროექტი), არავინ დაინტერესებულა ამ პროექტით. პროექტში ყველა კლასის სახელმძღვანელოსთვის აკაკი ბაქრაძემ გამოყო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ჩამონათვალი. ეს სია არ არის სრული და არც უკეთ გააზრებას ემსახურება ნაწარმოებისა, მაგრამ თავად ფაქტია აღსანიშნავი, რომ მას აუცილებლად მიაჩნდა სახელმძღვანელოებში კლასგარეშე ლიტერატურის შეტანა.

XX საუკუნის 80–90–იანი წლების მეორე ნახევრიდან გვხვდება სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებშიც შეტანილია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. მაგალითად, 1988 წელს ს. ხუციშვილის, ე. ქურციკიძის მიერ შედგენილ „მშობლიური ლიტერატურაში“ საკითხავი ლიტერატურის სია რაოდენობრივად საკმაოდ მცირეა, მაგრამ ნაწარმოებები ძირითადად თემატურად არის შერჩეული. ასევე, მცირე რაოდენობით, მაგრამ დამატებით საკითხავად წარმოდგენილია

საზღვარგარეთის ლიტერატურა. მსგავსი ვითარებაა ლ. ვაშაკიძის, ს. ხუციშვილის მიერ შედგენილ მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებში.

2000 წლიდან რაიმე არსებითი ცვლილება არ აღინიშნება, გრძელდება 90-იანი წლების ხაზი. მაგალითად, ვ. როდონაიას მიერ შედგენილ მშობლიური ლიტერატურის მე-6 კლასის სახელმძღვანელოში დანართის სახით წარმოდგენილია კლასგარეშე საკითხავი. ეს საკითხავი თემატურია და უმთავრესად ავტორის უკეთ შეცნობას ემსახურება. მაგალითად, ძირითად ნაწილში ისწავლება ხალხური ზეპირსიტყვიერება – „მიწა თავისას მოითხოვს“, „ჯარჯი“, „შირაქის გზაზე“ და დამატებითში გვხვდება: „ორი ძმა“, „ჰოი სიხარულო თამარ დედოფალო“, „ლექსო ამოგთქომ“. მწერლების უკეთ გააზრებისთვის: საპროგრამო ნაწარმოებია ი. გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, დამატებით საკითხავად კი - მისივე „ჭემმარიტი მოძღვარი“.

ამდენად, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, რომელიც მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებში იყო შეტანილი, უფრო მეტად წარმოადგენდა სავალდებულო კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას. ასევე, რჩება შთაბეჭდილება, რომ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანა ერთგვარი ინერცია იყო იმ მასშტაბური საქმის გაგრძელებისა, რაც კლასგარეშე კითხვის მიმართულებით 90-იანი წლებამდე კეთდებოდა. ლოგიკური არის ისიც, რომ ეს ინერცია დიდხანს არ გასტანდა და ამან ასახვა პოვა დღეს მოქმედ სასკოლო წიგნებში. 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, არახალია, რომ სტიქიური ხასიათი ჰქონდა ნებისმერ სფეროში ნებისმიერი პროდუქტის შექმნას, მათ შორის გამონაკლისი არც ეს შემთხვევა არის. შესაბამისად, გამოცემულ წიგნებსა თუ ბროშურებში გაწერილი შინაარსის არავითარი კონტროლის მექანიზმი არ არსებობდა. სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში, შედარებით მოწესრიგებულ სოციალურ გარემოში, სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში შეინიშნება იგივე ტენდენცია. კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნა მეტწილად განსაზღვრული იყო კერძო მერკანტილური ფინანსური დაინტერესებით, ვიდრე მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებით.

დაწყებით საფეხურზე 2011 წლის გრიფირებული ქართულის სახელმძღვანელოების სამი გამოცემა არსებობდა. კერძოდ, ესენია:

- 1) ქართული ენა და ლიტერატურა (თანაავტორები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი, თინათინ კუხიანიძე);
- 2) ქართული ენა და ლიტერატურა (თანაავტორები: ვახტანგ როდონაია, მარიამ მირიანაშვილი და სხვ);
- 3) ქართული ენა და ლიტერატურა (თანაავტორები: ნ. მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი);

2018 წელს გრიფი მიენიჭა დაწყებით საფეხურის ახალ ქართულის სახელმძღვანელოების შემდეგ გამოცემებს:

- 1) შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" - დედა ენის კვალზე I კლასი (ავტორები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი); ქართული, I კლასი (ავტორები: ბაკურ სულაკაური, თინათინ კუხიანიძე, მარინე ბედოშვილი) ქართული - II, III, IV კლასები (ავტორები: ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე); ქართული ენა და ლიტერატურა - V, VI კლასები (ავტორები: ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე, თეა ქიტოშვილი, გვანცა ჩხენკელი);
- 2) შპს "გამომცემლობა დიოგენე" - მშობლიური ენა, I კლასი (ავტორები :დოდო ნაზირიშვილი, ნესტან კუპრავა, მზია ფოფხაძე, მაია ხაზიური)
- 3) შპს "აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი" - ქართული ენა და ლიტერატურა, I, II, III, IV კლასები კლასი (ავტორები: ლანა ჭელიძე, ნინო ხაჭვანი, ნანა სახეჩიძე, ანა არველაძე)
- 4) შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე" - ქართული ენა, I, II, III, IV კლასები (ავტორები: ვახტანგ როდონაია, ლალი ვაშაკიძე, მარიამ მირიანაშვილი, ქეთევან თოფაძე)
- 5) შპს "გამომცემლობა მერიდიანი" - ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, I კლასი (ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე, სოფიკო მეხაშიშვილი, ირინა ნადირაშვილი); ქართული ენა და ლიტერატურა, II, III, IV კლასები (ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე, ირინა ნადირაშვილი, სოფიკო მეხაშიშვილი)

6) შპს "გამომცემლობა ტრიასი" - ქართული ენა II, III, IV კლასები (ავტორები: ირინე იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე)

7) შპს "საგამომცემლო სახლი სწავლანი" - ქართული ენა და ლიტერატურა V, VI კლასები (ავტორები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ენგურ ქურციკიძე)

საინტერესოა, 2011 და 2018 წლების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების განხილვა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით. კერძოდ, არის თუ არა ინსტრუქცია, დავალებები, რჩევები კლასგარეშე კითხვასა და საკითხავ ლიტერატურაზე.

2011 წლის ნინო გორდელაძის თანაავტორობით გამოცემული ქართული ენისა და ლიტერატურის პირველ კლასის მოსწავლის წიგნში დამატებითი საკითხავი მასალა ცალკე თავად არის გამოყოფილი, თუმცა საკმაოდ მწირია. მოსწავლეს ევალება წაიკითხოს: 1. რწყილი და ჭიანჭველა; 2. დავით აღმაშენებელი. ანალოგიური მდგომარეობაა მე-2 კლასის მოსწავლის წიგნში. დამატებითი საკითხავი მასალაა: 1. ზაზა აბზიანიძის ლექსები; 2. ბებოს ლხინი (მ. წიკლაური); 3. კომბლე (ხალხური); 4. რიხი-რიხის ხელმწიფე (ხალხური); ორივე შემთხვევაში მოცემული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა არის არა სავალდებულო, არამედ დამატებითი საკითხავი, ამ მასალის გამოყენება შესაძლებელია როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის არდადეგებზე. დანარჩენ კლასებში ამ ტიპის დავალებები სახელმძღვანელოებში აღარ არის. ერთადერთი მე-4 კლასის წიგნის დანართში წარმოდგენილია მითითება, რა უნდა წაიკითხოს მოსწავლემ ზაფხულის არდადეგებზე: 1. არჩილ სულაკაური „ჯადოსნური კაბა“; 2. თვარაძე ზაზა „მონტებულსე ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“; 3. ასტრიდ ლინდგრენი „მიო, ჩემო მიო“; 4. ანა-კატერინე ვესტლი „დედა, მამა რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“;

ნინო გორდელაძის თანაავტორობით გამოცემულ 2011 წლის მე-4 კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოში არის სხვადასხვა ტიპის რუბრიკა:

1) „წიგნი წაიკითხე“ – მაგალითად ამ რუბრიკაში მოცემულია შემდეგი სახის დავალება მოსწავლეთათვის, რომ სკოლის ან ოჯახის ბიბლიოთეკაში მოიძიოს

ლექსების კრებული, რომელშიც შეტანილი იქნება ერთი ლექსი მაინც წელიწადის რომელიმე დროზე.

2) „მოიპოვე ინფორმაცია“ – ამ შემთხვევაში შეიძლება დაავალოს ენციკლოპედიიდან დედამიწის უპველესი ბინადრების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

აღნიშნული ტიპის რუბრიკები, რომლებიც კლასგარეშე კითხვას უკავშირდება, ძალიან იშვიათია, ხოლო მე-3-სა და მე-6 კლასებში კი საერთოდ არ იძებნება.

რაც შეეხება წინო გორდელაძის თანაავტორობით გამოცემულ ქართული ენისა და ლიტერატურის *მასწავლებლის წიგნს*, მას ყველა კლასში მოჰყვება აუდიოდისკი, რომელშიც ჩაწერილია ტექსტები მოსასმენად. მოსმენასა და ამ ტექსტების ანალიზს ცალკე გაკვეთილი ეთმობა. ეს ტექსტები ხშირ შემთხვევაში არის თემატურად შერჩეული, მაგრამ ამ აქტივობის მიზანია ზეპირმეტყველების, მოსმენის უნარების განვითარება. მაგალითად, ქვემოთ წარმოდგენილია მესამე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის წიგნისთვის დართული მოსასმენი ტექსტების სია, რომელიც თემატურად არის განლაგებული:

- პირველი თავი: წიგნი – დედალოსი და იკაროსი ( ბერძნული მითის მიხედვით);
- მეორე თავი: ცხოველები წიგნებში – როგორ გაჩნდა ღვინო;
- მესამე თავი: ძალა ერთობაში – ნადირთა ძმობა;
- მეოთხე თავი: საკვირველი ამბები – დავითი და გოლიათი;
- მეხუთე თავი: ჩვენ და ბუნება – ნოეს კიდობანი;
- მეექვსე თავი: სამშობლო – სამარ თავდადებული გლეხი;
- მეშვიდე თავი: კარგი და ცუდი – ძუნწი და ოქრო, კაცი და დათვი;
- მერვე თავი: სახალისო ამბები – მოლას კუდი მოწმედ;
- მეცხრე თავი: საქმე – ვინც სამე გააკეთა, პურიც იმან ჭამოს ( ხალხური ზღაპარი);
- მეათე თავი: ადამიანი იგონებს და ქმნის – ფანქარი ( იაკობ გოგებაშვილი);
- მეთერთმეტე თავი: ოჯახი – ვანო ( რევაზ ინანიშვილი);
- მეთორმეტე თავი: ერთი კაცის თავგადასავალი – ხუთკუნჭულა;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნინო გორდელაძის თანაავტორობით გამოცემულ დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის 2011 წლის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში გვხვდება დავალებები კლასგარეშე კითხვაზე, თუმცა მწირი ოდენობით.

შეიძლება ითქვას, რომ კლასგარეშე კითხვის მიმართულებით ვითარება მცირედით შეცვლილია ნინო გორდელაძის თანაავტორობით 2018 წელს გამოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებშიც.

ამჯერად „წაიკითხე წიგნი“ რუბრიკა მხოლოდ მეოთხე კლასშია წარმოდგენილი. მაგალითად, მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში 2-ჯერ არის წარმოდგენილი „წაიკითხე წიგნი (დავალება)“ რუბრიკა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს დავალებად აქვთ კლასში ნასწავლი ნაწარმოების „გაიცანით ბიძია სევა“ ნაწყვეტის სრულად წაკითხვა ზაფხულის არდადეგებზე. ამავე კლასის სახელმძღვანელოში ბოლოს წარმოდგენილია იგივე რუბრიკა და მოსწავლეებს ისევ ზაფხულის არდადეგებზე ევალებათ წაიკითხონ შემდეგი წიგნები:

- არჩილ სულაკაური „ჯადოსნური კაბა“;
- ასტრიდ ლინდგრენი „მიო, ჩემო მიო“;
- ანა-კატერინე ვესტლი „დედა, მამა რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“;

2011 წლის მე-4 კლასის გრიფირებულ სახელმძღვანელოშიც იგივე დავალებაა იმ განსხვავებით, რომ 2018 წლის სახელმძღვანელოს „წაიკითხე წიგნის“ დავალებიდან ამოღებულია ზაზა თვარაძის „მონტებულსე ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“;

რუბრიკის „წაიკითხე წიგნი“ გარდა, იშვითად რუბრიკებში „დავალება“, „მოიპოვე ინფორმაცია“, „იმსჯელე“ წარმოდგენილია ისეთი ტიპის დავალებები, როგორცაა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნაწარმოების ნაწყვეტის სრული ტექსტის წაკითხვა (მაგალითად, „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ - მე-4 კლასი) ან მოსწავლის მიერ ამა თუ იმ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის (სასურველი წიგნიდან, ენციკლოპედიიდან) მოძიება ბიბლიოთეკაში (მაგალითად, მოსწავლეებმა სკოლის ბიბლიოთეკაში უნდა შეარჩიონ ლექსების კრებული და მოიძიონ ლექსი, რომელშიც პოეტი წელიწადის რომელიმე დროს აღწერს. მაგალითად, ანა კალანდაძის ლექსების კრებულიდან და ა.შ.). წიგნის ავტორთა თქმით,

სახელმძღვანელოებში განზრახ არის შეტანილი ფრაგმენტები ისეთი წიგნებიდან, რომელთა წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს გაუჩნდებათ ინტერესი სრულად წაკითხონ ტექსტები. ასევე, მეექვსე კლასის მოსწავლის წიგნში ლიტერატურის თეორიის ერთ-ერთ გაკვეთილში „მოთხრობა“ მოსწავლეებს ევალუბათ მოიძიონ და შინ წაკითხონ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მირანდუხტ“.

ნინო გორდელაძის თანაავტორობით გამოცემულ 2018 წლის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ძირითადი ყურადღება ისევ გადატანილია რუბრიკაზე „მოსასმენ ტექსტები“, თუმცა ამ ეტაპზე წინა გრიფირებული სახელმძღვანელოსგან განსხვავებით არსებითი ცვლილებაა ის, რომ მოსასმენი ტექსტების სასწავლო პროცესში ჩართვა უკვე შესაძლებელია რამდენიმე დანიშნულებით. კერძოდ, როგორც **მოსასმენი ტექსტი** (მასწავლებელი უკითხავს ტექსტს, რომელიც მოსწავლის ტექსტში არ წერია), როგორც **უცხო ტექსტი** (მასწავლებელი აკეთებს ტექსტის ასლს, შეაქვს კლასში როგორც უცხო ტექსტი და მოსწავლეები თავად კითხულობენ მას) და როგორც **კარნახით წერა**. ამ შემთხვევაში უკვე შესაძლებელია, რომ აღნიშნულ რუბრიკაში წარმოდგენილი ტექსტები განხილულ იქნას, როგორც კლასგარეშე სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად. დამატებითი საკითხავი/მოსასმენი ტექსტები ძირითადად შერჩეულია თემატურად და ზოგჯერ ჟანრობრივადაც. მაგალითისთვის, ცხრილი №3.5-ში წარმოდგენილია რამდენიმე ტექსტი მოსწავლის მე-4 კლასის წიგნიდან და შესაბამისი დავალება რუბრიკიდან „მოსასმენი ტექსტი“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლემ უნდა მოისმინოს ან წაკითხოს ტექსტი:

### ცხრილი №3.5

#### რუბრიკა „მოსასმენი ტექსტი“ (მე-4 კლასი)

ტექსტები მე-4 კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოში	რუბრიკიდან „მოსასმენი ტექსტი“ მოსასმენი/საკითხავი ტექსტები
ი. გოგებაშვილი „ანდროკლე და ლომი“	ვაჟა-ფშაველა „ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება“
ტ. ხავთასი „მოხუცი და ბროლია“	ტ. ხავთასი „მოსწავლისჩანთიანი სპილო“

ქართული ხალხური ზღაპრები „ოქროსტარიანი ცული“, „მეფე და სკვინჩა“	ზღაპარი „ჭიამაია და ბოროტი კაცი“ ინდური ზღაპარი „კურდღლების მიწისძვრა“
იგავ-არაკები „უკან მიდევნებული ლამპარი“, „ენით დაკოდილი“	იგავ-არაკი „უტკბესი და უმწარესი“, „ყველას ვალი“

წყარო: ქართული, IV კლასი, სკოლის სახელმძღვანელო, ავტორები: ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე;

გარდა „მოსასმენი ტექსტის“ რუბრიკისათვის განკუთვნილი ტექსტებისა, ნინო გორდელაძის მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია დამატებითი რეკომენდაციები კითხვის ხელშესაწყობად და ასევე, ვინაიდან სახელმძღვანელოების შინაარსიდან გამომდინარე მასწავლებელს რჩება სარეზერვო დრო, წიგნის ავტორების მასწავლებლებს სთავაზობენ ისარგებლონ სხვადასხვა ელექტრონული და ბეჭდური მასალებით (Tpdc.ge/ptk\_files/\_ckuploaded/747850.pdf, <http://mastsavlebeli.ge/?p=12760>, <http://mastsavlebeli.ge/?p=12743>, <http://mastsavlebeli.ge/?p=12733>, <http://ena.ge/>). ასევე, დაწყებითი კლასების თითქმის მასწავლებლის ყველა წიგნში ზოგადი რეკომენდაციაა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა, მაგალითად: ქართული ხალხური და/ან მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ქართველ საბავშვო მწერალთა (იაკობ გოგებაშვილი, რევაზ ინანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნოდარ დუმბაძე, გოდერძი ჩოხელი, არჩილ სულაკაური, ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი...) ნაწარმოებები, შარლ პეროს, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ძმები გრიმების ზღაპართა კრებულები, ასტრიდ ლინდგრენის ტექსტები, დონალდ ბისეტის „ყველაფერი ყირამალა“, ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტერ პენი“, ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“, ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“, „ჰეკლ-ბერი ფინის თავგადასავალი“ და ა.შ.

ამრიგად, 2018 წლის ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში რუბრიკა „მოსასმენი ტექსტების“ ხარჯზე საგრძნობლად გაზრდილია დამატებითი საკითხავი მასალის ოდენობა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, არ არის სავალდებულო, რომ აღნიშნული ტექსტები მასწავლებელმა

მოსწავლეებს წააკითხოს, რადგან შესაძლებელია ან მოსმენისთვის ან კარნახისთვის იქნას გამოყენებული.

რაც შეეხება ვახტანგ როდონაიას თანაავტორობით გამოცემულ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების კომპლექტს (2011), მათში წარმოდგენილია რუბრიკები: *დამატებითი მასალა, ეს საინტერესოა, საგანძური*. ამ რუბრიკებში იძებნება ტექსტები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაავლონ პარალელები ნაწარმოებებს შორის, აღმოაჩინონ თემატური კავშირები და ა. შ. მაგრამ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიასთან მათი კავშირი მხოლოდ გარეგნული და მცირეა. უფრო მეტი სიცხადისთვის მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მე-5 კლასის მოსწავლის წიგნში მოცემულია რუბრიკა „დამატებითი მასალა“. საპროგრამო მასალაა ო. იოსელიანის „უთაური ბიჭის თავგადასავალი“ და მისი უკეთ გააზრებისთვის დამატებითი მასალაში არის ხალხური „კარგი ვარ“; „საქმეზე წელი გწყდებაო“ (ხალხური). ეს ლექსები მიესადაგება უთაური ბიჭის საქციელს. დამატებითი მასალა უფრო მეტად პარალელების გასავლებადაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება რუბრიკას „ეს საინტერესოა“, მასში არის სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოები: მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული. ტექსტები მოცემულია იმისთვის, რომ მოსწავლეებმა პარალელები გაავლონ უკვე შესწავლილ მასალასთან და თემატურად არის შერჩეული ამ რუბრიკის შინაარსი. მაგალითად, როცა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებზეა საუბარი, მოცემულია ხალხური ანდაზები, ენის გასატეხები, გათვლები (საბავშვო თამაშის შემადგენელი ნაწილი) და ა. შ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი რუბრიკა „საგანძური“, რომელშიც ისეთი ნაწარმოებების ნაწყვეტებია მოცემული, რომლებიც ძირითად მასალად წარმოდგენილ ტექსტს თემატურად უკავშირდება და უკეთ გააზრებაში ეხმარება მოსწავლეს. მაგალითად, მოცემულია ანა კალანდაძის ლექსი „საქართველოო ლამაზო“ და რუბრიკა „საგანძურში“ არის ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებიდან „სადღეგრძელო“.

2011 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოების მსგავსად ვ. როდონაიას ავტორობით გამოცემულ 2018 წლის გრიფმინიჭებულ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებშიც II კლასიდან წარმოდგენილია რუბრიკა „ეს საინტერესოა“.

მაგალითად, მეორე კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოში ამავე რუბრიკაშია მოცემული მასალა „რა ვიცით წიგნის შესახებ“ . ასავე, მაგალითად ტექსტთან „მართლმსაჯულების ზარი“ მოცემულია მასალა „მართლმსაჯულების ქალღმერთ“, რომელიც დამატებით ინფორმაციას იძლევა, ხელს უწყობს ძირითადი სასწავლო ტექსტის უკეთ გაგებას და ა.შ.

ვ. როდონაიას თანაავტორობით 2018 წელს გამოცემულ გრიფინიჭებულ წიგნების კომპლექტში (I-III კლასები) მეტად საყურადღებოა ერთი სიახლე - დამატებითი საკითხავი მასალა, რომელიც ყველა კლასის მოსწავლის რვეულშია წარმოდგენილი და გადანაწილებულია საგნის საათობრივ-კალენდარული გეგმის შესაბამისად. ავტორთა მიერ ნათლად არის განსაზღვრულია დამოუკიდებლად საკითხავი მასალის მიზნებიც: მოსწავლეთათვის კითხვის მოტივაციის განვითარება, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება, მიღწეული შედეგების დადგენა-შეფასება და ა.შ. მასწავლებლის წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დამოუკიდებელ საკითხავ მასალას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაში და ის მასწავლებელმა „უეჭველად“ უნდა გამოიყენოს. დამოუკიდებლად საკითხავი მასალის ბლოკი მოიცავს ლიტერატურულ ტექსტებს თავისი სამუშაო აპარატითა და სავარჯიშოებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლად კითხვისთვის გამოყოფილია ცალკე გაკვეთილი. საკითხავი მასალა კი ზოგჯერ თემატურად არის შერჩეული, ზოგჯერ კი ეხმიანება გავლილი მასალის მიზნებსა და ამოცანებს. მაგალითად, მესამე კლასის მოსწავლის რვეულში დამატებით საკითხავ მასალად წარმოდგენილია „ტომის ოინები“ - მარკ ტვენის და ემსახურება შემდეგ მიზნებსა და ამოცანებს: ტექსტის შინაარსის გაგება, კითხვებზე პასუხის გაცემა, წარმოსახვის განვითარება: სავარაუდო გაგრძელების მოფიქრება და შემდგომ ტექსტის ავტორისეული გაგრძელების გაცნობა, ნაწყვეტის თემის მიმართება სათაურთან, პერსონაჟის საქციელის შეფასება და დახასიათება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია დამოუკიდებელი მუშაობის შეფასების ცხრილებიც. სამწუხაროა, რომ მსგავსი ტიპის დამოუკიდებელი საკითხავი მასალა არ არის წარმოდგენილი IV-VI კლასებში.

ნათელა მაღლაკელიძის, ელენე მაღლაკელიძის თანაავტორობით შედგენილ I-IV დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები (2011) მოიცავს შემდეგ კომპლექტს:

მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის აქტივობების რვეული, თემატური გაკვეთილების კრებული „წიგნის სამყარო“. დაწყებითი კლასების 2011 წელს გრიფირებულ წიგნებს შორის, ნათელა მაღლაკელიძის ავტორობით გამოცემული წიგნი ერთადერთია, რომელსაც ახლავს სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის წიგნი, თუმცა მხოლოდ I-IV კლასებში. კლასგარეშე სავალდებულო საკითხავ წიგნს ჰქვია „წიგნის სამყარო“.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ „მოსწავლის წიგნში“ II კლასიდან წარმოდგენილია ე. წ. „რატომელას“ რუბრიკა, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საკითხავ მასალას.

ნ. მაღლაკელიძის თანაავტორობით გამოცემულ მასწავლებლის წიგნში (2011) შეტანილია მოკლე ბიოგრაფიული „ცნობარი“ შესასწავლი მწერლების შესახებ, სადაც მწერლების ძირითად ბიოგრაფიულ მომენტებთან ერთად მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტებიც არის მიმოხილული.

ამდენად, ნ. მაღლაკელიძის თანაავტორობით გამოცემულ დაწყებითი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტში (2011) სათანადო ყურადღება ეთმობა კლასგარეშე კითხვას ყველა სხვა გამოცემისგან განსხვავებით, თუმცა 2018 წლის სახელმძღვანელოებში, სამწუხაროდ, იგივე ხაზი არ გრძელდება. მეტიც, სახელმძღვანელოების კომპლექტში აღარ არის თემატური გაკვეთილების კრებული „წიგნის სამყაროს“ და აღარც მისი ჩამნაცვლებელი სხვა სახელმძღვანელო ან რუბრიკები.

2011 წლისგან განსხვავებით 2018 წელს დაწყებითი კლასების ქართულის სახელმძღვანელოებიდან პირველად მიიღო გრიფი შპს **"აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის"** მიერ გამოცემულმა წიგნებმა (I-IV კლასი), რომელთა ავტორებიც არიან: ნანა სახეჩიძე, ნინო ხაჭვანი, ლანა ჭელიძე, ანა არველაძე. აღნიშნული სახელმძღვანელოების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ კლასგარეშე კითხვაზე ყურადღება არ არის გამახვილებული. მაგალითად, მე-4 კლასის სახელმძღვანელოში არის რუბრიკა „ეს საინტერესოა“, თუმცა არსებითად არ უკავშირდება კლასგარეშე კითხვას.

ასევე, პირველად მიიღო გრიფი შპს **"გამომცემლობა ტრიასის"** მიერ გამოცემულმა II-IV კლასების ქართულის სასკოლო სახელმძღვანელოებმა (ავტორები: ირინე

იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე). მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რუბრიკა „ვიმუშაოთ ერთად“, რომელშიც ერთ-ერთი დავალება არის ხელნაკეთი წიგნის „შემოდგომის სიმფონია“ შექმნა. ამ დავალების ფარგლებში მოსწავლეებს ევალებათ სხვადასხვა ავტორის 5-6 ლექსის შემოდგომის თემაზე მოძიება და კრებულის შედგენა/გამოცემა (ქართული ენა, გვ.26). ამავე რუბრიკაშია ერთეული სახით წარმოდგენილი საპროგრამო მასალის უკეთ გააზრების მიზნით სარეკომენდაციო საკითხავი (მაგალითად, ზღაპარი, „კურდღელი და კუ“) (ქართული ენა, გვ. 35) და საინტერესო დავალება „კლასში მოძრავი ბიბლიოთეკა“, რომლიც ემსახურება კლასგარეშე კითხვის გაუმჯობესებას. კერძოდ, ერთი თვის განმავლობაში მოსწავლემ საყვარელი წიგნი, რომელსაც უნდა ახლდეს მოსწავლის მოკლე ანოტაცია წიგნის შესახებ, უნდა დატოვოს კლასში. გარდა ამისა, დავალების ინსტრუქციით განსაზღვრულია, რომ წარმოდგენილი ლიტერატურა 2 თვეში ერთხელ უნდა განახლდეს მოსწავლის მიერ (ქართული ენა, გვ. 40). მეოთხე კლასში სახელმძღვანელოში კი არის რუბრიკა „საინფორმაცია“, სადაც წარმოდგენილია დამატებითი საინფორმაციო ტექსტები, მაგალითად ბიბლიოთეკის შესახებ, მწერალთა შესახებ და ა.შ. საბოლოო ჯამში, ირინა იაშვილის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოებში რამდენიმე საინტერესო აქტივობაა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით, თუმცა არ აქვს ამას სისტემური სახე.

საბოლოო ჯამში, 2018 წლის დაწყებითი კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან კლასგარეშე კითხვაზე/დამოუკიდებელ კითხვაზე ყველა სხვა გამოცემისგან განსხვავებით ყურადღება გამახვილებულია ვ. როდონაიასა და ნ. გორდელაძის თანაავტორობით გამოცემულ კომპლექტებში.

ამდენად, სასკოლო სახელმძღვანელოების განხილვიდან ცხადია, რომ კლასგარეშე კითხვის სათანადო ყურადღება არ ეთმობა სახელმძღვანელოებში, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა სასკოლო სახელმძღვანელოებში ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი და არ აქვს სისტემური სახე. ზოგიერთ გრიფირებულ სახელმძღვანელოში კი დავალება/რუბრიკაც კი არ იძებნება კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით. დღეს, როცა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ კლასგარეშე კითხვას, მნიშვნელოვანია, რომ თავად

საქართველოს განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს მაღალხარისხიანი კლასგარეშე საკითხავი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემების დაფინანსება (გრანტები, ფონდები, პირდაპირი დაფინანსება და ა.შ.), ხოლო, სახელმძღვანელოების შედგენაში აუცილებელია მონაწილეობას იღებდნენ დარგის სპეციალისტები, მეთოდისტები, პრაქტიკოსი მასწავლებლები, მოსწავლეები და ფსიქოლოგები.

## IV თავი

### კვლევითი ნაწილის მეორე ეტაპი

#### §4.1. დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები

მასწავლებელი, სკოლა, ოჯახი და სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კლასგარეშე კითხვის სწორად ორგანიზებისა და სწავლების საკითხებში. წინა თავში ნორმატიული დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების შესწავლამ აჩვენა, რომ დღესდღეობით კლასგარეშე კითხვის პროცესს ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს თავად მასწავლებელი (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, ბოლო რედაქცია 2014). შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები.

**კვლევის მიზანი** - დაწყებით საფეხურზე კლასგარეშე კითხვის ხარისხის შეფასება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ.

**კვლევის ამოცანები** - კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- 1) მასწავლებლის მიერ კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობის შეფასება;
- 2) კლასგარეშე კითხვის აქტივობების/გაკვეთილების დაგეგმვა-ორგანიზება და მისი ხარისხის შეფასება;
- 3) კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმების შეფასება მასწავლებლის მიერ;

შემუშავებულ იქნა კვლევის ჰიპოთეზა: *ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებით საფეხურზე კლასგარეშე კითხვა თანამიმდევრული, სისტემატური და მართვადი პროცესი არ არის (ხარისხიანად არ ხორციელდება).*

**სამიზნე ჯგუფი:**

- დაწყებითი კლასების მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ქართულს

## კვლევის გეოგრაფიული არეალი

დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებლების გამოკითხვა ჩატარდა ელფოსტის საშუალებით, შესაბამისად გამოკითხვამ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი.

## მეთოდოლოგია

**მეთოდი** - ზემოთ აღწერილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის გამოყენებული იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი;

**მონაცემთა მოგროვების მეთოდი და შერჩევა:**

რაოდენობრივი კვლევისთვის მონაცემების მოგროვების გზად არჩეული იქნა ელექტრონული გამოკითხვა Survey monkey-ს პლატფორმის გამოყენებით.

შერჩევის მეთოდად რაოდენობრივი კვლევისას გამოყენებული იქნა გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა. კვლევის გამოპასუხების პროცენტი იხ. ცხრილში №4.1


### ცხრილი №4.1

#### სამიზნე ჯგუფის კვლევაში მონაწილეობის გამოპასუხების პროცენტი


სამიზნე ჯგუფი	სულ	კითხვარი გაეგზავნა	რესპოდენტთა რაოდენობა	გამოპასუხების %
დაწყებით კლასების ქართულის მასწავლებლები	11230	3069	260	8,32%

გამოკითხულთა ასაკობრივი განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე 4.1, ხოლო ქართულის სწავლების სამუშაო გამოცდილება იხ. დიაგრამაზე 4.2.:

დიაგრამა 4.1. გამოკითხულ მასწავლებელთა ასაკი (%)



დიაგრამა 4.2. გამოკითხულ მასწავლებელთა სამუშაო გამოცდილება (რამდენი წელია ასწავლის ქართულს) (%)



რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა თვითადმინისტრირებადი სტრუქტურირებული ანკეტა, დახურული და ღია კითხვების გამოყენებით (იხ. დანართი №3). კითხვარი მოიცავს დემოგრაფიულ მონაცემებს, კითხვებს კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობასა და ორგანიზებასთან

დაკავშირებით. ასევე, კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმების შეფასებას მასწავლებლის მიერ.

### **კვლევის შეზღუდვები**


როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული სახით, კითხვარი დაეგზავნა დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ ელექტრონული ფოსტის მისამართი. შესაბამისად, გამოკითხვის დროს ვერ მიეწოდა კითხვარი იმ მასწავლებლებს, რომლებიც არ იყენებენ ელ-ფოსტას (კითხვარი გაეგზავნა 3069 მასწავლებელს). ამიტომ გამოკითხვის შედეგების განზოგადება ყველა მასწავლებელზე არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონის (გარდა აფხაზეთისა) სკოლის პედაგოგებმა, რეგიონების მიხედვით შედეგების შედარება მაინც არ არის მიზანშეწონილი, რადგან ზოგიერთი რეგიონიდან მცირე რაოდენობის მასწავლებლებმა მიიღო მონაწილეობა. ამიტომ ანალიზის დროს თბილისის სკოლების მასწავლებლების შედეგები შედარებულია ყველა რეგიონის სკოლების მასწავლებლების შედეგებს.

### **კვლევის შედეგები**


#### **1) მასწავლებლების მიერ კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობის განსაზღვრა:**

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა (91.9%) ამბობს, რომ კლასგარეშე მუშაობის სახეებიდან ყველაზე ხშირად სწორედ „კლასგარეშე კითხვას“ იყენებენ. საშუალო ქულების შედარებისას ჩანს, რომ ყველაზე მეტად მასწავლებლები მიმართავენ „კლასგარეშე კითხვას“, ხოლო ყველაზე ნაკლებად „მკითხველთა კონფერენციებს“. რეგიონებისა და თბილისის სკოლების შედარებისას სტატისტიკურად სანდო განსხვავება მივიღეთ მხოლოდ ორი მეთოდის მიხედვით. „ლიტერატურულ ექსკურსიას“ და „მკითხველთა კონფერენციებს“ თბილისის სკოლების მასწავლებლები უფრო მიმართავენ, ვიდრე რეგიონის. (t ტესტი დამოუკიდებელი ჯგუფების საშუალოების შედარებისთვის, sig.: 0.01).


დიაგრამა 4.3. კლასგარეშე კითხვის მუშაობის რომელ სახეებს იყენებთ? (%)



დიაგრამა 4.4. კლასგარეშე კითხვის მუშაობის რომელ სახეებს იყენებთ? (საშუალო ქულა)




დიაგრამა 4.5. კლასგარეშე კითხვის მუშაობის რომელ სახეებს იყენებთ? (საშუალო ქულა, თბილისის და რეგიონების შედარება)



მასწავლებლებს ვთხოვდით, დაეფიქსირებინათ, რას მიიჩნევდნენ კლასგარეშე კითხვის ამოცანებად. რესპონდენტები 5-ქულიან სკალაზე აფასებდნენ, რამდენად ეთანხმებოდნენ ფრაზებს, რომლებიც აღწერდნენ კლასგარეშე კითხვის ამოცანებს. დიაგრამაზე №4.6 თითოეული კომპონენტის შეფასების საშუალო ქულები დალაგებულია კლებადობის მიხედვით, რაც უფრო მაღალია საშუალო ქულა, მით მეტად ეთანხმებიან მასწავლებლები მოცემულ მოსაზრებებს კლასგარეშე კითხვის ამოცანების სხვადასხვა კომპონენტის შესახებ. აქვე გამოსაყოფია მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ გამოკითხულები ყველაზე მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ (საშუალო ქულა -4.83 ) კლასგარეშე კითხვის უმთავრესი ამოცანა „ლექსიკური მარაგის“ განვითარებაა. ასევე, აღსანიშნავი ფაქტია, რომ კლასგარეშე კითხვის მთავარი მიზანი დამოუკიდებელი კითხვის უნარის განვითარებაა და გამოკითხული მასწავლებლების ასევე დიდმა ნაწილმა (საშუალო ქულა - 4.6) სწორედ დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება მიიჩნია კლასგარეშე კითხვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად. კლასგარეშე კითხვას ასევე დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, თუმცა გამოკითხული


მასწავლებლები ჩამოთვლილი დებულებებიდან ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს (საშუალო ქულა -3.69) იმას, რომ კლასგარეშე კითხვის ამოცანა სასწავლო-აღმზრდელობით ამოცანების გადაწყვეტაა და ასევე, ყველა სხვა ამოცანასთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული (საშუალო ქულა - 3.97) კლასგარეშე კითხვის როლი კვლევის უნარების განვითარების საქმეში.

**დიაგრამა 4.6. კლასგარეშე კითხვის ამოცანების შეფასება მასწავლებლის მიერ (საშუალო ქულა)**



დისერტაციაში როგორც უკვე აღნიშნულია, კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაზე მოქმედებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებანი (მოტივაცია, ინტელექტი, სწავლისადმი დამოკიდებულება, სწავლის სტილი), სოციო-კულტურული გარემო, ოჯახი, სკოლა, მეგობარი და ა.შ. შესაბამისად, მასწავლებლებს კვლევის ფარგლებში ვთხოვეთ განესაზღვრათ, რომელ მათგანს მიიჩნევენ ყველაზე მნიშვნელოვნად. მათ შეთავაზებული 6 ფაქტორი უნდა დაეღაგებინათ მნიშვნელოვნების მიხედვით. სამ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად საერთო ჯამში მასწავლებლებმა მიიჩნიეს ოჯახი, მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები და მასწავლებელი. ამ 6 ფაქტორიდან ყველაზე ნაკლები მნიშვნელოვნება მიანიჭეს მეგობრებს.

**დიაგრამა 4.7. კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნების განსაზღვრა მასწავლებლის მიერ**



## 2) კლასგარეშე კითხვის აქტივობების/გაკვეთილების დაგეგმვა-ორგანიზება და მისი ხარისხის შეფასება;

მეტად მნიშვნელოვანია კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზება და ვინაიდან ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი ფორმაა გაკვეთილი, ხოლო გაკვეთილის ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია მასწავლებელზე, მოცემული კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია სწორედ მასწავლებლების შეფასება კლასგარეშე კითხვის ორგანიზებასთან დაკავშირებით.


მიღებული მონაცემების უკეთესი აღქმისთვის დიაგრამაზე №4.8 პასუხები „სრულიად ეთანხმება“ და „ეთანხმება“ დაჯამებულია, ისევე როგორც „სრულიად არ ეთანხმება“ და „არ ეთანხმება“.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ კლასგარეშე კითხვის უნარის გაუმჯობესებაზე მოქმედი ფაქტორებიდან გამოკითხულთა მიერ „ინდივიდუალური თავისებურებების“ შემდეგ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად „მასწავლებელი“ დასახელდა (იხ. დიაგრამა №4.7) და ზოგადად მასწავლებელს ხელმძღვანელი როლი უკავია ამ პროცესში. ჯამში გამოკითხულთა 27.4% სრულიად ეთანხმება ან ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ „კლასგარეშე კითხვის პროცესს არ უნდა ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი და მან უნდა შეძლოს ფუნქციების მშობლებზე გადანაწილება“.


გამოკითხულ მასწავლებელთაგან ყველა ესაუბრება მოსწავლეებს „ზოგადად წიგნის როლსა და მის მნიშვნელობაზე“ და ასევე, მოსწავლეებს აძლევს „რჩევებს/ინსტრუქციებს დამოუკიდებლად როგორ შეარჩიონ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა“. მასწავლებლები კლასგარეშე კითხვის გაკვეთილზე პირველ რიგში „ადგენენ მოსწავლეთა მიერ წაკითხული ნაწარმოებების სიას და მათს ინტერესებს“ (87%), მშობლებისთვის კლასგარეშე წიგნის შერჩევასა და შინ კითხვასთან დაკავშირებით ინსტრუქციის აწვდის ასევე მასწავლებლების დიდი ნაწილი (84.3%). ეს უკანასკნელი ლოგიკურიცაა, რადგან კლასგარეშე კითხვაზე მოქმედ ფაქტორთაგან ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მასწავლებლების მიერ დასახელებული იქნა „ოჯახი“ (იხ. დიაგრამა №4.7). თუმცა მასწავლებელთა გამოკითხვიდან ისიც ჩანს, რომ სკოლაში, სადაც ისინი ასწავლიან, მხოლოდ 45.9%-ის თქმით, ეწყობა სხვადასხვა

აქტივობები კლასგარეშე კითხვის პროცესში მშობლების ჩართულობის ხელშესაწყობად. ამასთანავე, თითქმის ორი მესამედი 64.4% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საჭიროა სკოლებში მშობელთა კითხვის კლუბის შექმნა“. წარმოდგენილი შედეგით შესაძლებელია იმის თქმა, რომ მასწავლებლები კლასგარეშე კითხვის ორგანიზების მოსამზადებელი ეტაპისთვის ახორციელებენ ისეთ საჭირო აქტივობებს, როგორებიცაა არსებული მდგომარეობის დემონსტრირება, წიგნის გაცნობა და წიგნის შერჩევის პროცედურები. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოკითხულთა 62.5% ამბობს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე განიხილება კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული მუშაობის გეგმა. შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს დებულებას - „სკოლაში, სადაც მე ვასწავლი, პერიოდულად ხდება კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული შემუშავებული გეგმის შესრულების შედეგების მოსმენა“ (50%). გამოკითხულთა პასუხებიდან ჩანს, რომ სკოლის როლი კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხებში შედარებით დაბალია და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას. კერძოდ, მასწავლებლებს ევალებოდათ, შეეფასებინათ წიგნადი ფონდის პერიოდულად განახლების საკითხი სასკოლო ბიბლიოთეკაში. მათი აზრით, კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია წიგნიერი გარემოს შექმნა და საკლასო ბიბლიოთეკების მოწყობა. თუმცა გამოკითხულთა 37.5% ამბობს, რომ საკლასო ბიბლიოთეკები მეტ-ნაკლებად ან არ არის მოწყობილი. კლასგარეშე კითხვის ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარებაში ნაკლებად ეხმარება მასწავლებლებს სკოლის ბიბლიოთეკარი 44% და კლასგარეშე კითხვის ორგანიზებასთან დაკავშირებულ დებულებებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 18.8% აქვს „სკოლაში, სადაც მე ვასწავლი, სამტატო განრიგით გათვალისწინებულია თანამდებობა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში“.

დიაგრამა 4.8. კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციული საკითხების შეფასება (%)




**დიაგრამა 4.9. კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციული საკითხების შეფასება (%)**




კლასგარეშე კითხვის გაკვეთილის სახეებიდან მასწავლებლები ყველაზე ნაკლებად იყენებენ „არასაპროგრამო ნაწარმოების გარჩევა მასწავლებლის მიერ წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე“ (5-ქულიან სკალაზე საშუალო ქულა -3.7 ), რაც ლოგიკურიცაა, რადგან ამ სახის გაკვეთილები უფრო მეტად მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი.

**დიაგრამა 4.10. ქვემოთ ჩამოთვლილი კლასგარეშე კითხვის გაკვეთილების სახეებიდან რომელს რა სიხშირით იყენებთ?**



მასწავლებელთა პასუხებიდან ირკვევა, რომ სასურველად მიიჩნევენ მკითხველთა ინტერესების შესწავლას, კლასგარეშე კითხვის წინამოსამზადებელ პერიოდსა და კლასგარეშე წაკითხულის აღრიცხვას. 5-ქულიან სკალაზე საშუალო ქულა სამივე დებულების შემთხვევაში 4-ზე მაღალია, თუმცა ამათგან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევა წაკითხულის აღრიცხვის აუცილებლობა. (საშუალო ქულა-3.98)


**დიაგრამა 4.11. რამდენად ეთანხმებით ჩამოთვლილ დებულებებს?**



კლასგარეშე კითხვის პროცესის წარმართვისას მასწავლებლები ძირითადად ხელმძღვანელობენ ისეთი პრინციპებით, როგორებიცაა მოსწავლისთვის დამოუკიდებელი მუშაობის გზების/პრინციპების სწავლება (98.1%), წიგნის შინ კითხვის წესების მოსწავლეებისთვის სწავლება (97.2%). გამოკითხულთა 72.7% აღნიშნავს, რომ წაკითხულს ამოწმებენ მხოლოდ საუბრის მეთოდის გამოყენებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შემოწმების შედარებით მარტივ ფორმას იყენებენ. ნაკლებად იყენებენ წერით ფორმებს, რომლებიც უფრო მეტად ეფექტიანია შემოწმებისთვის. გამოკითხული მასწავლებლები ყველაზე მეტად არ ეთანხმებიან დებულებას „მოსწავლეებს მივუთითებ, რომ არ არის საჭირო წიგნის შინ კითხვისას წიგნში ყველა ადგილის ზედმიწევნით წაკითხვა“, რაც, რა თქმა უნდა, სწორია, რადგან საჭიროა თანამიმდევრული კითხვა.

თბილისის და რეგიონების სკოლის მასწავლებლებს მოსაზრებებს შორის განსხვავებები არ გამოვლინდა კლასგარეშე კითხვის პროცესის წარმართვის პრინციპების მიხედვით.

**დიაგრამა 4.12. გთხოვთ, მიუთითოთ, კლასგარეშე კითხვის პროცესის წარმართვისას რომელი პრინციპებით ხელმძღვანელობთ?**



რესპონდენტებს დაესვათ „ღია კითხვა“ იმის შესახებ თუ კლასგარეშე კითხვის შეფასებისა და სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ, გამოკითხულთა 93%-მა უპასუხა ამ კითხვას. სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ღია კითხვაზე მასწავლებლებმა დაასახელეს შემდეგი ძირითადი მეთოდები:

#### ცხრილი №4.2

#### მასწავლებლების მიერ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილზე გამოყენებული სწავლების მეთოდები

პაუზებით კითხვა
გრაფიკული ორგანიზატორები: ვენის დიაგრამა, T სქემა,
ერთობლივი კითხვა, კითხვა აზნაცებით, ჩუმი კითხვა, გამოკრებით კითხვა, გაგრძელებით კითხვა
ლიტერატურული დღიური
ნიშანთა სისტემა
კომენტირებული კითხვა
კითხვის მატარებელი
ლუფსის მეთოდი
ჩანაწერების დღიური
როლური კითხვა
ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე
ვარაუდის გამოთქმა სათაურზე
შექმენი წიგნის ყდა
სამ-ჩარჩო ფორმატი
საუბრის მეთოდი
კითხვის დასმა
პროექტი
მკითხველთა თეატრი
ცხელი სკამი
გმირის რუკა

მარკირება
ორიენტირებული კითხვა
პირამიდა
დისკუსია, დებატები
ხმამალა ფიქრი
მნიშვნელოვანი სიტყვები
დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა
წაკითხვის შემდეგ ეპიზოდის დახატვა( აქტივობა " მე -ილუსტრატორი", მეთოდი- "მკითველის თეატრი "
3,2,1
საჩვენებელი კითხვა
ოთხი კუთხე
შთაბეჭდილებები
დიორამა
წავუკითხოთ მშობლებს
დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე
გონებრივი იერიში
მოზაიკა
წინასწარი ვარაუდების გამოთქმა
კითხვა ჩაისთან

როგორც ჩანს, საკმაოდ მრავალფეროვანია და დაწყებითი კლასების მოსწავლეების ასაკისთვის შესაბამისი. ძირითადად უფრო მეტი სიხშირით ასახელებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა „პაუზებით კითხვა“, „მკითხველთა თეატრი“, გრაფიკული ორგანიზატორები, კითხვა კლასში (ჩუმი, ერთობლივი, წყვილებში...). რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, მასწავლებლები უფრო ხშირად იყენებენ შემოწმებისთვის ზეპირ ფორმებს (კითხვა-პასუხი, საუბარი, მოყოლა), ამას ადასტურებს დიაგრამა № 4.9-ში წარმოდგენილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი აღრიცხვასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა მიერ კითხვაზე გაცემულ იქნა შეუსაბამო პასუხებიც (მაგალითად, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების

ტიპები, შეფასების სქემები), შეფასების მეთოდების ნაცვლად, მითითებულ იქნა სწავლების მეთოდები - გონებრივი იერიში და ა.შ. შეფასების წერიტი ფორმებიდან ყველაზე ხშირად გამოკითხული მასწავლებლები იყენებენ ტესტს, ჩანაწერების ჟურნალებს. ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი შეფასების მეთოდები,

### ცხრილი №4.3

#### მასწავლებლების მიერ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილზე გამოყენებული შეფასების/აღრიცხვის მეთოდები

ტესტი
ვაკეთებ აღრიცხვას თვის განმავლობაში რამდენი წიგნი აქვს წაკითხული მოსწავლეს
შთაბეჭდილებების წერა ლიტერატურულ დღიურში
კითხვა-პასუხი
ზეპირი გამოკითხვა
საუბარი
ვიქტორინა. დაუსვით ერთმანეთს კითხვები.
მოსწავლეებს ვთხოვ გააკეთონ ჩანახატები წაკითხული სიუჟეტის მიხედვით დისკუსია
ზოგადად მოკლე შინაარსის გადმოცემა
აფიშა (ფორმატის ქაღალდზე ილუსტრირებულია წასაკითხი წიგნის გარეკანის გვერდი. ქვემოთ კი მოცემულია ცხრილი, რომელშიც მოსწავლეები ყოველ ჯერზე წაკითხულ გვერდებს აღნიშნავენ. ვინც ბოლომდე წაიკითხა წიგნი , ზოლი უფერადდება წითლად)
კითხვის კალენდარი
წაკითხული წიგნის პრეზენტაცია
მონიტორინგის ცხრილი
ცხრილი, რომელიც შედგება კლასის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებისა და მოსწავლეთა გვარების ჩამონათვალი, თითოეული მოსწავლე თავად აღნიშნავს ამ სიაში რომელი წიგნი და როდის წაიკითხა. "აქტიური მკითხველის სიგელს "

მიიღებს ის, ვინც 1 სემესტრის განმავლობაში წაკითხავს სიაში ჩამოთვლილ ყველა წიგნს.

მოსწავლის პორტფოლიო, შთაბეჭდილებების დღიური,


მასწავლებელი-მოსწავლე-მშობელი

კლასი დაყოფილია მცირე ჯგუფებად, ეძლევა დავალება შემდეგი

გაკვეთილისათვის. დაბრუნებისას წაკითხულის შინაარსს მთელი კლასის წინაშე გადმოსცემენ. ამ პროცესში ჩართულები არიან მშობლები.


კითხვაზე, „მოსწავლეებს მიუღიათ თუ არა მონაწილეობა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით გამომცემლობების, მწერალთა სახლის, ბიბლიოთეკების, საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტებში“ მასწავლებელთა მხრიდან ძირითადად ფიქსირდება უარყოფითი პასუხი. შედარებით ხშირად მოსწავლეებს მონაწილეობა მიუღიათ პროექტში „ვიკითხოთ წიგნები“ (39.5%). ასევე, შეეძლოთ თავად დაესახელებინათ აქტივობები და ჯამში გამოკითხულთა 14.8%-მა მიუთითა სხვა აქტივობები, რომელთა შორის ძირითადად დომინირებს გამომცემლობების მიერ ორგანიზებული აქტივობები, ასევე თავად მასწავლებლის მიერ კლასში მოწყობილი ღონისძიება - „შეხვედრა მწერალთან“ ან წიგნის კლუბის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები („კვითხულობთ ღამით კარავში“, კონკურსი - „ახალგაზრდა ხელოვანი“, „შევაგროვოთ წიგნიერი წუთები“ და ა.შ.). აღსანიშნია ის ფაქტი, რომ კლასგარეშე კითხვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია.

**დიაგრამა 4.13. თქვენს მოსწავლეებს მიუღიათ თუ არა მონაწილეობა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით გამომცემლობების, მწერალთა სახლის, ბიბლიოთეკების, საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებულ ისეთ პროექტებში, როგორებიცაა:**



ქვემოთ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთათვის კლასგარეშე საკითხავი სარეკომენდაციო სიის შედგენისას ყველაზე მეტად რას ითვალისწინებენ გამოკითხული მასწავლებლები. როგორც ჩანს, აბსოლუტური უმრავლესობა (97.3%) ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებს, გონებრივ განვითარებას (79.15%) და ჟანრობრივ მრავალფეროვნებას (62.16%). ყველაზე ნაკლებად კი ითვალისწინებენ გამომცემლობასა და გამოცემის წელს, იუმორისტული ნაწარმოებებს წილს, ნაკლებად ცნობილ წიგნებს, რომლებიც კლასიკა შეიძლება გახდეს.


**დიაგრამა 4.14. მოსწავლისათვის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის (სარეკომენდაციო სიის) შედგენისას ყველაზე მეტად რომელ ფაქტორებს ითვალისწინებთ?**



საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აბსოლუტურად ყველა გამოკითხული ამბობს, რომ შეისწავლის მკითხველთა ინტერესებს, ხოლო მკითხველთა ინტერესების შესასწავლად კი ყველაზე ხშირად რესპოდენტთა 90.55% იყენებს ისეთ მეთოდს,

როგორცაა „გასაუბრება“. ყველაზე ნაკლებად გამოიყენება „ანკეტირების“ მეთოდი, რომელიც ასევე მეტად მნიშვნელოვანი მეთოდია. მხოლოდ 23% აღნიშნა, რომ ანკეტირების მეთოდს ხშირად იყენებენ. გამოკითხულთაგან 4-5-მა, მკითხველთა ინტერესების შესასწავლ მეთოდად დამატებით დაასახელა „დაკვირვება“.


**დიაგრამა 4.15. მკითხველთა ინტერესების შესასწავლად ყველაზე ხშირად რომელ მეთოდებს იყენებთ?**




იმისთვის, რომ კლასგარეშე კითხვა ეფექტიანად იყოს ორგანიზებული, გამოკითხული მასწავლებლები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კლასგარეშე კითხვის ღონისძიებების მეტი რაოდენობით დაგეგმვას (85,3%) და კლასგარეშე კითხვის მიმართულებით მასწავლებლების გადამზადებას (53,7%). დამატებით კომენტარებში აღნიშნავენ, რომ საჭიროა როგორც მასწავლებლის, ისე მშობლის თანაბრად ჩართულობა, მეტი დროის გამოყოფა, წიგნებით მდიდარი სასკოლო ბიბლიოთეკის მოწყობა, კლასგარეშე კითხვის მნიშვნელოვნების აღქმა, სკოლის მხარდაჭერა და ფინანსური მხარდაჭერა, რადგან ხშირად საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფენ მსგავსი კლასგარეშე კითხვის აქტივობების დაფინანსებას.

რეგიონების და თბილისის სკოლების პედაგოგების აზრი მცირედით განსხვავდება კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზებისთვის საჭირო ღონისძიებების შეფასებისას. თბილისის მასწავლებლები უფრო მეტად თვლიან, რომ განათლების სფეროში გამოყოფილი ბიუჯეტის გარკვეული წილი უნდა ეთმობოდეს კლასგარეშე კითხვის აქტივობებისა და პროგრამების დაფინანსებას. დანარჩენ ფაქტორებს რეგიონის სკოლების მასწავლებლები უფრო მეტად მიიჩნევენ მნიშვნელოვნად ვიდრე თბილისის სკოლის მასწავლებლები.

**დიაგრამა 4.16. კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზებისათვის რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად? (%)**




**დიაგრამა 4.17. კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზებისათვის რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად? (% , თბილისის და რეგიონების შედარება)**



მთლიანობაში კლასგარეშე კითხვის პროცესის ორგანიზებით კმაყოფილება 10-ქულიან სკალაზე მასწავლებლებმა 7,33 ქულით შეაფასეს, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. როგორც ჰისტოგრამაზე ჩანს, მონაცემები გადახრილია დადებითი შეფასებისკენ. ამასთან თბილისის და რეგიონის სკოლის მასწავლებლების საშუალო შეფასებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა.


**დიაგრამა 4.18. სკოლაში კლასგარეშე კითხვის პროცესის ორგანიზებით კმაყოფილების ხარისხი**



### 3) კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმების შეფასება მასწავლებლის მიერ;

გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ კლასგარეშე კითხვის საკითხები უნდა რეგულირდებოდეს ისეთი ნორმატიული დოკუმენტებით, როგორცაა „ეროვნული სასწავლო გეგმა“ (68,7%) და „სასკოლო სასწავლო გეგმა“ (65,3%)


**დიაგრამა 4.19. კლასგარეშე კითხვის სწავლების საკითხები რომელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტებით უნდა რეგულირდებოდეს?**



საინტერესოა, ამ ეტაპზე რეგულირდება თუ არა სათანადოდ კლასგარეშე კითხვა სასკოლო სასწავლო გეგმებში, სწორედ ამიტომ ვთხოვეთ, მასწავლებლებს მიეთითებინათ, კონკრეტულად კლასგარეშე კითხვის რა საკითხები იყო წარმოდგენილი მათი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმებში. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ნაკლებადაა არის გაწერილი კლასგარეშე კითხვის მონიტორინგისა და პროცესის კვლევა. მასწავლებლების მხოლოდ 21,4% აცხადებს, რომ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კლასგარეშე კითხვის მონიტორინგისა და პროცესის კვლევა. მასწავლებლების ორი მესამედზე მეტი (66,8%) კი აცხადებს, რომ


„სადამრიგებლო საათის” ფარგლებში აღწერილია კლასგარეშე კითხვის გაკვეთილები ზოგადად რა საკითხებს უნდა ეთმობოდეს.

**დიაგრამა 4.20. სკოლაში, სადაც მე ვასწავლი, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია:**




მასწავლებლების საკმაოდ დიდი ნაწილი (88,5%) ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლის წიგნში კლასგარეშე კითხვის მეთოდის საკითხები აუცილებლად უნდა იყოს ასახული და გარდა ამისა, გამოკითხულთა ნაწილი (50,6%) თვლის, რომ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში არ არის საკმარისი დავალებები/სარეკომენდაციო ლიტერატურა კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით. ასევე, ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველოში არის ხარისხიანი საკითხავი ლიტერატურის ნაკლებობა. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის იმ ნაწილს, სადაც არის ჩანაწერი კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, მხოლოდ 25,6% თვლის, რომ არის ჩანაწერი, დანარჩენი პასუხები კი გადანაწილდა „მეტ-ნაკლებად” (46,3%), „არ ვეთანხმები” (12%). 16,1%-ს კი გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

**დიაგრამა 4.21. რამდენად ეთანხმებით ჩამოთვლილ დებულებებს?**



მთლიანობაში კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმებით კმაყოფილება 10-ქულიან სკალაზე მასწავლებლებმა 6,41 ქულით შეაფასეს, რაც საშუალო მაჩვენებელს, 5-ს მცირედით აღემატება. ამასთან თბილისის სკოლების მასწავლებლების კმაყოფილება უფრო დაბალია ვიდრე რეგიონის სკოლების მასწავლებლების კმაყოფილება. (დამოუკიდებელი ჯგუფების საშუალოების შედარების t ტესტი, Sig.: 0.03)

**დიაგრამა 4.22. სკოლაში კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმებით კმაყოფილების ხარისხი (ჰისტოგრამა)**



მასწავლებლებს უნდა დაესახელებინათ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა/პრობლემები, რომლებიც ხელს უშლით კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად წარმართვაში. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ეს კითხვა გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა შეავსო და ქვემოთ ცხრილში №4.4. წარმოდგენილია ძირითადი პრობლემები

#### ცხრილი №4.4

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა/პრობლემები კლასგარეშე კითხვის წარმართვასთან დაკავშირებით

მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები (ინტერესის ნაკლებობა, დაბალი მოტივაცია, ინტელექტი, კითხვის უნარები, სწავლისადმი დამოკიდებულება და კომპიუტერით წიგნის ჩანაცვლების პრობლემა, მოსწავლეთა გადატვირთვა რეპეტიტორების გამო - გაკვეთილების შემდეგ არ აქვთ თავისუფალი დრო)
დროის ფაქტორი (კლასგარეშე კითხვის საათები არის მცირე და ზოგადად ქართულსაც აქვს დათმობილი მცირე საათები, მასწავლებლის დროის დეფიციტი)
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სკოლებში არ არის განახლებული წიგნადი ფონდები, სკოლებში არის დეფიციტი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის, სასკოლო ბიბლიოთეკის რესურსები (წიგნები, სამკითხველო დარბაზი) არის მწირი ან აღსაჭური შესაბამისი ინვენტარით, თავისუფალი კლასი/სივრცე კლასგარეშე კითხვის გაკვეთილებისთვის, სკოლის მცირე ბიუჯეტი,
მასწავლებლები ნაკლებად შეისწავლიან მოსწავლეების ინტერესებს და არ კითხულობენ თანამედროვე ლიტერატურას, რითაც შეძლებდნენ მოსწავლეთა დაინტერესებას
ეკონომიკური ფაქტორი (მოსწავლეს არ აქვს სახლში წიგნები)
სასკოლო სახელმძღვანელოებში კლასგარეშე საკითხავი მასალების სიმცირე
ოჯახის ფაქტორი (მშობელთა ჩართულობა არის დაბალი, შინ წიგნიერი გარემო არ ხვდება მოსწავლეს)
სოციო-კულტურული გარემო
კლასგარეშე საკითხავი წიგნების დეფიციტი
სარეკომენდაციო ლიტერატურის არ არსებობა კლასების მიხედვით

მასწავლებლის ნაკლები მზაობა (ინტერესი, ხელფასი, პროფესიული)

არ არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით

მასწავლებლის წიგნში კლასგარეშე კითხვის მეთოდის საკითხების ნაკლებობა

კლასგარეშე კითხვის მონიტორინგის არარსებობა

იმისთვის, რომ ეფექტიანად წარმართოს კლასგარეშე კითხვა სკოლებში, მასწავლებლები გვთავაზობენ პრობლემების გადაჭრის რამდენიმე გზას (იხ. ცხრილი №4.5). ამ ღია კითხვის შემთხვევაშიც, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა (79%) უპასუხა მას.

#### ცხრილი №4.5

დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად წარმართვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება

სკოლაში კლასგარეშე კითხვის აქტივობების, კონკურსების, ღონისძიებების დაგეგმა/ორგანიზება

მშობელთა ჩართულობის გაზრდა

გაუმჯობესდეს სკოლის ბიბლიოთეკის რესურსები (სამკითხველო სივრცე, წიგნები...), ასევე, კითხვისთვის გამოიყოს სივრცეები, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ინტერნეტით

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაიწეროს კლასგარეშე კითხვისთვის ცალკე საათები

მასწავლებელთა გადამზადების აუცილებლობა (ტრენინგ-კურსები)

შეიქმნას სასკოლო გრიფირებული წიგნი კლასგარეშე კითხვაში (რომ მშობლებს არ ჰქონდეთ ახალი ძვირადღირებული წიგნები საყიდელი ან სათხოვარი, რადგან ამას ყველა ვერ ახერხებს)

გაიზარდოს მოსწავლეთა დაინტერესება მათი საჭიროებების შესწავლით

უფრო მეტმა გამომცემლობამ და ორგანიზაციამ ხელი შეუწყოს მწერლებსა და ბავშვებს შორის მეტ კომუნიკაციას.

მოხდეს წაკითხული ნაწარმოებების განხილვა სკოლაში სხვადასხვა

მრავალფეროვანი მეთოდებით

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სწორად შერჩევა

მშობელთა და მასწავლებელთა პირადი მაგალითი მოსწავლეთა კითხვით დაინტერესებისთვის

კლასგარეშე კითხვისთვის უფრო ხშირად მოწყობა

საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემების გაუმჯობესება (ილუსტრაციები და ა.შ.)

მკითხველთა კლუბები და ლიტერატურული წრეები

წაკითხულის აღრიცხვა და შემოწმება

კლასგარეშე საკითხავი რესურსების კლასის დამრიგებლებისთვის მიწოდება

გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული უნდა იყოს ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ლიტერატურა, სადაც მშობელიც საჭიროდ ჩათვლის მის აუცილებლობას.

გამოიყოს დამატებითი საათები და კვირაში 2 დღე მაინც დაეთმოს კლასგარეშე კითხვას

უნდა მოეწყოს უფრო ხშირი შეხვედრები მწერლებთან

დაფინანსდეს კლასგარეშე კითხვის გაკვეთილები, როგორც სხვა სავალდებულო საგნები

გახდეს სავალდებულო კლასგარეშე კითხვის გაკვეთილები

სასწავლო პროგრამის შემცირება

მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად რაიმე ჯილდოს დაწესება

გაიზარდოს სახელმწიფოს ჩართულობა კლასგარეშე კითხვის სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში

სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა იყოს დეტალურად გაწერილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შესახებ და ხდებოდეს მონიტორინგი.

გამოკითხულ მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ გამოეთქვათ დამატებითი კომენტარები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ღია კითხვაზეც გამოხმაურებამ 27%-ს მიაღწია. ძირითადად კომენტარები მოიცავდა წინა ცხრილში წარმოდგენილ რეკომენდაციებს და ამიტომ ქვემოთ მხოლოდ ის დამატებითი კომენტარებია წარმოდგენილი ცხრილში №4.6, რომლებიც არ იმეორებს წინა კითხვის პასუხად დაფიქსირებულ მოსაზრებებს.

## ცხრილი №4.6

### მასწავლებლების დამატებითი კომენტარები

კლასგარეშე კითხვას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ის უნდა იყოს არაფორმალური განთლების ერთ-ერთი მთავარი საშუალება.

უნდა ხდებოდეს მონიტორინგი კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით

მეტი მოტივაციისთვის საჭიროა გარკვეული თანხით ანაზღაურდეს მასწავლებლის მიერ ორგანიზებული კლასგარეშე ლიტერატურის სწავლება.

სკოლა, მოსწავლე, მასწავლებელი და ოჯახი ეს არის უწყვეტი ჯაჭვი, რომელთა კარგი ურთიერთდამოკიდებულებით შედეგი არ დააყოვნებს.

#### სკოლის გააქტიურება

ჩემს სადამრიგებლო კლასში (I-IV) სისტემატურად ვახორციელებ სხვადასხვა საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობას წიგნიერების კულტურის ასამაღლებლად.

მოსწავლეები ხალისით და აქტიურად არიან ჩართულნი მსგავსი ტიპის ღონისძიებებში და ვფიქრობ, შედეგიც არ მაქვს ურიგო

უნდა ამაღლდეს კითხვის კულტურა, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ მოსწავლეებს შევაცვაროთ კითხვა, რადგან ეს ხელს შეუწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, დამოუკიდებელ და კრიტიკულ აზროვნებას.

## §4.2. ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი

### კვლევის ზოგადი აღწერა, დიზაინი და მეთოდი

იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებულიყო წინა თავებში წარმოდგენილი კვლევების სუბიექტური ინტერპრეტაცია, კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩატარდა 3 ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ იმ პირებთან, ვისაც პირდაპირ ან ირიბად ეხება კლასგარეშე კითხვის საკითხები. პირისპირ ინტერვიუები გაიმართა შემდეგ პირებთან:

**ცხრილი №4.7**

**ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუში მონაწილე რესპოდენტები**

რესპოდენტი	თანამდებობა/სტატუსი
ირმა მალაციძე	ქართველი საბავშვო მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. საბავშვო ლიტერატურის ფონდის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი.
ირინა სამსონია	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, PIRLS-ის კოორდინატორი; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
თათა ჭანტურია	მასწავლებელი; წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის დაწყებით საფეხურზე წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი; პროექტი G-PRIED-ში წიგნიერების მიმართულების ექსპერტი;

შედეგად სადისკუსიო გეგმა, რომელიც მოიცავდა პრეინტერვიუს, რომლის დროსაც რესპოდენტებს განემარტათ ინტერვიუს მიზანი. ინტერვიუს დროს რესპოდენტებისთვის შესასწავლი საკითხის ირგვლივ დაისვა ღია კითხვები. კითხვების აგების პრინციპი კვლევის ეტაპებისა და შესაბამისი თავების იდენტური იყო. ინტერვიუ ირება ჩატარდა 2019 წელს.

## 1. კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობა

ა) თქვენი აზრით, რა ფუნქცია აქვს კლასგარეშე კითხვას? რა არის მისი მთავარი ამოცანა?

რესპოდენტები უსვამენ ხაზს უსვამენ კლასგარეშე კითხვის უდიდეს მნიშვნელობას. „კლასგარეშე კითხვა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაიფართოონ თვალსაწიერი, შეიძინონ კითხვის უნარები“. ისინი ერთხმად თანხმდებიან იმაზე, კლასგარეშე კითხვა დამოკიდებულ, თავისუფალ კითხვას გულისხმობს, ხოლო იმას, რასაც „არ ვახვევთ ბავშვს თავს, უფრო სასურველი ხდება მისთვის . საბავშვო მწერალი ირმა მალაციძე აღნიშნავს, რომ „ბავშვს ნაკლებად უყვარს ის, რასაც ავალებენ“ კლასგარეშე კითხვა კი იძლევა საშუალებას თავისუფალი არჩევანის გაკეთების, ის არის უფრო მეტად სახალისოც და უფრო კარგ შედეგს ვიღებთ, ვიდრე საპროგრამო მასალისგან.

ამდენად, როგორც ჩანს, რესპოდენტები უპირატესობას ანიჭებენ კლასგარეშე კითხვის ისეთ სახეს, როგორცაა თავისუფალი კითხვა. მეტიც გარკვეულწილად საუბარია იმაზეც, რომ კლასგარეშე კითხვას შეუძლია გაცილებით დიდი როლი ჰქონდეს სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების მიღწევაში, ვიდრე თავად საპროგრამო მასალას.

## 2. კლასგარეშე კითხვის ორგანიზება:

ა) თქვენი აზრით, კლასგარეშე კითხვის უნარის განვითარებაზე რა ფაქტორები ახდენს გავლენას და რომელი მიგაჩნიათ უპირატესად? შეაფასეთ როგორია დღეს ოჯახის, მასწავლებლისა და სკოლის ჩართულობა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით?

ბ) შეაფასეთ მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კლასგარეშე კითხვის გაკვეთილები (საგნობრივი, პროფესიული და მეთოდური ცოდნა)

ოჯახი, მასწავლებელი, სკოლა - ეს ის უმთავრესი სამი ფაქტორია, რომლებსაც ასახელებენ რესპოდენტები. აღნიშნავენ, რომ სამივე თანაბრად მნიშვნელოვანია, თუმცა საბავშვო მწერლის ირმა მალაციძის აზრით, „უფრო დიდი წილი აქვს მასწავლებელს, ვიდრე ოჯახს“. ოჯახში, სადაც კითხულობენ ბევრს, ბავშვიც ახლოსაა

წიგნთან და უყვარს კითხვა, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ოჯახი არ არის წიგნიერი და ბავშვიც ნაკლებადაა დაინტერესებული კითხვით, თუმცა მასწავლებელს შეუძლია ამ ყველაფრის კომპენსირება. სწორედ ამიტომაც მასწავლებლის ფაქტორი უმნიშვნელოვანესი.

თათა ჭანტურიას თქმით, დღეს მშობლები ჩართულნი არიან შვილებისთვის კითხვის უნარის განვითარების სხვადასხვა აქტივობაში, მაგრამ ეს არ კმარა, რადგან მნიშვნელოვანია ის „თუ როგორ ერთვებიან“. წიგნიერების ექსპერტი მიიჩნევს, რომ „მშობლის გადაწყვეტილებით არ უნდა ხდებოდეს შვილისთვის წიგნის ყიდვა. სიამოვნება იწყება იქიდან, რომ ბავშვი არის მთავარი „აქტორი“, რაც ნიშნავს იმას, რომ მშობელმა თუ მასწავლებელმა უნდა ასწავლო მას, თუ როგორ მივიდეს წიგნის მაღაზიამდე, როგორ შეარჩიოს წიგნი, რა ჰკითხოს კონსულტანტს“. მშობელმა უნდა აცადოს თავად შეარჩიოს შვილმა წიგნი, მაგრამ საჭიროა მისცეს მიმართულება და დაუსვას სწორი კითხვები. მაგალითად, მოსწონს თუ არა მას შრიფტის ზომა და ა.შ. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, რომ „მშობელმა ასწავლოს შვილს ის „პატარა გასაღებები“, რომლითაც ამოიცნობს მისთვის სასურველ წიგნს“. ისევ აქ შემოდის მასწავლებლის, როგორც კლასგარეშე კითხვის პროცესის ხელმძღვანელი როლი, რადგან სწორედ, მასწავლებელმა უნდა მისცეს მშობელს სწორი ინსტრუქციები, მიმართულებები. თათა ჭანტურიაც ადასტურებს, რომ მასწავლებელს ნამდვილად უწევს იტვირთოს ხანდახან მშობლის მასწავლებლის როლიც. კერძოდ, რესპოდენტი ამბობს, როდესაც მშობლებისთვის კითხვის მიმართულებით ინსტრუქციები მიუცია, ისინი ზოგჯერ „პირველადმოჩენის“ ინტერესით ისმენენ ხოლმე. მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად ხდებოდეს დღეს მშობლების სკოლაში მოწვევა. კერძოდ, წაუკითხონ მოსწავლეებს საყვარელი ტექსტები, მოიფიქრონ პატარა აქტივობები, რაშიც მასწავლებელმა შეუძლია გაუწიოს დახმარება. ეს თავისთავად კიდევ ერთხელ ადასტურებ იმას, რომ უნდა გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა და მათთვის საჭირო ინსტრუქციების მიცემა, რათა შინ კითხვა სწორად წარიმართოს.

საბავშვო მწერლის თქმით, კლასგარეშე კითხვა ეფექტიანად რომ წარიმართოს, პირველ რიგში, მოსწავლეს უნდა შეუქმნას მასწავლებელმა მოტივაცია. როდესაც მოსწავლეს რაღაცას „უნდა“-თი ვაკეთებინებთ, მოსწავლის მოტივაციის ალბათობა

მცირდება, მას უნდა მივცეთ მეტი თავისუფლება და შევუწყოთ ხელი შესაბამისი გარემოთი, შესაბამისი საინტერესო აქტივობებით (თამაშით, და ა.შ.), რომ მოსწავლე მეტად დაინტერესდეს.

დაახლოებით იმავე აზრისაა თათა ჭანტურია, მისი თქმით, დღეს ითვლება, რომ „ბავშვებს კითხვა არ უყვართ, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს ბავშვების ბრალი იყოს“. რესპოდენტი მიიჩნევს, რომ სწორედ უფროსებისა და მასწავლებლების მიერ არის არასწორად დაგეგმილი კითხვის პროცესი სკოლებში. მოსწავლეებმა „არ იციან როგორ უყვარდეთ კითხვა“. ის ნაბიჯები, რომლებსაც მასწავლებლები დგამენ ძირითადად მიმართულია იმისაკენ, რომ უბრალოდ ასწავლონ მოსწავლეებს კითხვა და არა იმ მიმართულებით, რომ შეაყვარონ მათ კითხვა. ასწავლიან იმას, რომ როგორმე მასწავლებლამდე მიიტანონ წაკითხული და „ვალი მოიხადონ“ , ამის შემდეგ კი ერთმანეთს ემშვიდობებიან „წაკითხულიც ტექსტიც და მოსწავლეც“. ეს პროცესი დაკავშირებულია „წვალეხასთან“ ამაში კი ვცოდავთ ჩვენ მასწავლებლები და მშობლები“.

მაგალითად, ალან კროუფორდი, რომელიც გვიამბობს კულტურული კითხვის შესახებ, გვიჩვენებს გამოვიყენოთ „კითხვის 15 წუთი“. როდესაც გაისმება სკოლაში ზარი, ყველა იწყებს კითხვას, მათ შორის დარაჯიც, მზარეულიც და ა.შ. მსგავსი აქტივობა გამოუყენებია ინტერვიუერს და დადებითი ეფექტი მოუტანია. კერძოდ, ეს არის ძალიან გადამდები, ყველას უნდა რომ ამ „ჯადოქრობის ნაწილი გახდეს“. ბავშვს მოსწონს ყველაფერი, რასაც თამაშის ხასიათი აქვს. ამიტომ რესპოდენტი მშობლებსაც ურჩევს, რომ აქტიურად გამოიყენონ „შინ კითხვის 15 წუთი“. ამას არ სჭირდება განსაკუთრებული რესურსები და 15 წუთი არასდროს არ აზარალებს საქმეს. „თუ სწორად დაიგეგმება კითხვა, ექნება სისტემური ხასიათი და დავუკავშირებთ კითხვას ბავშვისთვის საინტერესოს (მაგალითად, კომპიუტერს, ხატვას და ა.შ) მნიშვნელოვან შედეგს მივალწევთ“ - ამბობს წიგნიერების ექსპერტი თათა ჭანტურია. მისივე თქმით, „ბავშვები დააყენონ ეპიცენტრში და ჰკითხოთ რა აინტერესებთ. ნებისმიერ რამ, რასაც დაასახელებენ, უნდა გამოიყენოს მასწავლებელმაც და მშობელმაც „კაუჭად“ და ამ კაუჭს „გამოსდოს“ ღირებული, მნიშვნელოვანი“. აღსანიშნავია, რომ იმავე აზრისაა მწერალი ირმა მალაციძე, რომ მოსწავლის ინტერესები უნდა დაუკავშირდეს კითხვას.

პედაგოგმა თათა ჭანტურამ ხაზი გაუსვა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. კერძოდ, როდესაც მასწავლებლის, როგორც კლასგარეშე კითხვის ხელმძღვანელის როლზე ვსაუბროთ, მივდივართ ერთ მთავარ პრობლემამდე: „სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ბევრმა მასწავლებელმა გაიგო და იყენებს კიდევ, მაგრამ მთავარი პრობლემა გაჩნდა ის, რომ იმდენად ბევრს ფიქრობენ ფორმაზე და ბევრი რესურსის გამოყენებაზე, რომ შინაარსს კარგავენ“. იმდენად მრავალფეროვან და ბევრ მეთოდს იყენებენ, რომ საბოლოოდ სასწავლო მიზანი „გაეხნათ“. ფაქტობრივად, „დღეს ფორმა ყლაპავს შინაარსს, გადაჭარბებულია ფორმა და მიზანიც დაკარგულია, თუმცა მანამდე პირიქით იყო - ფორმის პრობლემა მეტად იდგა“. ეს პრობლემა დგას არა მარტო მასწავლებლების შემთხვევაში, არამედ მშობლებთანაც. რესპოდენტს საილუსტრაციოდ მოჰყავს ის შემთხვევა, როდესაც მშობელი ძალიან ბევრი წიგნს ყიდულობს ეს არ ნიშნავს, რომ მან ყველაფერი გააკეთა. ბავშვმა, რომლისთვისაც ეს წიგნები იყიდეს, შესაძლოა არცერთიც მათგანი არ წაიკითხოს სწორედ იმის გამო, რომ „ფორმა და მიზანი დაკარგულია, არ არის მოსწავლისთვის სწორად მიწოდებული“. სწორედ ამიტომ, მიიჩნევს რესპოდენტი, რომ მასწავლებელს სჭირდება დახმარება, რომ შინაარსი არ დაარღვიოს. შესაძლოა სულ სამი აქტივობა გამოიყენოს, მაგრამ მიზანთან იყოს ძალიან ახლოს. მასწავლებლებს უნდა დავეხმაროთ, რომ „შინაარსისა და ფორმის სწორი სინთეზი“ შეძლონ.

ფორმისა და შინაარსის სწორი სინთეზის მნიშვნელობაზე საუბროს ირინა სამსონია: „მასწავლებელს შეუძლია ერთი შეხედვით უინტერესო ტექსტი ისე სწორი მეთოდით მიაწოდოს მოსწავლეს, რომ დაინტერესოს ან პირიქით, უინტერესო გახადოს მოსწავლისთვის ტექსტი, თუ მას ახსნის სქემატურად, ტრადიციულად“ და მხოლოდ ფაქტობრივ მასალაზე აქცენტით.

თათა ჭანტურია კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე აკეთებს აქცენტს: „იმისთვის, რომ კითხვის პროცესი ეფექტიანად წარიმართოს, აუცილებელია, რომ წაკითხულ წიგნზე მოხდეს „რეფლექსია“, მსჯელობა. განსაკუთრებით თინეიჯერების ასაკში აინტერესებთ ისეთი თემები, რომლებიც საჭიროებს ჩაღრმავებას და მსჯელობას. ხშირია ხოლმე, რომ წაიკითხავენ რაიმე წიგნს

მოსწავლეები და ამ წიგნიდან საკმაოდ „მსუყე თემები“ ღიად რჩება. ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელს მუდმივად ჰქონდეს რეფლექსია, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვაგვარი. ეს არ უნდა იყოს შინაარსის დონეზე, მაგალითად „მომიყევი“ (მხოლოდ წაკითხულის თხორბა), შესაძლებელია მოსწავლეებმა გააკეთონ პრეზენტაციები, მოაწიონ დისკუსიები და ა.შ. იმისთვის, რომ „მკითხველებად ჩამოყალიბდნენ მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლონ წაკითხულის ინტერპრეტაცია და არა მხოლოდ ტექსტის ცოდნა”

საბავშვო მწერალი ირმა მალაციძე აღნიშნავს, რომ მასწავლებლები განუწყვეტლივ ეკონტაქტებიან და ეკითხებიან რჩევებს, ან იწვევენ ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა „შეხვედრა მწერალთან“, „მკითხველთა თეატრი“ , ყოფილა შემთხვევა, როდესაც სპეციალურადაც კი დაუწერია პიესები და ა.შ. მეტიც ზოგჯერ რეგიონებში იყენებენ მწერლების ვიდეო ჩართვებსაც. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოსწავლე/მსმენელი არ ყოფილა მზად მსგავსი ტიპის აქტივობებისთვის, შეიმჩნეოდა მათი ნაკითხობის საკმაოდ დაბალი დონე, თუმცა ამის განზოგადება შეუძლებელია, რადგან დახვედრია საკმაოდ ნაკითხი მოსწავლეები და საინტერესო დისკუსია ჰქონია მათთან.

ფაქტია, რომ **მასწავლებლებს ნამდვილად სჭირდებათ მხარდაჭერა ან გადამზადება** ამ მიმართულებით. სკოლაში, სადაც რესპოდენტი თათა ჭანტურია ასწავლის, არის გამოყოფილი შტატი წიგნიერების მიმართულებით, რომლის ხელმძღვანელიც თავადაა. რესპოდენტი აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, სხვა სკოლებში არ შეხვედრია მსგავსი შტატია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად ორგანიზებასაც, კერძოდ, ეს სამსახური „გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დაეხმაროს, რომ გაკვეთილი იყოს მრავალფეროვანი, საინტერესო, სხვადასხვა აქტივობებითა და ღონისძიებებით დატვირთული; ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებას”, რითაც ამოწმებენ მოსწავლეების კითხვისა და წაკითხული ტექსტის გააზრების უნარებს. ტესტირების შედეგების საფუძველზე ხდება შემდგომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა. გადა ამისა, სამსახურის თანამშრომელი აქტიურად ზრუნავს სკოლის ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის შევსებაზე მკითხველთა ინტერესების შესაბამისად.

გარდა ამისა, შეიმჩნევა სკოლების ნაკლები ჩართულობა ამ პროცესში. კერძოდ, ვინაიდან სკოლა არაა დაინტერესებული საკითხავი ლიტერატურის შეძენით, ხოლო მასწავლებლებს ნაკლებად შეუძლიათ ლიტერატურის შეძენა, მწერალი აწვდის მათ ელექტრონულ რესურსებს, რომელიც საკმაოდ დიდი ბაზა არსებობს და მასწავლებლებს სხვადასხვა მიზეზის გამო (კომპიუტერული უნარები და ა.შ.) უჭირს მოძიება. გარდა ამისა, მისი თქმით, იქმნება ვებგვერდი: WigniPedia, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა მასალა და მასწავლებელს უფრო გაუადვილდება კლასგარეშე კითხვის პროცესის ამ მიმართულებით უკეთ წარმართვას.

რესპოდენტები ერთხმად თანხმდებიან, რომ ამ პროექტმა შექმნა ზღვა რესურსი. რესპოდენტები თავად არიან G-PRIDE-ის პროექტის მონაწილეები. G-PRIDE პროექტის ფარგლებშიც შეიქმნა წიგნიერების ტრენინგ მოდულები. 600-მდე სკოლა იყო ჩართული, წარმოებდა საკლასო დაკვირვებები და მასწავლებლებს მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე ჰქონდათ უკუკავშირი, შეიქმნა ვიდეო გაკვეთილები, დიაგნოსტიკური ტექსტები, რომლებსაც ბევრ სკოლაში აქტიურად იყენებენ და ა.შ. თათა ჭანტურიას თქმით, ამ პროექტმა რეალურად ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებად. იყო სრული „რეგრესიცი“ ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებლების შემთხვევაში, რადგან აქ სულ სხვა სპეციფიკაა, მაგრამ საბოლოო ჯამში პროექტი მაინც მნიშვნელოვანი იყო, რადგან შეცვალა ბევრი „მასწავლებლის ცნობიერება, უფრო თავდაჯერებულებიც გახდნენ“.

მწერლის აზრით, მნიშვნელოვანია საბავშვო პერიოდიკა, რომელიც ირიბი გზაა ლიტერატურასთან, წიგნთან მისაყვანად და კარგი რესურსია მასწავლებლისთვის. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ვერ დავიკვებნით საბავშვო პერიოდიკით. მაგალითად, 2006 წელს სახალხო ბანკმა დააფინანსა და გამოსცა „ალმანახის“ რამდენიმე ნომერი, მაგრამ შეჩერდა.

სამივე რესპოდენტი აღნიშნავს, რომ გარემო და დამოკიდებულებები მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსწავლის კითხვის უნარების განვითარებაზე. მაგალითად, ფიქრობენ, რომ ბიბლიოთეკები უნდა იყოს უფრო მეტად „ფერადი“,

რათა კითხვის პროცესი არ იყოს „ნაცრისფერი“ და მოსწავლეებს არ ჰქონდეთ შიში. მოეწყოს საკლასო ბიბლიოთეკები.

ამდენად, რესპოდენტების მიერ გამოიკვეთა ყველა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაზე, თუმცა ხაზგასმით აღინიშნა მათ მიერ, რომ გვხვდება ამ მიმართულებით გარკვეული ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას/გამოსწორებას. მაგალითად, მშობელთა სწორი ჩართულობა და ინფორმირება; მასწავლებლის მიერ კლასგარეშე კითხვის გაკვეთილებისა და აქტივობების სწორად დაგეგმვა, სკოლის ჩართულობის გაზრდა და გარემო პირობების გაუმჯობესება. ასევე გამოიკვეთა სკოლებში კლასგარეშე კითხვის/წიგნიერების მიმართულებით შტატის/სამსახურის გაჩენის აუცილებლობაც.

**გ) რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლე დავაინტერესოთ საკითხავი მასალით? როგორ შევუძრჩიოთ წიგნი?**

სამივე რესპოდენტი თანხმდება იმ საკითხზე, რომ მასწავლებელი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შერჩევისას მხოლოდ დამხმარის როლში უნდა იყოს და ასევე, საუბრობენ იმაზე, რომ მასწავლებლები ნაკლებად ითვალისწინებენ თანამედროვე ბავშვის ინტერესებს და ასევე, ნაკლებად იცნობენ თანამედროვე ლიტერატურას, რაც განაპირობებს იმას, რომ წიგნის შერჩევისას ძირითადად შემოიფარგლებიან კლასიკით.

თათა ჭანტურიას თქმით, საკითხავი მასალის შერჩევისას ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. „თუ წიგნი არის სქელტანიანი, წვრილი შრიფტით, მოსწავლეები მაშინვე აბრუნებენ თაროზე“. რაც არ უნდა ვურჩიოთ, რომ კარგი წიგნია, ემინიათ. უფროსებს ხშირად ჰგონიათ, რომ რაც მათ ასაკში იყო საინტერესო და რაც მას უყვარდა მაგალითად „სამი მუშკეტერი“, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ იგივე უნდა შესთავაზონ მოსწავლეებსაც. აქ გასათვალისწინებელია, რომ იცვლება ინტერესები თაობების, იცვლება ზოგადად კითხვისადმი დამოკიდებულებაც. მოსწავლეებს გაცილებით მრავალფეროვანი ინტერესები აქვთ და საკითხავია რამდენად ვუწყობთ ხელს, რამდენად აინტერესებს მოსწავლეს ის, რასაც ვასწავლით, რამდენად ვუკმაყოფილებთ მათ ამ „შიმშილს“. პედაგოგი ამბობს, რომ იმისთვის, რომ გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები, მათ სთხოვს, რომ ბარათებზე დაწერონ

რა წიგნები აინტერესებთ. შესაბამისად, სკოლის ბიბლიოთეკაში ორი მიმართულებით არის წიგნები დალაგებული: ის წიგნები, რომლებსაც ურჩევნ მშობლები და მასწავლებლები და ის წიგნები, რომლებსაც არჩევნ თავად მოსწავლეები. რესპოდენტი აცნობიერებს იმას, რომ მოსწავლეების მიერ შერჩეული ტექსტები შესაძლოა, იყოს ნაკლებად ღირებული, მაგრამ „თუ გვინდა რომ ბავშვს კითხვა სიამოვნებად ექცეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი ინტერესების გათვალისწინება. თუ გვინდა, რომ მათ ტკბობა დაიწყონ ღირებული ლიტერატურით, უნდა გავითვალისწინოთ მათი ინტერესები იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინტერესები არ იქნება თანხვედრაში ჩვენს გემოვნებასთან და იყოს მდარე. მხოლოდ მასწავლებლის სწორი ჩარევით და დახმარების საშუალებით ეს იქნება, ხიდი ბავშვის ნამდვილ ლიტერატურასთან მისასვლელად”.

საბავშვო მწერალ ირმა მაღაციძის თქმით, არა ერთი შემთხვევა შეხვედრია, როდესაც მასწავლებლები არასწორად ურჩევნ საკითხავ ლიტერატურას მოსწავლეებს. მოსწავლეთა სახლში ბავშვები ძირითადად მიდიან იმიტომ, რომ სკოლაში დაავალეს რაიმეს წაკითხვა, ისე კი ნაკლებად კითხულობენ. იმას, რომ მოსწავლისთვის კითხვა არ უნდა ატარებდეს „დავალების” ხასიათს, მით უფრო, მასწავლებელი არ უნდა იყოს „დავალების მიმცემი არდადეგებზე” , აღნიშნავენ დანარჩენი რესპოდენტებიც.

ირინა სამსონიას აღნიშნავს, რომ კლასგარეშე საკითხავი მასალის შერჩევას მასწავლებელი უნდა იყოს მხოლოდ დამხმარე. მასწავლებელმა შეისწავლოს მოსწავლის ინტერესები და ურჩიოს ინტერესების გათვალისწინებით. მიზანშეუწონლად მიაჩნია რესპოდენტს მოსწავლისთვის გამზადებული წასაკითხი წიგნების სიის ჩამონათვალის მიცემა, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს ყველასთვის. შესაძლებელია, რომ იყოს მხოლოდ საკითხავი მასალის გარკვეული „ბანკები” შესაბამისი ანოტაციებით და ამ სიიდან ურჩიოს მასწავლებელმა მოსწავლეს მათი ინტერესის შესაბამისი ლიტერატურა. და რაც ყველაზე მთავრია, არ უნდა იყოს მასწავლებელი ორიენტირებული წაკითხული წიგნების რაოდენობაზე. თათა ჭანტურიას, ასევე, არასწორად მიაჩნია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს დავალებად მისცეს ერთი კონკრეტული წიგნის წაკითხვა. მისი თქმით,

შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა კლასში ხმამაღლა კითხვის მეთოდით წაიკითხოს ერთი წიგნი, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი, დამოკიდებული კითხვისთვის დავუტოვოთ მოსწავლეს არჩევანი და თავად შეარჩიოს მან ლიტერატურა. ე.ი., მასწავლებელმა უმჯობესია, შევთავაზოთ არა ერთი, არამედ რამდენიმე წიგნი, და ამ სარეკომენდაციო სიიდან შემდგომ თავად შეარჩევს მოსწავლე მისთვის საინტერესო წიგნს, მაგრამ აღმოჩნდება ისე, რომ ამ შეთავაზებული წიგნებიდან არცერთი არ მოეწონა და სამაგიეროდ აღმოაჩინა სხვა წიგნი, ესეც მნიშვნელოვანია.

ორმა მაღაციძის თქმით, მასწავლებლები მოსწავლეებს ნაკლებად ურჩევენ თანამედროვე ლიტერატურას, არადა ძლიან ბევრი წიგნი არის ისეთი (მაგალითად, ზაზა თვარაძე...), რომ „დანაშაულია“ ის, რომ მოსწავლეს იმ ასაკში არ წააკითხო, რადგან იმ ემოციით ვეღარასდროს წაიკითხავს იმ კონკრეტულ წიგნს. დაახლოებით იმავეს ამბობს თათა ჭანტურიაც: „ბევრი მასწავლებელი, სამწუხაროდ, ჯერ ისევ ერთი და იმავე ლიტერატურით ხელმძღვანელობს და ჯერ ისევ ურჩევს მოსწავლეებს იმას, რაც ბავშვობის დროს ჰქონდა წაკითხული და რაც კლასიკაა. ურჩევნიათ წააკითხონ ის ლიტერატურა რომელიც „აპრიორი აღიარებულია“. დღეს ბევრი არაქართული ტექსტი ითარგმნა და დაიწერა ბევრი ახალი. საკმაოდ ბევრი რესურსი არსებობს, რომ მოსწავლეს შევურჩიოთ ლიტერატურა, მაგრამ მასწავლებლები, სამწუხაროდ, ვერ არიან „ყოჩაღები“ ამ საბავშვო ტექსტების ცოდნაში. სწორედ ამიტომ, რესპოდენტი მიიჩნევს, რომ მისი შტატი (წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი) სკოლაში ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თავად კითხულობენ, ურჩევენ მასწავლებლებს და შემდეგ მასწავლებლები ახერხებენ, რომ სწორად შეურჩიონ საკითხავი ლიტერატურა მოსწავლეებს. საკითხავი ლიტერატურის შერჩევისას კი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ თემატიკა იყოს მრავალფეროვანი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს სწორად „შეფუთული“ წიგნი მიეწოდოს. კერძოდ, წიგნიერების ექსპერტი მასწავლებლებს ურჩევს, რომ გამოიყენონ სხვადასხვა მინიშნებები „ამ წიგნზე ფილმი გადაიღეს“, „შენს ასაკში ეს წიგნი .... მოსწავლეს ჰქონდა წაკითხული“ და ა.შ.

ამდენად, რესპოდენტებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც გამოავლინა ჩატარებულმა კვლევებმა და მათი შემოგვთავაზეს პრობლემის გადაჭრის გზები. კერძოდ, იმისთვის, რომ მოსწავლეს შეეაყვაროთ კითხვა, მნიშვნელოვანია, სწორად მოხდეს ლიტერატურის შერჩევა. ლიტერატურის შერჩევის პროცესში კი მასწავლებელს დამხმარე როლი უნდა ჰქონდეს, უყვარდეს საბავშვო ლიტერატურის კითხვა და ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია წიგნის შერჩევის. ამასთანავე რეკომენდირებული ლიტერატურა მრავალფეროვანი უნდა იყოს, რათა მოსწავლის გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაზეც მოეხდინოს ზეგავლენა.

### 3. კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმები

ა) კლასგარეშე კითხვა ნორმატიულ დოკუმენტებში

ბ) სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასება

გ) სახელმწიფოს/განათლების სამინისტროს როლი კლასგარეშე კითხვის მიმართულებით

ზემოთ მსჯელობიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში კლასგარეშე კითხვის როგორც საგნის ან სავალდებულოდ დამატება არ არის სწორი. ეროვნული სასწავლო გეგმა უფრო ზოგადი ხასიათის უნდა იყოს და სკოლას ჰქონდეს მეტი თავისუფლება, რომ კლასგარეშე კითხვა მხარდაჭერილი იყოს სწორედ სკოლის ბიუჯეტით. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში კი ირინა სამსონიას თქმით, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ მასწავლებელი ამ პროცესის ხელშემწყობი უნდა იყოს.

მეტად საინტერესო იყო რესპოდენტების პოზიცია სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ყველა მათგანი ერთხმად მიიჩნევს, რომ საჭიროა სახელმძღვანელოების მოდიფიცირება და თანამედროვე მოთხოვნებთან დაახლოება.

ირინა სამსონიას, საკმაოდ მძაფრად სვამს სასკოლო სახელმძღვანელოების ცვლილების აუცილებლობის საკითხს. კერძოდ, „სახელმძღვანელოში მოცემული ღონისძიებები, ტექსტები, აქტივობები საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო მოთხოვნებს” და ბავშვს არ „ვამუშავებთ” სათანადოდ, თითქოს დანაშაულია

მოსწავლისთვის „დროის წართმევა“. რა თქმა უნდა, ეს აისახება შედეგად ყველაფერზე (მაგალითად, PIRLS-ის შედეგებზეც და ასეთი შედეგების ძირითადი პრობლემა არის დამოკიდებულება. ის, რომ „მოსწავლეებს არ აქვთ საერთაშორისო მოთხოვნის შესაბამისად საინფორმაციო ტექსტების ანალიზისა და წაკითხვის უნარი“. სახელმწიფოს მიერ წაყენებული მოთხოვნები არ შეესაბამება საერთაშორისოს). რესპოდენტის აზრით, სახელმძღვანელოები ძალიან არის გამარტივებული: ფაქტობრივად, მე-7 კლასის სახელმძღვანელო შეესაბამება მე-4 კლასისას. ვერ ვიტყვით იმას, რომ არ აქვს საქართველოს რესურსი, რომ შექმნას კარგი სახელმძღვანელოები, პირიქით I-IV კლასის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ჩართული იყო რესპოდენტი და იყო წიგნები, რომლებიც გამოირჩეოდა „განსხვავებული ხედვებით“. თუმცა, მასწავლებლები „მიჯაჭვულები არიან სახელმძღვანელოებზე“ და გარკვეული თაობა ვერ გამოვიდა ვერაფრით ამ მიჯაჭვულობიდან. მასწავლებლები ტრადიციულად მიჰყვებიან წიგნს და იმ დავალებებს, რომლებიც წიგნშია. ირინა სამსონია, სწორედ ამიტომ მიიჩნევს საჭიროდ, რომ „ამ ეტაპზე, რომ სახელმძღვანელოებში აისახოს დამხმარე რესურსები და იტვირთოს ეს ფუნქცია სასკოლო სახელმძღვანელომ“. გარდა ამისა, სწორედ „სახელმძღვანელომ უნდა იტვირთოს მეთოდური გზამკვლევის ფუნქცია. ამდენად რესპოდენტი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ „სახელმძღვანელოებმა უნდა იტვირთოს მთავარი როლი, რადგან დღეს ეს მოცემულობა გვაქვს და ხვალ თუ სხვა დამოკიდებულება იქნება“, მაშინ ცვლილებების განხორციელება სხვა მიმართულებით გახდება საჭირო.

დაახლოებით იმავე აზრისაა წიგნიერების ექსპერტი თათა ჭანტურიაც: „იყო სახელმძღვანელოები, რომლებიც G-PRIDE-ს მხარდაჭერილ მეთოდიკას იმეორებდა. ამ სახელმძღვანელოს მისცეს გრიფი და შემდგომ ისევ ჩამოართვეს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას, რომ ჰკითხოთ, იტყვიან, რომ სიახლეებისთვის მზად არიან, მაგრამ ამ მასწავლებლების უმრავლესობისათვის დაუძლეველ ბარიერად იქცა ეს სახელმძღვანელო, რატომ? „სიახლეების შიში აქვთ მასწავლებელს“, „ბლოკავს ყოველგვარ სიახლეებს და გატკეპნილი, გაცვეთილი გზა ურჩენია რაც მისმა მასწავლებელმა, ან მისი მშობლის მასწავლებელმა გაიარა“ სიახლეს სჭიდება მეტი კომპეტენცია, თავდაჯერებულობა, სიმამაცე, და მზადაც

უნდა იყო მარცხისთვის. ამიტომ ლოგიკურია ეს დამოკიდებულება. ამ სახელმძღვანელოს მიდგომა იყო „მთელი-ნაწილი-მთელი“, რაც ბავშვზეა მორგებული, თამაშით ხდება სწავლა და მეტ არტისტიზმს მოითხოვს მასწავლებლისგან. თუ აქვს მასწავლებელს კომპეტენცია, დიდ რესურსს არ საჭიროებს. ნებისმიერი რამე შეიძლება აქციოს სასწავლო რესურსად მასწავლებელმა, არავინ ეუბნებათ მათ, რომ სახელმძღვანელოს არ გადაუხვიონ, მას შეუძლია შეავსოს მრავალფეროვანი მასალით, მაგრამ თუ სახელმძღვანელოს უინტერესო ტექსტს ისევ უინტერესო ტექსტით ჩაანაცვლებ, მაშინ არაფერი შეიცვლება. საჭიროა, რომ მასწავლებელი მუდმივად კითხულობდეს საბავშვო ტექსტებს, უყურებდეს ანიმაციებს, და თავადაც საინტერესო იყო მოსწავლისთვის”.

რაც შეეხება სახელმწიფოს მხარდაჭერას, ირინა სამსონია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია „მასწავლებლებისთვის შეიქმნას სივრცე, სადაც თავმოყრილი იქნება მათთვის საჭირო ყველა რესურსი კონკრეტული მიმართულებების მიხედვით. შესაძლებელია, მასწავლებლებს უჭირთ მოძიება რესურსების, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით (მათ შორის კომპიუტერული უნარები და ა.შ). ამ სივრცეში საჭიროა, არა მხოლოდ თავმოყრილი იყოს მასალები, არამედ მასწავლებლებს შეეძლოთ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება და ა.შ. რესპოდენტის ინფორმაციით, სამინისტროს უკვე დაწყებული აქვს ამ პროექტის განხორციელება. მისივე თქმით, მსგავსი ვებგვერდებია <http://www.readwritethink.org/> <https://www.readingrockets.org/> <https://www.reading.com/> რომლებმაც, მას როგორც მასწავლებელს, მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა. მიიჩნევს, რომ საჭიროა მასწავლებლები არ იყვნენ მხოლოდ „მიმღების როლში“ და მოხდეს მათი გააქტიურება. თათა ჭანტურიაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს შეიქმნას რაღაც „რესურსების არსენალი“, რასაც ძალიან აქტიურად ითხოვენ მასწავლებლები.

ირინა სამსონია აღნიშნავს, რომ ის ტრენინგები, რომლებიც განხორციელდა და რეფორმა, მნიშვნელოვანი იყო, რადგან საბაზისო დონეზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ამის შემდგომი ეტაპი ახლა არის უკვე ის, რომ „გამოიკვეთოს ახალი საჭიროებები და დიფერენცირებული მიდგომები“. მისი აზრით, ახლა აღარ არის დრო „კასკადური ტრენინგების“. ამ შემთხვევაშიც თანხვედრაშია ირინა სამსონიას

აზრი თათა ჭანტურიას მოსაზრებასთან. თათა ჭანტურიას თქმით, „ახალი სკოლის“ მოდელი მასწავლებლებს უფრო მეტად თავისუფალს გახდით. მასწავლებლების ექსპერტებთან კვირაში რამდენჯერმე შეხვედრა მნიშვნელოვან შედეგს გამოდებს. ასევე, საჭიროა უფრო მეტად წახალისდნენ მასწავლებლები, მეტი პროექტი დაიგეგმოს. სამწუხაროდ, სამინისტროსგან ველოდებით, რომ მოახდინოს რაიმეს ინიცირება და ჩვენ ნაკლებად ვფიქრობთ ინიციატივებზე. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საჭიროა, სამინისტროს ჩართულობა და მხარდაჭერა თუნდაც აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებით, როგორებიცაა წიგნის გამოფენები, სხვადასხვა პროექტები, თუნდაც მაგალითად „ყველაზე წიგნიერის“ მშობლების დაჯილდოება და სხვა პროექტების წამოწყება მეტად წახალისებს წიგნიერების განვითარებას. როცა ამ ყველაფერს აქვს ოფიციალური სახე, სკოლაც უფრო იღებს და არ იკარგება ერთი კონკრეტული მშობლის წამოწყებასავით. ასევე, კარგი იქნება თუ მათივე მხარდაჭერით ხელი შეეწყობა არა სასკოლო, არამედ საკლასო ბიბლიოთეკების მოწყობას”.

ამდენად, ინტერვიუს შედეგები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დისერტაციაში გაუღერებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სასკოლო სახელმძღვანელოების მოდიფიცირების აუცილებლობა, მასწავლებლების კლასგარეშე კითხვის მასალებით უზრუნველყოფა, ეროვნულ და სასკოლო სასწავლო გეგმებში, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ცვლილებების შეტანის საჭიროებები, და რაც ყველაზე მთავარია, მოცემული ეტაპისთვის ისევ სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური ჩართულობა და რაც შეიძლება მეტი ინიციატივები მათი მხრიდან, რადგან, სამწუხაროდ, დღეს მასწავლებელს უჭირს იმ „ტვირთის“ დამოუკიდებლად ტარება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევებით დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებით საფეხურზე კლასგარეშე კითხვა თანამიმდევრული, სისტემატური და მართვადი პროცესი არ არის (ხარისხიანად არ ხორციელდება). თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების ანალიზის საშუალებით მიღებული შედეგების შეჯამების საფუძველზე შესაძლებელია საკვლევი თემის შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

### დასკვნები

1. როგორც დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, კლასგარეშე მუშაობა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. იგი ემსახურება *აღზრდის მთავარ მიზანს, უდიდესი როლი აქვს პიროვნების ჰარმონიული განვითარების საქმეში*, ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო მეცადინეობისას გადაცემული ცოდნის გაღრმავებასა და სხვადასხვა აუცილებელი უნარის გაუმჯობესებას, ზოგადი განათლების სისტემის მიზნების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კლასების კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლების მიერ განისაზღვრა კლასგარეშე კითხვის ამოცანები და მნიშვნელობა, თუმცა შედარებით ნაკლები ყურადღება გამახვილდა კლასგარეშე კითხვის სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. რაც შეეხება ინტერვიუების ანალიზს, რესპოდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კლასგარეშე კითხვას შეუძლია გაცილებით დიდი როლი ჰქონდეს სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების მიღწევაში, ვიდრე თავად საპროგრამო მასალას.
2. უმიზნო და უსისტემო კლასგარეშე კითხვას სარგებლობის ნაცვლად დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. კლასგარეშე საქმიანობის რაციონალურად ორგანიზებაში უდიდესი როლი აქვს სკოლას, მასწავლებელს, ოჯახსა და სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულებს. კვლევით დგინდება, რომ დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის სწორად ორგანიზებისთვის მათი აქტიური, ეფექტიანი ჩართულობა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება ნაკლებად მიმდინარეობს.

3. მოქმედი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, კლასგარეშე საქმიანობის წარმართვა მასწავლებლის ფუნქციაა, რომლის შესრულებასაც ხარისხიანად ვერ ახერხებს კლასგარეშე კითხვის მიმართულებით გადამზადების გარეშე. კვლევებმა აჩვენა, რომ დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებელი კლასგარეშე კითხვის პროცესის ეფექტიანად ხელმძღვანელობისთვის საჭიროებს სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.
4. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები კლასგარეშე კითხვის ორგანიზების წინამოსამზადებელი ეტაპისთვის ახორციელებენ ისეთ საჭირო აქტივობებს, როგორებიცაა არსებული მდგომარეობის დემონსტრირება, წიგნის გაცნობა და წიგნის შერჩევის პროცედურები, თუმცა ნაკლებად ხდება წიგნის შერჩევის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება და მკითხველთა ინტერესების საფუძვლიანად შესწავლა. გარდა ამისა, ყველაზე ნაკლებად ხდება კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით შემუშავებული გეგმის შედეგების განხილვა/მონიტორინგი.
5. კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებლები კლასგარეშე კითხვის გაკვეთილზე აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, თუმცა ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში გამოყენებული მეთოდები გაკვეთილის მიზნის შეუსაბამოა.
6. კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ დაწყებითი კლასების ქართულის მასწავლებლები ძირითადად იყენებენ შეფასების ერთგვაროვან (მაგალითად, მხოლოდ ზეპირი ფორმით გამოკითხვა) მეთოდებს და ზოგჯერ უჭირთ კიდევ შეფასების მეთოდის სახის დასახელება. ყოველივე ეს კი მიანიშნებს იმაზე, ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა წაკითხულის შეფასება/აღრიცხვას, რასაც თავად მასწავლებლებიც ადასტურებენ გამოკითხვისას.
7. საქართველოში დაწყებით კლასებში კლასგარეშე კითხვის განვითარების ეტაპების ანალიზით ცხადი გახდა, რომ კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად წარმართვისა და რეგულირების მნიშვნელოვანი ისტორიული პრაქტიკა არსებობდა: ქართულის პროგრამები, პროფესიული საზოგადოების მიერ შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებულები, სარეკომენდაციო სიები, კლასგარეშე კითხვის დამხმარე მეთოდიკური სახელმძღვანელოები და ა.შ.

8. თანამედროვე ნორმატიულ დოკუმენტების შესწავლითა და ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ კლასგარეშე კითხვა სათანადოდ არ არის დარეგულირებული და არ არსებობს შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს კლასგარეშე კითხვის ეფექტიანად წარმართვას. ხოლო სკოლა და მასწავლებელი დამოუკიდებლად სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შიდა კანონქვემდებარე აქტებში, სასკოლო სასწავლო გეგმაში კლასგარეშე კითხვის პროცესის სრულყოფილად გაწერასა და ზოგადად მის ორგანიზებას. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ დგას საჭიროება იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით დარეგულირდეს კლასგარეშე კითხვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
9. დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალიზითა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებით ცხადია, რომ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი და არ აქვს სისტემური სახე. ზოგიერთ გრიფირებულ სახელმძღვანელოში კი დავალება/რუბრიკაც კი არ იძებნება კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებით. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ თანამედროვე გრიფირებული სახელმძღვანელოები არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტთან. ვინაიდან მასწავლებლები ჯერ კიდევ ზედმიწევნით ტრადიციულად მიჰყვებიან წიგნს და იმ დავალებებს, რომლებიც წიგნშია მოცემული, გამოიკვეთა საჭიროება, რომ ამ ეტაპზე სასკოლო სახელმძღვანელოებში მოხდეს მოდიფიცირება და დამხმარე რესურსების დამატება.
10. საქართველოში სარეკომენდაციო სიებისა და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის წიგნების შექმნასა და მის მეთოდიკას დიდი ისტორია აქვს. შესაბამისად, სწორედ ამ არსებული გამოცდილების გამოყენებითა და სათანადო კვლევების საფუძველზე, საჭიროება დგას პროფესიული საზოგადოების მიერ შეიქმნას/განახლდეს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს უპასუხებს.

11. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების დაწყებით საფეხურზე არ მიმდინარეობს კლასგარეშე კითხვის ორგანიზებული და სისტემატიური პროცესი; ასევე, შესაბამისად, არ არსებობს პროცესის მონიტორინგის მექანიზმები.

### **რეკომენდაციები**

- კლასგარეშე კითხვის რეგულირების მექანიზმების გასაძლიერებლად, საჭიროა კლასგარეშე კითხვის პროცესი დარეგულირდეს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით, სადაც, ასევე, განსაზღვრული იქნება კლასგარეშე კითხვის მონიტორინგის მექანიზმები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სპეციალისტების ჩართულობით სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც პერიოდულობისა და აქტივობების გათვალისწინებით კონკრეტულად გაიწერება შესაბამისი მექანიზმების შეტანის პროცედურები ეროვნულ სასწავლო გეგმაში თუ სხვა ნორმატიულ აქტებში.
- კლასგარეშე კითხვის მიმართულებით მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორიაში არსებული მნიშვნელოვანი მიგნებების წინა პლანზე წამოწევა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, მათი გამოყენება/დანერგვა.
- რაციონალურად ორგანიზებულ კლასგარეშე საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების აღზრდაში, შესაბამისად, აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა შესაბამისი რესურსების გამოყოფა და კომპლექსური რეფორმების გატარება.
- კლასგარეშე კითხვის თანამედროვე ტენდენციებისა და ქართული ისტორიული გამოცდილების გაზიარებით, შეიქმნას შესაბამისი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მშობლების კლასგარეშე კითხვის პროცესში ჩართვასა და კლასგარეშე კითხვის ხარისხიანად განხორციელებას.
- სკოლების საშტატო განრიგის მიხედვით კლასგარეშე კითხვის მიმართულებით სპეციალისტის პოზიციის გამოყოფა ხელს შეუწყობს კლასგარეშე კითხვის სწორად ორგანიზებას.
- მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას სკოლებში ისეთი წიგნიერი გარემოს შექმნა (საკლასო და სასკოლო ბიბლიოთეკები, მკითხველთა კლუბები, ღონისძიებები და ა.შ.), რომელიც მოსწავლეებს გაუჩენს კითხვის ინტერესს.

- დღეს, როცა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ კლასგარეშე კითხვას (მაგალითად, განათლების სფეროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი სწორედ ასეთი ტიპის პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებაზე მოდის), მნიშვნელოვანია, რომ თავად საქართველოს განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს მაღალხარისხიანი კლასგარეშე საკითხავი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემების დაფინანსება (გრანტები, ფონდები, პირდაპირი დაფინანსება და ა.შ.), ხოლო, სახელმძღვანელოების შედგენაში აუცილებელია მონაწილეობას იღებდნენ დარგის სპეციალისტები, მეთოდისტები, პრაქტიკოსი მასწავლებლები, მოსწავლეები და ფსიქოლოგები.
- იმისთვის, რომ მასწავლებელმა სწორად უხელმძღვანელოს კლასგარეშე კითხვის პროცესს, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა კლასგარეშე კითხვის მიმართულებით გადამზადების საკითხებში (ტრენინგ-კურსები, მასწავლებლის მომზადების პროგრამები, კლასგარეშე კითხვის მიმართულებით შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა და ა.შ.)
- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აქტიურად უნდა ატარებდეს კლასგარეშე კითხვის გაკვეთილებს, აწარმოებდეს კლასგარეშე კითხვის მიმდინარეობის აღრიცხვას, რეგულარულად საუბრობდეს მოსწავლეებთან წაკითხული წიგნების შესახებ, აცნობდეს ახალი წიგნების სარეკომენდაციო სიას, არკვევდეს მოსწავლეთა საყვარელ წიგნებს, მწერლებსა და გმირებს. წარმართავდეს მოსწავლეების მუშაობას იმ მიმართულებით, რომ აღზარდოს მათში წიგნების შერჩევის, დამოუკიდებელი კითხვისა და წაკითხულის მიზნობრივად გამოყენების ჩვევები.
- კლასგარეშე კითხვის უკეთ ხელმძღვანელობის მიზნით, მნიშვნელოვანია კლასგარეშე კითხვის მეთოდის ასპექტების მასწავლებლის წიგნში შეტანა;
- კლასგარეშე კითხვის მეთოდის მასწავლებლების უკეთ მომზადების მიზნით, სასურველია, უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა გადამზადების / მომზადების საბაკალავრო თუ სამაგისტრო სასწავლო პროგრამებში კლასგარეშე კითხვის მეთოდის ასპექტების შეტანა / სწავლება;

- კლასგარეშე კითხვის პროცესის ხარისხიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, კლასგარეშე კითხვის ორგანიზებაში ჩართული ყველა პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ სათანადოდ იქნას გაზიარებული კლასგარეშე კითხვის როლი და მნიშვნელობა. ხოლო, მისი ხელმძღვანელობა მოვალეობის ფორმალური მოხდის ნაცვლად, თაოსნობისა და ინიციატივის საქმედ უნდა იქცეს;

## გამოყენებული ლიტერატურა

აქტივობების კრებული მშობელთათვის, I-II კლასის მოსწავლეებისათვის. (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი). მოძიებულია 28 მაისი, 2019, [http://kargiskola.ge/parent/pdf/PECARD\\_1\\_2\\_Geoo.pdf](http://kargiskola.ge/parent/pdf/PECARD_1_2_Geoo.pdf)

აქტივობების კრებული მშობელთათვის, III-IV კლასის მოსწავლეებისათვის. (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი). მოძიებულია 28 მაისი, 2019, <http://kargiskola.ge/teachers/baratebi/mshobelta%20baratebi/QARTULI/III-IV%20klasi/PE%20CARD%203-4%20Georgia.pdf>

აქტივობების კრებული მშობელთათვის, V-VI კლასის მოსწავლეებისათვის. (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი). მოძიებულია 28 მაისი, 2019, [http://kargiskola.ge/teachers/baratebi/mshobelta%20baratebi/QARTULI/V-VI%20klasi/PE%20CARD%205-6\\_Georgian.pdf](http://kargiskola.ge/teachers/baratebi/mshobelta%20baratebi/QARTULI/V-VI%20klasi/PE%20CARD%205-6_Georgian.pdf)

აქტივობა მშობლების ჩართვისთვის სასკოლო ცხოვრებასა და ბავშვის განათლების პროცესში. მოძიებულია 28 მაისი, 2019, <http://kargiskola.ge/parent/pdf/konkurs2.pdf>

ბაქრაძე, ა. (2006). *თხზულებანი*, VIII. თბილისი: მერანი

ბერულავა, გ. (1946). *ნორჩ მკითხველებს წიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ*. თბილისი: საბჭოთა მწერალი

ბოცვაძე, ლ. (1910). კლას გარედ კითხვა. *განათლება*, 10, 450-455

ბოცვაძე, ლ. (1972). *პედაგოგიური თხზულებანი*, I. თბილისი: განათლება

ბურდილაძე, ც. (2005). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა მე-6 კლასისათვის*. თბილისი: ფავორიტი

გაბედავა, გ. (1940). *კლასგარეშე კითხვა ლიტერატურაში*. თბილისი: დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი

გაგუა, კ. (1940). *მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდთა საშუალო სკოლაში*. თბილისი: ტექნიკა და შრომა

გოგიჩაიშვილი, თ. (2001). *მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია*. თბილისი

- გოგებაშვილი, ი. (1907). *დედაენა (საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ)*. თბილისი: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
- გორდელაძე, ნ., და ჩხენკელი გ. (2011). *დედაენა 1*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე ნ., და ჩხენკელი გ. (2011). *დედაენის კვალზე 2*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე ნ., და კუხიანიძე თ. (2011). *ქართული 3*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე ნ., და ჩხენკელი გ. (2011). *ქართული 4*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე ნ., ჩხენკელი გ. და კუხიანიძე თ. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა V კლასი*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე ნ., ჩხენკელი გ. და კუხიანიძე თ. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა VI კლასი*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე, ნ., და ჩხენკელი, გ. (2018). *დედა ენის კვალზე I კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე, გ., და კუხიანიძე, თ. (2018). *ქართული, II კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე, გ., და კუხიანიძე, თ. (2018). *ქართული, III კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე, გ., და კუხიანიძე, თ. (2018). *ქართული, IV კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: ბაკურ სულაკაური
- გორდელაძე, გ., კუხიანიძე, თ., ქიტოშვილი, თ., და ჩხენკელი, გ. (2018). *ქართული ენა და ლიტერატურა - V*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული.

- გორდელაძე, გ., კუხიანიძე, თ., ქიტოშვილი, თ., და ჩხენკელი, გ. (2018). ქართული ენა და ლიტერატურა - VI. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული.
- გორგაძე, გ. (1925). *ახალი წყარო: მესამე საკითხავი წიგნი*. ტფილისი: ამიერ-კავკასიის სააქციო საზოგადოება „ზაკნიგა“
- გულდამაშვილი, ე. (1986). *ქართული ლიტერატურის სწავლება IV კლასში*. თბილისი: განათლება
- გულდამაშვილი, ე. და სოსელია, მ. (2005). *მშობლიური ლიტერატურა*, თბილისი: ინტელექტი
- ეროვნული სასწავლო გეგმა* (2011). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №36/ნ (11.03.2011), თბილისი
- ეროვნული სასწავლო გეგმა* (2017–2023), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ (18.05.2016), თბილისი
- ვაშაკიძე, ლ., თუშური, ლ., და მანჯგალძე, ი. (1991). *მშობლიური ლიტერატურა: მე-5 კლასის სახელმძღვანელო*. თბილისი: განათლება
- თაბორიძე, მ. (1970). ხელოვნების ნიმუშები და სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა VIII-IX კლასებში. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*, №2, 14-21
- თაბორიძე, მ. (1985). *ესთეტიკური აღზრდის პრობლემები ლიტერატურის სწავლებისას VII-X კლასები*. თბილისი: განათლება
- თაბორიძე, მ. (1969). კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით (VIII-X კლასებში). *პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, ტ. 21, 239-248
- თაყაიშვილი, ე. (1907, 14 ივნისი). ქართული ენის პროგრამის გამო. *ისარი*, 2
- თოფურია, ა. (1991). *ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი
- თოფურია, ა. (1969). *ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორია*, ნაწილი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი

- იაშვილი, ი., ქისტაური, ლ., მესხორაძე, ნ., რაზმაძე, ხ., მხეიძე, ნ., და აბესაძე, მ. (2018). *ქართული ენა, II კლასი. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი*, რვეული. თბილისი: ტრიასი
- იაშვილი, ი., ქისტაური, ლ., მესხორაძე, ნ., რაზმაძე, ხ., მხეიძე, ნ., და აბესაძე, მ. (2018). *ქართული ენა, III კლასი. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი*, რვეული. თბილისი: ტრიასი
- იაშვილი, ი., ქისტაური, ლ., მესხორაძე, ნ., რაზმაძე, ხ., მხეიძე, ნ., და აბესაძე, მ. (2018). *ქართული ენა, IV კლასი. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი*, რვეული. თბილისი: ტრიასი
- კაკაბაძე, ე. (1966). *კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლაში*. თბილისი: განათლება
- კაკაბაძე, ე. (1964). კლასგარეშე კითხვა ქართულ ლიტერატურაში. *პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, ტ. 17, 475-498
- კაკაბაძე, ე. (1966). *კლასგარეშე კითხვის შინაარსი და ორგანიზაციის ძირითადი ფორმები ქართულ ლიტერატურაში V-VIII კლასებში*. თბილისი
- კაკაბაძე, ე. (1962). კლასგარეშე კითხვის საკითხები (კლასგარეშე კითხვის თავისებურებანი V კლასში). *პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, ტ. 15, 337-357
- კაკაბაძე, ე. (1964). კლასგარეშე კითხვა ქართულ ლიტერატურაში (VII კლასი). *პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, ტ. 17, 475-498
- კაკაბაძე, ე. (1961). კლასგარეშე კითხვა III-IV კლასებში. *პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, ტ. 14, 157-180
- კაკაბაძე, ე. (1959). კლასგარეშე კითხვის შესახებ დაწყებით სკოლაში. *კომუნისტური აღზრდისთვის*, 12, 3-7;
- კაკაბაძე, ე. (1965). *რა წავაკითხოთ ბავშვებს*. თბილისი: ნაკადული
- კლასგარეშე კითხვა*. (1970). თბილისი

*კლასგარეშე კითხვა: ლიტერატურა სარეკომენდაციო სია V-VIII კლასების სასწავლო საგნების მიხედვით. (1970). თბილისი*

*კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: 11-წლიანი სწავლების მე-4 კლასის მოსწავლეთათვის. (1989). თბილისი: განათლება*

*კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა VII კლასი. (1992). თბილისი: განათლება*

კომენსკი, ი.ა. (1949). *დიდი დიდაქტიკა*, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, თბილისი: საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი

კუტალაძე, ი. (2013). *PIRLS 2011 წიგნიერება*. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასზე მოქმედი ფაქტორები (ანგარიში). თბილისი: გამოცდების ეროვნული ცენტრი მოძიებულია 5 მარტი, 2018,

[https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pirls\\_2011\\_2013.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf)

*მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2014)*. საქართველოსა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება (ბოლო ცვლილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №39/ნ 2014 წლის 28 მარტი)

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის პროგრამები.*

(2014, 3 იანვარი). თბილისი: მასწავლებლის სახლი. მოძიებულია 16 თებერვალი, 2018,

[http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/consolidated%20program%202014%20Inclusion%20May%201.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/consolidated%20program%202014%20Inclusion%20May%201.pdf)

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის პროგრამები.*

(2015). თბილისი: მასწავლებლის სახლი. მოძიებულია 16 თებერვალი, 2018,

[http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/programebi%202015.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/programebi%202015.pdf)

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის პროგრამები*

*და ქვეპროგრამები. (2016, 18 თებერვალი). თბილისი: მასწავლებლის სახლი.*

მოძიებულია 16 თებერვალი, 2018,

[http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/consolidated%20programs\\_02.18.2016.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/consolidated%20programs_02.18.2016.pdf)

მაღლაკელიძე, ნ. (2001). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: დამხმარე სახელმძღვანელო მე-2 კლასის მოსწავლეთათვის*. თბილისი: ლეთა

- მალაკელიძე, ნ. (2001). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: დამხმარე სახელმძღვანელო მე-4 კლასის მოსწავლეებისათვის*. თბილისი: ლეთა
- მალაკელიძე, ნ., და მალაკელიძე ე. (2001). *დედაენა, I კლასის სახელმძღვანელო*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, წიგნის სამყარო. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., და მალაკელიძე, ე. (2011). *ქართული 2*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, წიგნის სამყარო. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., და მალაკელიძე ე. (2011). *ქართული 3*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, წიგნის სამყარო. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., და მალაკელიძე ე. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა 4*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, წიგნის სამყარო. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., და სვანიძე ნ. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა 5*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., და ღონღაძე ნ. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა 6*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., და ჯიმშიტაშვილი, მ. (2009). *სწავლობს გიგლა ტიტინა: ზაფხულში საკითხავი მასალა პირველკლასელთათვის*. თბილისი: ლეთა
- მალაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., მალაკელიძე, ე., მეხაშიშვილი, ს., და ნადირაშვილი, ი. (2018). *ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, I კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., მალაკელიძე, ე., მეხაშიშვილი, ს., და ნადირაშვილი, ი. (2018). *ქართული ენა და ლიტერატურა, II კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: მერიდიანი
- მალაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., მალაკელიძე, ე., მეხაშიშვილი, ს., და ნადირაშვილი, ი. (2018). *ქართული ენა და ლიტერატურა, III კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: მერიდიანი

მაღლაკელიძე, ნ., ყურაშვილი, ც., მაღლაკელიძე, ე., მეხაშიშვილი, ს., და ნადირაშვილი, ი. (2018). *ქართული ენა და ლიტერატურა, IV კლასი. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული*. თბილისი: მერიდიანი

*მშობელთა ჩართულობა* (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი). მოძიებულია 20 მაისი, 2019, [http://kargiskola.ge/parent/pdf/GEO\\_PPP\\_PE.pdf](http://kargiskola.ge/parent/pdf/GEO_PPP_PE.pdf)

*მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის*. (2015). თბილისი: საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. მოძიებულია 20 მაისი, 2019, [http://kargiskola.ge/parent/pdf/PE\\_GUIDE\\_2015.pdf](http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf)

ნაზირიშვილი, დ., კუპრავა, ნ., ფოფხაძე, მ., და ხ ხაზიური, მ. (2018). *მშობლიური ენა, I კლასი*. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: დიოგენე

ნეფარიძე, თ. (2010). კლასგარეშე აქტივობები და პრობლემები. *მასწავლებელი*, 6, 11- 14

ოცხელი, ი., მთავრიშვილი, თ., და ყიფიანი ს. (1908). *გუთანი: ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი*. ქუთაისი: თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

პაპავა, პ., ჭანტურია, თ., აფხაზავა, ე., და არჩემაშვილი, ნ. (2016). წიგნის კლუბები სკოლაში. თბილისი: საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PRIED) მოძიებულია 20 მაისი, 2019, [http://kargiskola.ge/teachers/resource\\_books/kitxva/cignis\\_klubi.pdf](http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/cignis_klubi.pdf)

როდონაია, ვ. (2000). *მშობლიური ლიტერატურა: მე-6 კლასის სახელმძღვანელო*. თბილისი: საარი

რამიშვილი, ვ. (1982, 22 სექტემბერი). კლასგარეშე კითხვა პირველ კლასში. *სახალხო განათლება*, 3

რამიშვილი, ვ. (1982, 16 სექტემბერი). კლასგარეშე კითხვა II და III კლასებში. *სახალხო განათლება*, 4

რამიშვილი, ვ. (1939). კლასგარეშე კითხვა (დაწყებითი სკოლა). *კომუნისტური აღზრდისთვის*, №11, 83 – 87

რამიშვილი, ვ. (1972). *დამატებითი საკითხავი მასალა: პირველ კლასელთათვის*. თბილისი: განათლება

რამიშვილი, ვ. (1988). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: მე-2 კლასელთათვის*. თბილისი: განათლება

რამიშვილი, ვ. (1988). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა მე-3 კლასის მოსწავლეთათვის*. თბილისი: განათლება

რამიშვილი, ვ. (1989). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: მე-4 კლასის მოსწავლეთათვის*. თბილისი: განათლება

რამიშვილი, ვ., ბერიძე, დ., ლორია, დ., და ბურდილაძე, ზ. (1995). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა*. თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1960). თბილისი: ცოდნა

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1961). თბილისი: ცოდნა

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1962). თბილისი: ცოდნა

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1963). თბილისი: ცოდნა

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1965). თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1966). თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: 1968-1969 სასწავლო წლისათვის. დაწყებითი კლასები*. (1968). თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი კლასები*. (1969). თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: I, II, III კლასები*. (1971). თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები, 1971-1972 სასწავლო წელი: დაწყებითი (I-III) და IV კლასი*. (1972). თბილისი: განათლება

*რვაწლიანი სკოლის პროგრამები: დაწყებითი (მოსამზადებელი, I, II, III) კლასები, 1973-74*

- რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები 1971-1972 სასწავლო წლისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა IV-X კლასები. (1971). თბილისი: განათლება
- რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები, 1972-1973 სასწავლო წელი: ქართული ენა და ლიტერატურა (IV-X კლ.). (1972). თბილისი: განათლება
- რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები: 1973-1974 სასწ. წლისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა (IV-X კლ.). (1973). თბილისი: განათლება
- რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები: 1976-1977 სასწ. წლისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა IV-X კლასები. (1976). თბილისი: განათლება
- რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები: ქართული ენა და ლიტერატურა (IV-X კლასები). (1981). თბილისი: განათლება
- რვაწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები: ქართული ენა და ლიტერატურა მე-4-10 კლასები 1984/85 სასწავლო წლისათვის. (1984). თბილისი: განათლება
- როდონაია, ვ., მირიანაშვილი, მ., თოფაძე, ქ., და ვაშაკიძე, ლ., (2011). *დედაენა 1*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: საქართველოს მაცნე
- როდონაია, ვ., მირიანაშვილი, მ., და ვაშაკიძე, ლ., (2011). *ქართული ენა*, II კლასი, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: საქართველოს მაცნე
- როდონაია, ვ., მირიანაშვილი, მ., და ვაშაკიძე, ლ., (2011). *ქართული ენა 3*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: საქართველოს მაცნე
- როდონაია, ვ., მირიანაშვილი, მ., და ვაშაკიძე, ლ., (2011). *ქართული ენა 4*, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: საქართველოს მაცნე
- როდონაია, ვ., არაბული, ა., ნაკუდაშვილი, ნ., და ხუციშვილი მ. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა*, V კლასი, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: სწავლანი
- როდონაია, ვ., არაბული, ა., ნაკუდაშვილი, ნ., და ხუციშვილი მ. (2011). *ქართული ენა და ლიტერატურა*, VI კლასი, კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი. თბილისი: სწავლანი

როდონაია, ვ., ვაშაკიძე, ლ., მირიანაშვილი, მ., და თოფაძე, ქ. (2018). - ქართული ენა, I კლასი. მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: გაზეთი საქართველოს მაცნე

როდონაია, ვ., ვაშაკიძე, ლ., მირიანაშვილი, მ., და თოფაძე, ქ. (2018). - ქართული ენა, II კლასი. მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: გაზეთი საქართველოს მაცნე

როდონაია, ვ., ვაშაკიძე, ლ., მირიანაშვილი, მ., და თოფაძე, ქ. (2018). - ქართული ენა, III კლასი. მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: გაზეთი საქართველოს მაცნე

როდონაია, ვ., ვაშაკიძე, ლ., მირიანაშვილი, მ., და თოფაძე, ქ. (2018). - ქართული ენა, IV კლასი. მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული. თბილისი: გაზეთი საქართველოს მაცნე

როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., და ქურციკიძე, ე. (2018). *ქართული ენა და ლიტერატურა V კლასი. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული.* თბილისი: სწავლანი

როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., და ქურციკიძე, ე. (2018). *ქართული ენა და ლიტერატურა VI კლასი. კომპლექტი: მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნი, რვეული.* თბილისი: სწავლანი

სარია, ბ. (2000). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: მე-3 კლასელთათვის.* თბილისი: დია

სარია, გ., და აფხაზავა ე. (2003). *კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა: მე-2 კლასელთათვის.* თბილისი: საქართველოს მაცნე

*სასკოლო პროგრამები რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასებისათვის: 1959-60 სასწავლო წელი.* (1959). თბილისი: ცოდნა

სასკოლო სასწავლო გეგმა. სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი მოძიებულია 16 თებერვალი, 2017, [https://ecgliceum.ge/saswavlo\\_gegma.php](https://ecgliceum.ge/saswavlo_gegma.php)

სასკოლო სასწავლო გეგმა. ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა. მოძიებულია 16 თებერვალი, 2017,

<http://www.marneulias.com/?Syf=3&pt=%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლა „ლაზარე“. მოძიებულია 16 თებერვალი, 2017, <http://skolalazare.ge/wp-content/docs/saswavlo-gegma.pdf>

სასკოლო სასწავლო გეგმა. ქ. რუსთავის კერძო სკოლა „მილენიუმი“ მოძიებულია 30 იანვარი, 2017, <https://millennium.edupage.org/text32/?>

სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლა „რუსთაველი“. მოძიებულია 30 იანვარი, 2017, <http://skola-rustveli.ge/docs.php?cat=25>

სასკოლო სასწავლო გეგმა. გორის წმ. გიორგის სახელობის სკოლა. მოძიებულია 25 იანვარი, 2017, <http://www.liceumi.ge/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90-10-%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/22-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90>

სასკოლო სასწავლო გეგმა. ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია. მოძიებულია 25 იანვარი, 2017, <http://www.gmgimnazia.ge/index.php/ka/>

სასკოლო სასწავლო გეგმა. კერძო სკოლა „მზეკაბანი“. 21 იანვარი, 2017, <http://www.mzekabani.edu.ge/wp-content/uploads/2016/12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90-2017.pdf>

სასკოლო სასწავლო გეგმა, ქ. ქუთაისის №1 სკოლა 21 იანვარი, 2017, <http://www.skola1.ge/content.php?a=4>

სასკოლო სასწავლო გეგმა. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო გიმნაზია.  
მოძიებულია 20 იანვარი, 2017,  
[http://www.gabrielisgimnazia.ge/uploads/dokumentacia/saswavlo\\_gegma.pdf](http://www.gabrielisgimnazia.ge/uploads/dokumentacia/saswavlo_gegma.pdf)

სასკოლო სასწავლო გეგმა, „იბერიელი“. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
<http://www.iberia2001.ge/index.php?m1=4&m2=33&rf=text&lang=ge#.WI4tpNlrLIU>

სასკოლო სასწავლო გეგმა. შპს „განათლება“. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
[http://www.imedi.edu.ge/new/index.php?option=com\\_content&view=article&id=677&Itemid=287](http://www.imedi.edu.ge/new/index.php?option=com_content&view=article&id=677&Itemid=287)

სასკოლო სასწავლო გეგმა. ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის  
სკოლა. მოძიებულია 21 იანვარი, 2017, <http://mefedaviti.ge/2011-11-26-14-17-58/2011-11-28-10-44-41/2011-11-28-10-56-10.html>

სასკოლო სასწავლო გეგმა. ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა.  
მოძიებულია 21 იანვარი, 2017, <http://khandzteli.ge/ka/>

სასკოლო სასწავლო გეგმა. წმ. აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლა. მოძიებულია 21  
იანვარი, 2017, <http://www.abuseridze.ge/index.php?action=sadamrigebloprog>

სასკოლო სასწავლო გეგმა. ახალი ქართული გიმნაზია. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
<http://www.ngg.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90/>

სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
<http://www.tsodnanadiradze.edu.ge/?page=4>

სასკოლო სასწავლო გეგმა. საპატრიარქოს წმ. კეთილმოსურნე მეფე თამარის სახელობის  
სკოლა-ლიცეუმი. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
[http://www.mefetamari.ge/?lang=geo&go=sasw\\_gegma&action=](http://www.mefetamari.ge/?lang=geo&go=sasw_gegma&action=)

სასკოლო სასწავლო გეგმა. თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა. მოძიებულია 21 იანვარი,  
2017, <http://www.skola.com.ge/index.php?action=99>

- სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლა „პოლიგლოტი“. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
[http://www.polygloti.edu.ge/sandro/ganvitarebis\\_gagma\\_15\\_16.pdf](http://www.polygloti.edu.ge/sandro/ganvitarebis_gagma_15_16.pdf)
- სასკოლო სასწავლო გეგმა. ვალდორფის სკოლა. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
<http://www.waldorfschule.ge/index.php?menuid=45&lang=1>
- სასკოლო სასწავლო გეგმა. შპს „ერუდიტი“. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
<http://www.eruditschool.ge/sagprogramebi.html>
- სასკოლო სასწავლო გეგმა. იტალიური სკოლა „ცისკარი“. მოძიებულია 21 იანვარი, 2017,  
[http://www.italianschool.ge/pictures/dfltcontent/gallery/144\\_1.pdf](http://www.italianschool.ge/pictures/dfltcontent/gallery/144_1.pdf)
- სასკოლო სასწავლო გეგმა. კერძო სკოლა „გერგეტი“. მოძიებულია 30 იანვარი, 2017,  
<http://www.gergeti-geti.ge/uploads/geti/sadamrigeblo.PDF>
- სასკოლო სასწავლო გეგმა. კერძო სკოლა „ბინული“ მოძიებულია 30 იანვარი, 2017,  
<http://binuli.edu.ge/wp-content/uploads/4sasklo-gagma2015-16.pdf>
- სასკოლო სასწავლო გეგმა, დანართი 5 სპეციალური რეკომენდაციები წიგნიერების კომპეტენციის განვითარებისათვის დაწყებით საფეხურზე. კერძო სკოლა „ბინული“. მოძიებულია 30 იანვარი, 2017, [http://binuli.edu.ge/wp-content/uploads/spec-rekom-wignier\\_ganv.pdf](http://binuli.edu.ge/wp-content/uploads/spec-rekom-wignier_ganv.pdf)
- სასკოლო სასწავლო გეგმა. ინგლისური სკოლა ნინო. მოძიებულია 30 იანვარი, 2017,  
<https://drive.google.com/file/d/0B7tbqkxe26ywblgyeDBFQmthR0U/view>
- სასკოლო სასწავლო გეგმა. ქ. თბილისის 45-ე საჯარო სკოლა. მოძიებულია 30 იანვარი, 2017,  
[http://45skola.ge/uploads/img\\_585136c504775.pdf](http://45skola.ge/uploads/img_585136c504775.pdf)
- სასკოლო სასწავლო გეგმა. 1-ლი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა. მოძიებულია 30 იანვარი, 2017,  
[http://experimentuli.blogspot.com/p/blog-page\\_1.html](http://experimentuli.blogspot.com/p/blog-page_1.html)
- სასკოლო სასწავლო გეგმა. ქ. თბილისის 127 საჯარო სკოლა. მოძიებულია 30 იანვარი, 2017,  
<http://school127tbilisi.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90/>

სასკოლო სასწავლო გეგმა. ქ. თბილისის 74 საჯარო სკოლა. მოძიებულია 30 იანვარი, 2017, [http://www.74school.ge/school/school\\_74/page.php?menuID=19](http://www.74school.ge/school/school_74/page.php?menuID=19)

სასკოლო სასწავლო გეგმა. ქ. თბილისის 94 საჯარო სკოლა. მოძიებულია 30 იანვარი, 2017, <http://skola94.blogspot.com/p/2013-2014.html>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ის განხორციელების შუალედური შეფასება, (21 თებერვალი, 2019, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო). მოძიებულია 15 ივნისი, 2019, <http://mes.gov.ge/uploads/files/gan-strat-shualeduri-shefaseba.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021” (საქართველოს მთავრობის დადგენილება, #533, 07.12.2017, თბილისი. მოძიებულია 15 ივნისი, 2019, [http://mes.gov.ge/uploads/MESStrategy\\_2017-2021.pdf](http://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf)

